

178  
1999

მკვლევ  
N 6-7

ISSN 0868-4537

გერმანული  
ბიბლიოთეკა

13

# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

*[Handwritten signature]*

IUS  
TBILISI GEORGIA

1992-6-7

მთავარი რედაქტორი

თევდოშვილი ნინო

სარედაქციო კოლეგია:

ანგი არსენაშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი),

გულა ბერძენიშვილი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე),

ოთარ ბაშუკელიძე,

როლანდ გილიგაშვილი,

ავთანდილ დემეტრაშვილი,

ტარიელ ჯამბახია.

მინდია კეკელია,

მზია ლეჟენიშვილი,

გურამ ლილუაშვილი,

ალექსანდრა ტალიაშვილი

რუსუდან პიტავა,

გულნარა გოსიაშვილი

ბიძინაშვილი რედაქტორი

სარედაქციო საბჭო:

ვახტანგ აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანტონ ბაბიანი, რომან გვეცაძე, გივი ინჟიერელი, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნებიერიძე, ვახტანგ რაჭმაძე, ჯურაბ რატიანი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უგრეხელიძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრა შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ჯონი ხეციაშვილი, ჯონი ჯალაღანი, სერგო ჯორჯანიძე.

# საგარეო

საგარეო-კაპიტალური ურთიერთობები

№ 6-7 1992

გამოდის 1992 წლიდან

085050-030050

## ს ა კ ტ ე ბ ე ლ ი

### სასაგარეო კავშირები

ავთანდილ კობახიძე — ზოგიერთი მოსაზრება სასაგარეო რეფორმისათვის

2

### ქართული კომუნისტური

პოლონ ფალიაშვილი — გამოძიების რეფორმისა და სრულყოფის საკითხები

6

### ოფიციალური მასალა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკის შესახებ

21

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დებულება

38

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დროებითი დებულება

52

### თვალსაზრისი

მინდია უგრეხელიძე — შენიშვნები პროკურატურის შესახებ დეკრეტისა პროექტის გამო

62

### დოკუმენტები

დებულება ადვოკატთა როლის შესახებ

65

დეკლარაცია განსაკუთრებული მდგომარეობის და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ

71

### ინტერვიუს საპითხები

აკაკი ლაბაძე — პირველი სახელმწიფო მეთრენობები საქართველოში

73

### მსენ

კახაბერ დეგლარიანი — შემოდის გუგუნი სასაგარეო ურთიერთობების მინისტრის ტაძარში

79

ავთანდილ კობახიძე

## ზოგიერთი მოსაზრება სასამართლო რეფორმისათვის

მართლმსაჯულება სახელმწიფო ხელისუფლების უაღრესად რთული და ფაქიზი დარგია. თუ საკანონმდებლო ხელისუფლება მოწოდებულია დაამკვიდროს ქვეყნის ინტერესების გამომხატველი კანონები. ხოლო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ხორცი შეასხას ამ კანონთა შესრულებას, პრაქტიკულად უზრუნველყოს მათი განხორციელება, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციაა — აღადგინოს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კანონით მინიჭებული და ამ კანონის დარღვევით შელახული უფლებები და ინტერესები, შეუფარდოს სამართალდამრღვევ პირებს გათვალისწინებული სანქციები. სასამართლომ შეუძლებლად უნდა განსაჯოს ვინ არ შეასრულა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმები, ვინ რა დარღვევა ჩაიდინა ამ ნორმების აღსრულების პროცესში და გადაწყვიტოს საკითხი თუ ვინ რა წესით აგოს პასუხი ამისათვის.

შემთხვევითი არ იყო, რომ ისტორიულად, მონარქიულ სახელმწიფოებში უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება უმეტესად თავმოყრილი იყო პირველი პირების, მონარქების ხელში, ხოლო დემოკრატიულ ქვეყნებში, სამართლებრივ სახელმწიფოებში, სასამართლო ორგანოებს განსაკუთრებული სტატუსი აქვთ მინიჭებული და ისეთაირად არის მოწყობილი მათი მუშაობის მექანიზმი, რომ გამორიცხებულია მათზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა.

თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, რაზედაც ასე ხშირად გაისმის ბოლო ხანს ლაპარაკი, აუცილებელია გატარდეს სასამართლო რეფორმა, მეცნიერულ დონეზე, ეროვნული ტრადიციების და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით განისაზღვროს მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობის წესი და სტრუქტურა, ყოველმხრივ დაიხვეწოს იგი და ყველა პირობა შეიქმნას იმისათვის, რომ სასამართლოს ნებისმიერი რგოლის საქმიანობა სრულად პასუხობდეს ქვეყნის ძირეულ, სასიცოცხლო ინტერესებს.

თუ გვინდა მივაღწიოთ კანონის უზენაესობას, იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა მოქალაქე, თანამდებობის პირი თუ ორგანიზაცია ზუსტად იცავდეს და ასრულებდეს კანონის მოთხოვნებს, ყველა გრძობდეს ერთმანეთის წინაშე პასუხისმგებლობას, საჭიროა მტკიცე კონტროლი დაწესდეს კანონის შესრულებაზე, არავის არ ევაბიოს ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა. ყველა გამონაკლისი ამ საკითხში უწესრიგობისა და ანარქიისაკენ უბიძგებს საზოგადოებას.

\* ამ რუბრიკით გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

კანონის დარღვევისათვის, ამ კანონითვე დადგენილი სანქციების შეფარდებ-  
ას ახორცილებს მართლმსაჯულების ორგანო — სასამართლო. ამიტომ სავსე  
ბით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, რომ დემოკრატიული ქვეყნების კონსტი-  
ტუციებით უმაღლესი ზედამხედველობა კანონების დაცვაზე დაკისრებული  
აქვთ სასამართლოებს.

სასამართლო ორგანოთა ძირეული რგოლი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს მო-  
მავალი ტერიტორიული დაყოფის შესაბამისი სასამართლო, რომელიც რაოდენ-  
ნობრივად შესაძლოა შემცირდეს კიდევ დღევანდელი რაიონებისა და ქალა-  
ქების სასამართლოების რაოდენობასთან შედარებით.

რეგიონებში მართლმსაჯულებას უნდა ახორციელებდნენ მომრიგებელი  
მოსამართლეები. ტერმინი „მომრიგებელი მოსამართლე“ უფრო გამარ-  
თლებულია, ვიდრე „სახალხო მოსამართლე“ ანდა საერთოდ „მოსამართლე“,  
რამდენადაც იგი ისტორიულადაც უფრო დიდხანს იყო დამკვიდრებული ქარ-  
თველი ხალხის ცხოვრებაში და უფრო ზუსტადაც მიგვანიშნებს, თუ რომელი  
ინსტანციის მოსამართლეზეა საუბარი, განსხვავებით დღეს ხმარებული „მოსა-  
მართლისაგან“.

მომრიგებელ მოსამართლეთა რაოდენობა ცალკეული რეგიონების მიხედ-  
ვით უნდა დადგინდეს, მაგრამ მტკიცედ უნდა განისაზღვროს მათი კომპეტენ-  
ცია. მიმაჩნია, რომ საჭიროა მათ დაეკვემდებაროს განსახილველად ადმინისტრა-  
ციული სამართალდარღვევები და სამოქალაქო საქმეები (გარდა გართულებუ-  
ლი დავებისა, როცა მიღებული გადაწყვეტილება რამდენჯერმე იქნება გაუქ-  
მებული ზემდგომი სასამართლოს მიერ). ამავე მოსამართლეებმა უნდა განი-  
ხილონ სისხლის სამართლის საქმეები ნაკლებად საშიშ დანაშაულებზე. ამას-  
თან ერთად, ადმინისტრაციული დავები და სამოქალაქო საქმეთა ძირითადი ნა-  
წილი მომრიგებელმა მოსამართლემ ერთპიროვნულად უნდა გადაწყვიტოს, მსა-  
ჯულთა მონაწილეობის გარეშე.

სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი შენარჩუნებული უნდა იყოს, მაგრამ სა-  
ჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მსაჯულთა შერჩევას, შესაძლოა შემცირდეს  
მათი რიცხვი. მთავარია არჩეულ იქნენ უფრო კომპეტენტური პირები, იურის-  
ტები და სასამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროფესიის ადა-  
მიანები (პედაგოგები, ეკონომისტები და სხვა). მსაჯულთა მონაწილეობით უნ-  
და იხილებოდეს სისხლის სამართლის საქმეები და აგრეთვე რთული სამოქა-  
ლაქო დავები.

მეორე რგოლი სასამართლო ორგანოთა სისტემაში, ჩვენი აზრით, უნდა  
იყოს სააპელაციო სასამართლო, ეს იქნება ზონალური სასამართლო, რომელიც  
განიხილავს საკასაციო საჩივრებს (აპელაციებს) მომრიგებელ მოსამართლეთა  
მიერ გამოტანილ განაჩენებზე, გადაწყვეტილებებზე და განჩინებებზე. გარდა  
ამისა, ეს სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის  
რთულ საქმეებს და გაჭიანურებულ სამოქალაქო დავებს.

სააპელაციო სასამართლო იქნება დაახლოებით ისეთი ორგანო, როგორც  
დღეს საოლქო და საქალაქო სასამართლოებია. ამიტომ, ასეთი სასამართლოები  
უნდა შეიქმნას ქ. თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის მასშტაბებით, ასევე ზო-  
ნების მიხედვით, ვთქვათ, დასავლეთ საქართველოში, კახეთში, ქართლში. ეს  
განსაკუთრებით აუცილებელი გახდა დღეს, როცა ძალიან გართულდა და გა-  
ძვირდა მგზავრობა. ბუნებრივია, მოქალაქეებს უჭირთ საკასაციო საჩივრების  
გადასაწყვეტად ან რთული საქმეების განსახილველად დედაქალაქში ჩამოსვლა.

სამართლო  
მართალი  
ბიბლიოთეკა

სააპელაციო სასამართლო საგრძნობლად შეუწყობს ხელს საქმეთა ოპერატიულად გადაწყვეტას და საჩივრების მკვეთრად შემცირებას. გარდა ამისა, ეს იქნება იმის საფუძველიც, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ე. წ. წამყვანი ინტელექტუალური ძალების ანუ პროფესიონალების ცალკეულ რეგიონებში განლაგებას, როგორც ეს ხდება ამ რეგიონებში უმაღლესი განათლების კერების გახსნით.

სასამართლო სისტემის უმაღლეს რგოლად კვლავ დარჩება რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, რომელიც განიხილავს სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე. შეტანილ საკასაციო საჩივრებს (პროტესტებს), აგრეთვე საზედამხედველო საჩივრებს რესპუბლიკის ყველა სასამართლო რგოლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. უზენაესი სასამართლო განახორციელებს მთელს რესპუბლიკაში უმაღლეს ზედამხედველობას კანონთა შესრულებაზე, წარმართავს მთელი სასამართლო სისტემის საქმიანობას, უზრუნველყოფს კანონთა ერთგვაროვან გატარებას და სწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას.

საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან უნდა შეიქმნას სამხედრო კოლეგია, რომელიც განიხილავს საკასაციო საჩივრებს სამხედრო ტრიბუნალების მიერ გამოტანილ განაჩენებზე. სამხედრო ტრიბუნალები უნდა შეიქმნას ცალკეულ ზონებში, სამხედრო შენაერთების ადგილმდებარეობის მიხედვით. სამხედრო ტრიბუნალებს განსახილველად დაექვემდებარება სისხლის სამართლის საქმეები იმ დანაშაულთა გამო, რომელიც ჩაიდინეს არმიის ნაწილებში, სამხედრო ფორმირებებში მოსამსახურე პირებმა.

აუცილებლად მიგვაჩნია აგრეთვე ე.წ. კონსტიტუციური სასამართლოს შექმნა, ასეთი სასამართლო შესაძლებელია არსებობდეს უზენაეს სასამართლოსთან, მაგრამ იმ ფუნქციების გათვალისწინებით, რაც ამ სასამართლოს უნდა მიენიჭოს, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება თუ ის ცალკე შეიქმნება პარლამენტის მიერ და აირჩევა შედარებით ხანგრძლივი ვადით.

კონსტიტუციური სასამართლო უნდა იყოს უმაღლესი პოლიტიკურ-იურიდიული ორგანო, რომელიც გადაწყვეტს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შორის წამოჭრილ სადაო საკითხებს და განახორციელებს კონტროლს კანონების შესრულებაზე. იგი მონაწილეობას მიიღებს სამართალშემოქმედებაში, კანონპროექტების მომზადებაში, ზედამხედველობას განახორციელებს პოლიტიკური და სასამართლო ორგანოების საქმიანობაზე, გადაწყვეტს საკითხს უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის შესახებ, კონტროლს დააწესებს მიღებული კანონებისა და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე.

კონსტიტუციურმა სასამართლომ უნდა შეამოწმოს აგრეთვე პარლამენტის მიერ დებუტატთა გაწვევის გადაწყვეტილების კანონიერება და სხვა სადაო საკითხები, რაც დაკავშირებული იქნება ამა თუ იმ ორგანოს გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე.

კონსტიტუციური სასამართლო აღჭურვილი უნდა იყოს იმის უფლებებითაც, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში გადაწყვიტოს პოლიტიკური პარტიებისა და მათი ქონების ბედი, როცა მათი საქმიანობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პრინციპებს.

პოლიტიკური პარტიის გაუქმება არის პოლიტიკური ფუნქცია და პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონსტიტუციაში თუ რომელ სასამართლო ორ-

განოს აქვს ამის უფლება, ასეთი ფუნქცია კი კონსტიტუციურ სასამართლოში უნდა დაეკისროს.

კონსტიტუციური სასამართლოს შექმნის და მუშაობის რეგლამენტი, აგრეთვე მისი ფუნქციების სრული ჩამოთვლა სპეციალური კანონით უნდა მოწესრიგდეს.

იმის მხედველობაში მიღებით, რომ კონსტიტუციური სასამართლო უნდა იყოს უმაღლესი პოლიტიკურ-იურიდიული ორგანო და არ არსებობდეს მის ფუნქციებში ჩარევის საშიშროება, ალბათ, საჭირო იქნება იგი აირჩეს ხანგრძლივი ვადით, ვთქვათ 10 წლით.

ასევე ხანგრძლივი ვადით უნდა მოხდეს მართლმსაჯულების დანარჩენ ორგანოთა არჩევა თუ დანიშვნა და იმის გარანტიებიც დაკანონდეს, რომ გამოირიცხოს მათზე ნებისმიერი ზემოქმედება.

მართლმსაჯულების განხორციელების კანონიერება, სასამართლო ორგანოთა საქმიანობის ავტორიტეტი და ხარისხი მთლიანად კადრებზეა დამოკიდებული. ამიტომ, ალბათ, რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს მოსამართლეთა შერჩევის დადგენილი წესი.

ნებისმიერ ნორმალურ, მაღალგანვითარებულ და კულტურულ სახელმწიფოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსამართლეთა კადრების შერჩევას. მაგალითად, იტალიაში პირი რომ უმაღლეს სასამართლოში აირჩიონ, სულ მცირე, ოცი წელი მაინც უნდა მუშაობდეს ძირეულ სასამართლო რგოლებში და ყველგან უნდა გამოირჩეოდეს როგორც კვალიფიციური მოსამართლე. ამასთან, სასამართლოს ყველა რგოლში კადრების შერჩევისას დაწესებულია ტესტური გამოცდები გაწეული მუშაობის მაჩვენებლების შეფასებით. მთავარი კი ის არის, რომ ამ მოთხოვნას ყველგან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ჩემი აზრით, კონსტიტუციურ სასამართლოსა და უზენაეს სასამართლოში არჩეული უნდა იყვნენ ისეთი იურისტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ძირეულ სასამართლო რგოლებში მუშაობის დროს, სათანადო მიღწევები აქვთ მეცნიერებაში, წარმატებით მოღვაწეობდნენ ხელისუფლების, მმართველობის თუ სხვა სამართალდამცავ ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მაღალი ავტორიტეტი აქვთ საზოგადოებაში.

ასევე სავალდებულო უნდა იყოს სასამართლოს ძირეულ რგოლში ორისამი წლის სტაჟი სააპელაციო სასამართლოებში მუშაობისათვის. რაც შეეხება პომრიგებელ მოსამართლეს, ამ თანამდებობაზე შეიძლება შეირჩენ პირები, რომლებმაც სულ ცოტა ორი წელი მაინც იმუშავეს სპეციალობით იურიდიული განათლების მიღების შემდეგ.

ადგილი რომ არ ჰქონდეს სასამართლო-პროკურატურის ორგანოებში უღირსი, შემთხვევითი ადამიანების მიღებას, ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროდ მიმაჩნია რესპუბლიკის პარლამენტთან შეიქმნას მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭო (ასეთი საბჭო არსებობს მაგალითად, თურქეთში). აღნიშნული საბჭო უნდა დაკომპლექტდეს ყველაზე გამოცდილი და ავტორიტეტის მქონე იურისტებით (7-10 კაცი), რომელთა რიგებში შევლენ როგორც პარლამენტის წევრები, ისე სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები და ცნობილი მეცნიერ-იურისტები. სწორედ ამ საბჭომ უნდა გადაწყვიტოს მოსამართლეთა და პროკურორთა კადრების დანიშვნა-განთავისუფლება და არა ერთმა პირმა, რომელიც ყოველთვის სუბიექტური იქნება, ვინც არ უნდა იყოს იგი. მიზანშეწონილი იქნება ამ საბჭომ გადაწყვიტოს აგრეთვე სასამართლო-პროკურატურის მუშაკებისათვის უმაღლესი საკლასო ჩინების მინიჭების საკითხიც.

აკოლონ ვალიაზვილი

## გამოძიების რეფორმისა და სრულყოფის საკითხები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1991 წლის 18 მარტს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის დარგში ახალი კოდექსების პროექტების შემუშავებული სამთავრობო კომისიის შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (აგრეთვე სხვა კოდექსების) პროექტის შემუშავება და წინადადებათა განხილვა.

ახალ საპროცესო კოდექსში, რა თქმა უნდა, გამოყენებული იქნება დებულებები, რომლებიც ასახულია მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში და შესაბამემა თანამედროვე ამოცანებს, მაგრამ კანონპროექტში შეტანილი იქნება ბევრი ახალი ნორმა საპროცესო კანონის შემდგომი დემოკრატიზაციის, პროცესის მონაწილეთა უფლებების რეალური განხორციელების გარანტიებისა და პროცესის ჰუმანური საწყისების გაძლიერების მიზნით. ახალ საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული უნდა იყოს საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების პროგრესული საპროცესო ნორმები, შესაბამისი საერთაშორისო დეკლარაციები და პაქტები, აგრეთვე პროცესუალური მეცნიერების მიღწევები, პრაქტიკოსი მუშაკების წინადადებანი და მოსაზრებები, რომლებიც შესაბამემა ზემოაღნიშნულ მიზნებსა და მოთხოვნებს.

მომავალი საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას განეკუთვნება საგამოძიებო ორგანოების რეფორმის საკითხი.

1. თანამედროვე პირობებში ერთ-ერთი ზრობლემატური საკითხია გამოძიების ორგანოების მოღვაწეობაზე სასამართლო კონტროლის დაწესება. სასამართლო კონტროლი სხვადასხვა ფორმით არსებობს ამჟამინავე საზღვარგარეთის ქვეყნებში (აშშ, ინგლისი, კანადა, საფრანგეთი, იტალია და ა. შ.). სასამართლო კონტროლის დაწესება იქნება დამატებითი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია შესაბამისი პროცესის მონაწილეთა უფლებების რეალური განხორციელებისათვის.

ყველა სახის წინადადება, რომლებიც გამოთქმულია პროცესუალურ ლიტერატურაში შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად ა) სასამართლოს დაეკისროს კონტროლი და მასვე დაექვემდებაროს გამოძიების ორგანოები; ბ) სასამართლომ გადაწყვიტოს წინასწარ პატიმრობაზე სანქციის გაცემის საკითხი; გ) სასამართლომ გადაწყვიტოს ბრალდებულის, დაზარალებულის, მათ წარმომად-



გენელთა; დამცველის, აგრეთვე გამომძიებლის საჩივარი პროკურორის უკანონო მოქმედებაზე.

სასამართლო კონტროლის პირველი შემთხვევისათვის გამოთქმულია წინადადება, რომ საგამომძიებო აპარატი დაემორჩილოს არა პროკურორს, არამედ გახდეს სასამართლო სისტემის შემადგენელი ნაწილი და დაექვემდებაროს კოლეგიურ ორგანოს — სასამართლოს,<sup>1</sup> შემოღებული იყოს სასამართლო გამომძიებლის თანამდებობა, რომელიც განახორციელებდა კონტროლს გამოძიებაზე და გადაწყვეტდა ბრალდებისა და დაცვის მხარეების საჩივრებსა და შუამდგომლობებს;<sup>2</sup> რომ პროკურორს არ უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება, მან არსებული მასალები უნდა წარუდგინოს სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტს საკითხს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არააღძვრის შესახებ და გადასცემს საქმეს გამომძიებელს.<sup>3</sup>

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით მიგვაჩნია მიუღებლად, რადგან სასამართლოს იგი დააკისრებდა ბრალდებისა და ზედამხედველობის (კონტროლის) ფუნქციის განხორციელებას გამოძიების ორგანოებისა და პროკურატურისადმი, რაც შეუთავსებელია სასამართლოს მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტის ფუნქციასთან. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო შებოჭილ იქნებოდა მის მიერ აღრე მიღებული გადაწყვეტილებით, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სასამართლოს ობიექტურობაზე საქმის ბედის გადაწყვეტის დროს.

სასამართლო კონტროლის მეორე შემთხვევისათვის გამოთქმულია წინადადება, რომ პროკურორს არ უნდა ჰქონდეს უფლება წინასწარ პატიმრობაზე სანქციის გაცემისა, რომ ამ საკითხზე მასალები უნდა წარედგინოს მოსამართლეს, რომელიც გასცემს ბრძანებას (ორდერს) დაპატიმრების შესახებ<sup>4</sup> ან პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ექსპერტიზის ჩატარების მიზნით<sup>5</sup>.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა იმით არის მოტივირებული, რომ შეიზღუდოს პროკურორის უფლებები გამოძიების დროს და აგრეთვე იმით, რომ აღნიშნული წესი დაკანონებულია მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში (ინგლისი, ამერიკა, კანადა და ა. შ.) და შეესაბამება საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 9).

ჩვენ სადაოდ მიგვაჩნია საკითხის ამგვარი გადაწყვეტა და ვფიქრობთ, რომ პროკურორს უნდა დარჩეს უფლება გასცეს სანქცია წინასწარი პატიმრობისა და პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, თუ ეს უკანასკნელი უკვე არ არის პატიმრობაში აყვანილი. პროკურორი ახორციელებს საბრალდებო ფუნქციას და მის ფუნქციებს უფრო შეესაბამება სანქციის გაცემის საკითხი, ვიდრე სასამართლოს (მოსამართლის)

<sup>1</sup> Точаловский В. Н., О концепции прокурорской власти, «Советское государство и право», 1990, № 9, с. 46; Дроздов Г., Прокурор на предварительном расследовании, «Социалистическая законность», 1991, № 12, с. 32—33.

<sup>2</sup> Пути совершенствования системы уголовной юстиции, «Советское государство и право», 1989, № 4, с. 90—91.

<sup>3</sup> Голованцев А., К новой концепции прокурорского надзора, «Социалистическая законность», 1990, № 1, с. 25.

<sup>4</sup> Петрухин И. Л., Задержание и арест, «Советское государство и право», 1989, № 8, с. 81.

<sup>5</sup> Дроздов Г., Прокурор на предварительном расследовании, «Социалистическая законность», 1991, № 12, с. 32.

ფუნქციას. რაც შეეხება 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტს „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“, ამ პაქტის მე-9 მუხლში (მუხლი 1) ნათქვამია, რომ „არავის არ შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, თუ არა ისეთ საფუძველზე და ისეთი პროცედურის შესაბამისად, რომლებიც კანონით არის დადგენილი“. მაშასადამე, საერთაშორისო პაქტი პატიმრობის საკითხის გადაწყვეტას აკუთვნებს კანონმდებლობით დადგენილ წესს და არა მხოლოდ სასამართლოს ფუნქციას.<sup>6</sup>

ჩვენი აზრით, საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით უფრო მიზანშეწონილია საკითხის მესამე შესაძლო გადაწყვეტა. იმ შემთხვევაში, როდესაც ექვმიტანილის, ბრალდებულის ან მისი წარმომადგენლის, დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის ან დამცველის საჩივარს უარყოფითად გადაწყვეტს პროკურორი, მისი გადაწყვეტილების გასაჩივრება უნდა მოხდეს მოსამართლესთან (სასამართლოში), რომელიც მომჩივანი მხარეების თანდასწრებით განიხილავს საჩივარს და არსებითად გადაწყვეტს მას. მოსამართლემ საჩივარი უნდა განიხილოს და გადაწყვეტოს შემდეგი საკითხები: ექვმიტანილის დაკავების ან დაპატიმრების, ბრალდებულის დაპატიმრების, შინაპატიმრობის (თუ ასეთი აღკვეთის ღონისძიება დაწესდება), პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, აღძვრაზე უარის თქმის და საქმის შეწყვეტის კანონიერებაზე. ასეთი მოსაზრება გამოთქმულია პროცესუალურ ლიტერატურაში და რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსების პროექტებში.<sup>7</sup> ასევე სწორად უნდა იყოს მიჩნეული გამოძიებლის უფლება გასაჩივროს მოსამართლესთან პროკურორის უარი გამოძიებლის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე ან საჩივარზე წინასწარ პატიმრობის გამოყენებაზე და გამოძიების სხვა პრინციპულ საკითხებზე,<sup>8</sup> კერძოდ: ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემაზე, დანაშაულის კვალიფიკაციაზე, ბრალდების მოცულობაზე, ბრალდებულის სამართალში მისაცემად საქმის გაგზავნაზე, წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი პრინციპულად წინააღმდეგია სასამართლო კონტროლის დაწესებაზე იმ მოტივით, რომ ეს გავლენას მოახდენს შემდგომში მოსამართლის ობიექტურობაზე და სასამართლოს დააკისრებს საბრალდებო ფუნქციის განხორციელებას.<sup>9</sup>

საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის დროს, მოსამართლე (სასამართლო) არ

<sup>6</sup> აღნიშნულ საკითხზე დაახლოებით ასეთივე მოსაზრება გამოთქმულია ვ. სუკალოს მიერ. იხ. **Сукало В.**, Судебная реформа и уголовно-процессуальный закон. «Вестник Верховного Суда СССР», 1991, № 5, с. 4.

<sup>7</sup> **Савицкий В. М.**, Теоретическая модель нового уголовно-процессуального регулирования, «Советское государство и право», 1990, № 2, с. 82; **Точилоский В. Н.**, О концепции прокурорской власти, «Советское государство и право», 1990, № 9, с. 46; Уголовно-процессуальное законодательство Союза ССР и РСФСР (Теоретическая модель), М., 1989, ст. ст. 94, 128, 368, 415; Проент УПК Российской Федерации, подготовленный ВНИИ проблем укрепления законности и правопорядка, М., 1991, ст. ст. 104, 220, 229—233.

<sup>8</sup> იხ. მ. ბ. ტრაჩლოვსკის მიითებებულ სტატია, გვ. 46; ვ. დროზდოვის მიითებულ სტატია, გვ. 32.

<sup>9</sup> **Сукало В.**, Судебная реформа и уголовно-процессуальный закон. «Вестник Верховного Суда СССР», 1991, № 5, с. 4; **Кокорев Л.**, Некоторые замечания по проекту, «Социалистическая законность», 1991, № 10, с. 39.



ახორციელებს ბრალდების ფუნქციას, არამედ იგი არსებითად იხილავს და წყვეტს საჩივარს დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით, სასამართლო ამ შემთხვევაში გამოდის არბიტრის როლში, სასამართლო კონტროლის ასეთი ფორმა სავსებით მისაღებია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების რუსეთის ფედერაციის პროექტებში მოცემულია საჩივრის განხილვის სხვადასხვა წესი და ფორმა. ერთ შემთხვევაში, საჩივარს იხილავს მოსამართლე ერთპიროვნულად, მეორე შემთხვევაში კი — სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე. ჩვენი აზრით, უფრო სწორი და მისაღები იქნებოდა აღნიშნული საკითხი გადაწყვეტოს ადმინისტრაციულმა მოსამართლემ, ხოლო მისი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში საკითხი განიხილოს სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე, რომლის გადაწყვეტილებაც უნდა ატარებდეს საბოლოო ხასიათს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეს (სასამართლოს), რომელმაც განიხილა საჩივარი, უფლება არ უნდა ჰქონდეს შემდგომში განიხილოს მოცემული სისხლის სამართლის საქმე.

**2. მეტად აქტუალური პრობლემაა საგამოძიებო ორგანოების რეფორმისა და რეორგანიზაციის საკითხი. დღეისათვის გამოძიება ჩვენს რესპუბლიკაში ატარებს უწყებრივ ხასიათს.**

პრაქტიკასა და პროცესუალურ ლიტერატურაში დაისვა საკითხი გამოძიების რეორგანიზაციის შესახებ იმ მიზნით, რომ საგამოძიებო სამსახური იყოს ფაქტობრივად და იურიდიულად დამოუკიდებელი ორგანო, აღმოიფხვრას დუბლირება და პარალელიზმი, გაიყოს საბრალდებო და საზედამხედველო ფუნქცია, ამაღლდეს გამოძიების ხარისხი და პროფესიონალიზმი.

საგამოძიებო ორგანოების რეორგანიზაციის მიზნით დაყენებულია შემდეგი წინადადებები: ა) გამოძიების ორგანოები ჩამოყალიბდეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. ამ პროექტის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა შეიქმნას მთავარი საგამოძიებო სამმართველო და შემდგომ საგამოძიებო ორგანოები — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით. ამ შემთხვევაში პროკურორი განთავისუფლდება საგამოძიებო აპარატის ხელმძღვანელობიდან და მას დაეკისრება მხოლოდ საზედამხედველო ფუნქცია.

ამ წინადადების სასარგებლოდ მოყვანილია ის არგუმენტები, რომ ასეთი რეორგანიზაცია არ არის რთული, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო აპარატი ისედაც იძიებს სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობას; რომ უფრო ეფექტიანი იქნება გამოძიებისა და ოპერატიული სამსახურის ურთიერთობა და კოორდინაცია, რადგან ორივე აღნიშნული სამსახური შედის ერთ სისტემაში და არიან ერთ დამორჩილებაში.

საგამოძიებო ორგანოების ასეთი რეორგანიზაციის არსებითი ნაკლი ის არის, რომ იგი დაქვემდებარებულია იმ უწყების ხელმძღვანელისადმი, რომელიც არის ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო. აღნიშნულ პირობებში ძნელია საგამოძიებო სამსახურის დამოუკიდებლობის განხორციელება და უწყებრივი ზეგავლენის გამორიცხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებს 1958 წლიდან 1963 წლამდე საერთოდ ჩამორთმეული ჰქონდა გამოძიების ფუნქცია.

ბ) საგამოძიებო ორგანოების რეორგანიზაციის მიზნით გამოთქმული იყო წინადადება, რომ ეს ორგანოები შევიდეს სასამართლო და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ დაემორჩილონ ისე, როგორც ეს იყო 1928 წლამდე. საკითხის ამგვარი გადაწყვეტის ნაკლი ის არის, რომ საგამოძიებო ორგანოები ამ

შემთხვევაში მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოსთან ერთად იქნებიან საბრალდებო ფუნქციის გამტარებელი ორგანოები, რაც არსებითად ეწინააღმდეგება სასამართლოს მიზნებსა და ამოცანებს.

გ) გამოთქმული იყო აგრეთვე მოსაზრება, რომ საგამოძიებო აპარატი მთლიანად შევიდეს პროკურატურის ორგანოების სტრუქტურაში, ისე, როგორც ეს წინათ არსებობდა. საკითხის ამგვარი გადაწყვეტის ნაკლი ის არის, რომ პროკურორი ერთდამთავრად დროს იქნება საბრალდებო ფუნქციის განმხორციელებელი (მას დაემორჩილება საგამოძიებო აპარატი) და საზედამხედველო ფუნქციის მატარებელი. ასეთ პირობებში რთული იქნება საბრალდებო გადახრის დაძლევა და გამომძიებლის სრული პროცესუალური დამოუკიდებლობის მიღწევა.<sup>10</sup>

დ) ამჟამად რეალურად არის დაყენებული საკითხი, რომ ყველა საგამოძიებო ორგანო გაერთიანდეს ერთ სისტემაში საგამოძიებო კომიტეტის სახით და იგი დაექვემდებაროს მინისტრთა საბჭოს ან უმაღლეს საბჭოს.

უფრო მისაღებია წინადადება, რომ საგამოძიებო კომიტეტი დაექვემდებაროს არა მთავრობას (ხელისუფლების ორგანოს), არამედ უმაღლეს საბჭოს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოა. ამ სისტემაში უფრო მისაღწევია საგამოძიებო ორგანოების სრული დამოუკიდებლობა მთავრობისაგან და ხელისუფლების სხვა აღმასრულებელი ორგანოებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის (თეორიული მოდელის) ერთ-ერთ ავტორს — ვ. სავიცკის მიაჩნია, რომ საგამოძიებო კომიტეტი უნდა შეიქმნას მინისტრთა საბჭოსთან (გვ. 14).

დამოუკიდებელი საგამოძიებო კომიტეტის შექმნას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობანი დღევანდელ საგამოძიებო სისტემასთან შედარებით, კერძოდ: გამორიცხული იქნება უწყებრივი დაქვემდებარება და შეიქმნება დამოუკიდებელი, ერთიანი საგამოძიებო აპარატი; გამორიცხული იქნება უწყებრივი ზეგავლენა აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა მხრივ, აღარ იქნება პარალელიზმი და დუბლირება გარკვეული კატეგორიის საქმეთა გამოძიების დროს; გაძლიერდება და უფრო ეფექტიანი გახდება საპროკურორო ზედამხედველობა გამოძიების დროს კანონთა შესრულებაზე, რადგან პროკურორს ორგანიზაციულად უკვე აღარ დაექვემდებარება საგამოძიებო აპარატი; ამალდება გამომძიებელთა პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია იმ მხრივ, რომ შესაძლებელი იქნება გამომძიებელთა სპეციალიზაცია ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების თვალსაზრისით; მთელი კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებები და საჭირო აპარატურა თავმოყრილი იქნება ერთ სისტემაში, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტიან გამოყენებას და თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი ყველა გამომძიებლისათვის; მოგვარებული იქნება შრომის ანაზღაურება თანაბარი საქმიანობისათვის და თანაბარ პირობებში.

<sup>10</sup> აღნიშნულ საკითგებზე სხვადასხვა სახის მოსაზრებები გამოთქმული იყო პროცესუალურ ლიტერატურაში — **Точиловский В. Н.**, О концепции прокурорской власти, «Советское государство и право», 1990, № 9, с. 46; **Гусев С. И.**, Некоторые проблемы будущей концепции прокурорского надзора в стране, «Советское государство и право», 1990, № 9, 50; **Ларин А. М., Савицкий В. М.**, Каким быть следственному аппарату, «Советское государство и право», 1991, № 1, с. 31—32; **Карнеева Л.**, Где быть следственному аппарату, «Социалистическая законность», 1991, № 2, с. 26—27; **Шейфер С.**, Взаимоотношения судебной и обвинительной власти, «Вестник Верховного Суда СССР», 1991, № 8, с. 30—31.

(დღეისათვის სხვადასხვა სისტემის გამომძიებელი იღებს სხვადასხვა ოდენობის ხელფასს, თუმცა ისინი არ უღებენ თანაბარ ფუნქციებს).

ამ დადებით მხარეებთან ერთად, საგამოძიებო კომიტეტის შექმნას, როგორც თვლიან ცალკეული ავტორები, ახასიათებს უარყოფითი მხარეებიც: გამოძიების დარგში შეიქმნება მონოპოლიზმი, რაც შეიძლება გახდეს ბოროტების წყარო; გამოძიების დარგში ყველაფერი იქნება კონცენტრირებული ერთ ხელში; რაც შეასუსტებს პროკურორის კონტროლსა და ზედამხედველობას; პროკურორს არ ექნება საშუალება საქმის არაობიექტური გამოძიების შემთხვევაში ჩამოართვას საქმის გამოძიება ერთ სისტემას და დაუქვემდებაროს იგი გამოსაძიებლად სხვა სისტემას. ბოლოს მოყვანილია ისეთი არგუმენტიც, რომ საგამოძიებო კომიტეტის შექმნის პრაქტიკას ადგილი არა აქვს მსოფლიოს ქვეყნებში.<sup>11</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო კომიტეტის შექმნამ პროკურორს არ უნდა შეუზღუდოს უფლება ცალკეულ შემთხვევაში დანიშნოს გამოძიება პროკურატურის ორგანოს სისტემაში. პროკურორს უფლება უნდა ჰქონდეს, თუ საგამოძიებო კომიტეტი ვერ უზრუნველყოფს ობიექტურ, სრულყოფილ და ყოველმხრივ გამოძიებას; ჩამოაცილოს საქმის გამოძიება ამ ორგანოს და დაუქვემდებაროს იგი პროკურატურას. პროკურორს უნდა დარჩეს აგრეთვე უფლება ჩაატაროს გამოძიება საგამოძიებო კომიტეტის გამომძიებლის მიერ და მის მიმართ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულზე.

პროკურატურის ორგანოების მიერ გამოძიების ფუნქციის შენარჩუნებაზე და საგამოძიებო კომიტეტის შექმნის შესახებ სამართლიანადაა მითითებული პროცესუალურ ლიტერატურაში, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თეორიულ მოდელში (მუხლი 29-ე, 380-ე) და კანონმდებლობისა და მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადებულ საპროცესო კოდექსის პროექტის 133-ე მუხლში.

3. მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობით მოკვლევა გათვალისწინებულია სამი სახით: ა) მოკვლევის წარმოება იმ კატეგორიის საქმეებზე, რომლებზედაც შემდგომში უნდა ჩატარდეს წინასწარი გამოძიება; ბ) მოკვლევის წარმოება მასალების სასამართლოდ მომზადების საოქმო ფორმის დროს; გ) მოკვლევის წარმოება გამოძიების ფორმით.

თანამედროვე პირობებში დაყენებულია საკითხი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შენარჩუნებულ იყოს მოკვლევის წარმოება გამოძიების სახით. ამ წინადადების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ გამოძიების ასეთმა ფორმამ გააძარცვა პრაქტიკაში და იგი უნდა შევინარჩუნოთ.<sup>12</sup> ჩვენი აზრით, არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, რომ გამოძიება ჩატარდეს ორი სახით — მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ფორმით. საესებით საკმარისია არსებობდეს გამოძიების ერთი ფორმა, რომელსაც აწარმოებს გამომძიებელი. მოკვლევა არის გამოძიების უფრო ნაკლებად დემოკრატიული ფორმა, მისი წარმოების დროს დაშვებუ-

<sup>11</sup> Гущенко К. Ф., Следственный комитет — благо ли?, «Социалистическая законность», 1991, № 3, с. 18—20.

<sup>12</sup> Мачковский Г. И., О некоторых теоретических вопросах дознания в советском уголовном процессе, «Советское государство и право», 1989, № 11, с. 71; Дроздов Г., Дифференциация формы досудебного производства, «Социалистическая законность», 1990, № 4, с. 52.

ლია ისეთი შეზღუდვები, რომლებიც არ არსებობს წინასწარი გამოძიების დროს (მოკვლევის დამთავრებისას საქმის მასალებს არ ეცნობა დაზარალებული მოქალაქე მოსარჩელე და სამოქალაქო მოპასუხე; პროკურორის ყველა მითითება სავალდებულოა შესასრულებლად მომკვლევის მიერ და პროკურორის მოქმედების გასაჩივრება არ შეაჩერებს მისი მითითების აღსრულებას; მოკვლევის წარმოების გადა შეზღუდულია ერთ თვემდე).

ახალი საპროცესო კანონის მიზანია, რომ გამოძიება გახდეს უფრო დემოკრატიული, სრულყოფილად იყოს გარანტირებული ბრალდებულის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის და სამოქალაქო მოპასუხის უფლებები და გამოძიებლის პროცესუალური დამოუკიდებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე მოკვლევა, როგორც გამოძიების ფორმა, უნდა გაუქმდეს.<sup>13</sup>

გამოძიების ორგანოთა რეფორმასთან დაკავშირებულია ისეთი საკითხი, როგორცაა მასალების სასამართლომდე მოზზადების საოქმო ფორმა, რომელიც შემოღებული იყო 1985 წლიდან. საოქმო წარმოების წესით, მოკვლევას ეჭვმდებარება მარტივი საქმეები (მუხლი 400). ამ საქმეთა მოკვლევის თავისებურება ის არის, რომ 10 დღეში უნდა ჩატარდეს მოკვლევა საქმის აღძვრის გარეშე. ამავე დროში უნდა შედგეს ოქმი, მოკვლევის ორგანოს უფროსის თანხმობით და პროკურორის სანქციის საფუძველზე მასალები უნდა გადაეცეს სასამართლოს, რომელიც აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, განიხილავს მას და არსებითად გადაწყვეტს საკითხს.

პროცესუალურ ლიტერატურაში დღეისათვის დაყენებულია საკითხი, რომ: საერთოდ გაუქმდეს საოქმო წარმოება და საქმეზე ჩატარდეს მოკვლევა ან გამოძიება (იმ შემთხვევაში თუ მოკვლევა არ იქნება შენარჩუნებული); შენარჩუნებულ იყოს საოქმო წარმოება; შენარჩუნებულ იყოს საოქმო წესი, მაგრამ მოხდეს მისი წარმოების არსებითი შეცვლა.

მიგვაჩნია, რომ მომავალ საპროცესო კოდექსში შენარჩუნებულ უნდა იყოს გამარტივებული საქმის წარმოება ზოგიერთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოების დროს, როგორც ეს არის საზღვარგარეთის უმრავლეს ქვეყნებში. მაგრამ, არსებითად უნდა შეიცვალოს საოქმო წარმოების დღევანდელი წესი. ამ კატეგორიის საქმეებზე უნდა მოხდეს საქმის გარემოებათა დადგენა და ყველა შემთხვევაში გამოძიების დროს აღიძრას სისხლის სამართლის საქმე (ან გამოტანილ იქნეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ). არსებული წესი, რომლის თანახმადაც საოქმო წარმოების საქმეებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აწარმოებს სასამართლო, ყოვლად მიუღებელია, რადგან სასამართლო ამ შემთხვევაში ახორციელებს ბრალდების ფუნქციას და იმავე დროს, იხილავს და არსებითად წყვეტს მოცემულ საქმეს.

ბრალდების წაყენება და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა საოქმო წარმოების საქმეებზე ასევე უნდა განახორციელოს გამოძიების ორგანომ, თუ შენარჩუნებულ იქნება მოკვლევა — მომკვლევმა, წინააღმდეგ შემთხვევაში — გამოძიებელმა. ამ კატეგორიის საქმეებზე ბრალდებულს, დაზარა-

<sup>13</sup> Пути совершенствования системы уголовной юстиции, «Советское государство и право», 1989, № 4, с. 90; Савицкий В. М., Теоретическая модель нового уголовно-процессуального регулирования, «Советское государство и право», 1990, № 2, с. 83; Сукало В., Судебная реформа и уголовно-процессуальный закон, «Вестник Верховного Суда СССР», 1991, № 5, с. 5.

ლებულს, დამცველს, სამოქალაქო მოსარჩელეს და სამოქალაქო მოპასუხეს უნდა გაეცნოს საქმის ყველა მასალა და ოქმი გამოძიების დამთავრების შემდეგ კანონით უნდა დაწესდეს საოქმო წარმოების საქმეებზე გამოძიების ვადა 14 დღე (ათი დღის ნაცვლად) და სასამართლოში საქმის გადაწყვეტისათვის — 10 დღე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადებული რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის პროექტი (მუხლები 221-223) საოქმო წარმოების საქმეთა განხრლევა-გადაწყვეტას აკისრებს ერთბიროვნულად მომრიგებელ მოსამართლეს, რომლის თანამდებობაც შემოღებულ უნდა იყოს მომავალში სასამართლო რეფორმის გატარების საფუძველზე. რაც შეეხება სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის პროექტს (თეორიულ მრდელს) იგი საერთოდ არ ითვალისწინებს მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმას.

4. თანამედროვე პირობებში, როდესაც იზრდება ორგანიზებულ დანაშაულობათა რიცხვი, გახშირდა ფულისა და ქონების გამოძლევა, იმატა რეკეტების შემთხვევებმა, როდესაც დანაშაულის ჩადენის დროს გამოიყენება უფრო სრულყოფილი ტექნიკური საშუალებები, დანაშაულის სწრაფი გახსნა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა შედარებით რთულდება. ასეთ ვითარებაში საჭირო გახდა არა მარტო ახალ საგამოძიებო მოქმედებათა დაკანონება, არამედ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა გზით მოპოვებული მასალების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა.

საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კოდექსით დაწვრილებით უნდა იყოს რეგლამენტირებული ისეთი ახალი საგამოძიებო მოქმედება, როგორცაა სატელეფონო და სხვა სალაპარაკო საშუალებათა საუბრების მოსმენა და ჩაწერა (ინდივიდუალური და სამსახურებრივი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო, ტელეფონ-ავტომატი, სელექტორი და ა. შ.).

სატელეფონო საუბრების მოსმენა, როგორც საგამოძიებო მოქმედება, უნდა მოხდეს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ, გამოძიებლის მოტივირებული დადგენილებით და პროკურორის სანქციის საფუძველზე. სატელეფონო საუბრების მოსმენა და ფიქსაცია უნდა შეეხოს ეკვიტანისა და ბრალდებულს, ხოლო, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, დაზარალებულსა და მოწმეს. ამ უკანსკენლს ადგილი უნდა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულისა და მოწმის მიმართ გამოიყენება მუქარა, დაშინება და ძალადობა, ფულისა და ქონების გამოძლევა და ხულიგნური ხასიათის მოქმედებები.

გამომძიებლის დადგენილებაში ოფიციალური მონაცემების გარდა უნდა აღინიშნოს, თუ რა მიზნით გამოიყენება სატელეფონო საუბრების მოსმენა და ფიქსაცია, ვის მიმართ გამოიყენება იგი, რომელი კონკრეტული სატელეფონო აპარატიდან უნდა მოხდეს საუბრის მოსმენა და ფიქსაცია, რა დროის მონაკვეთში უნდა განხორციელდეს იგი, ვის ეკისრება ამ მოქმედების განხორციელება. გამოძიებლის დადგენილება პროკურორის სანქციით უნდა წარედგინოს შესაბამის კავშირგაბმულობის განყოფილებას და აღნიშნული მოქმედების განხორციელება დაევალოს კონკრეტულ პირს (პირებს), რომელიც უნდა გაფრთხილდეს პასუხისმგებლობის შესახებ მისთვის ცნობილი მონაცემების გახმაურებისათვის.

სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის შემდეგ გამომძიებელს გადაეცემა ფიქსირებული ინფორმაცია. აღნიშნულის შესახებ გამომძიებელი

ვალდებულია შეადგინოს სათანადო ოქმი, სადაც უნდა აღინიშნოს ფონოგრამაზე ფიქსირებული ინფორმაციის ძირითადი შინაარსი, ოქმს ხელს უნდა აწერდეს კავშირგაბმულობის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკი, ამ მოქმედების უშუალო შემსრულებელი პირი, დამსწრეები შესაბამისი კავშირგაბმულობის ორგანიზაციიდან, სპეციალისტი (თუ იგი მონაწილეობდა) და გამომძიებელი. ამოღებული ფონოგრამა უნდა დაერთოს ოქმს და მასთან ერთად განიხილება, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი წყარო.

ფიქსირებული ინფორმაცია, რომელსაც არაერთადი კავშირი არა აქვს საქმესთან, უნდა განადგურდეს ადგილზე. კანონით უნდა განისაზღვროს სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ფიქსაციის ვადა ექვს თვემდე, მაგრამ ეს ვადა ყველა შემთხვევაში უნდა შეწყდეს საქმის წარმატებით შეწყვეტის მომენტში ან გამომძიების დამთავრებისას:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს მხოლოდ გამომძიების დროს და არა სასამართლოს მიერ, სასამართლოს ფუნქციებსა და ამოცანებს არ შეესაბამება აღნიშნული მოქმედების შესრულება. იმ შემთხვევაში, როდესაც ტელეფონით საუბრის მოსმენა და ჩაწერა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, იგი შეიძლება ჩატარდეს პროკურორის სანქციის გარეშე, მაგრამ 24 საათის განმავლობაში ამის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს ზედამხედველ პროკურორს.<sup>14</sup>

ჩვენების ადგილზე შემოწმების შედეგად, შესაძლებელია, ახალი ფაქტების დადგენა, ან უკვე არსებული ფაქტების აღდგენა და მათი თვალსაჩინოების ილუსტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე ისეთი ახალი საგამოძიებო მოქმედება, როგორცაა ჩვენების ადგილზე შემოწმება იმ მიზნით, რომ აღრე დაკითხულმა ექვმიტანილმა, ბრალდებულმა, დაზარალებულმა ან მოწმემ ადგილზე მოახდინოს თავისი ჩვენების დაზუსტება, გარემოების აღდგენა და შესრულებული მოქმედების ილუსტრაცია.

ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნით გამოტანილი უნდა იყოს დადგენილება (განჩინება) და ეს საგამოძიებო მოქმედება შესრულდეს დამსწრეთა მონაწილეობით. ადგილზე გაყვანილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი პირი, ნებაყოფლობით საფუძველზე და მას არ უნდა დაევალოს ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც დამამცირებელია მისი ღირსებისათვის, საშიშია მისი ან იქმყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. ამ საგამოძიებო მოქმედების შესრულების დროს შეიძლება მოწვეული იყოს სპეციალისტი და გამოყენებული იყოს ტექნიკური საშუალებები, მათ შორის ფოტოგადაღება, კინოგადაღება, მაგნიტოფონი და ვიდეომაგნიტოფონი.

14. აღნიშნულ საკითხზე იხ. გ. მეფარიშვილი, ერთი საკანონმდებლო სიახლის გამო, „სამართალი“, 1991, № 3—4, გვ. 5—9. **Безлекин В.**, Проблемы уголовно-процессуального доказывания, «Советское государство и право», 1991, № 8, с.102—105; **Данилюк С., Виноградов С., Щерба С.**, Как прослушать телефонный разговор, «Социалистическая законность», 1991, № 2, с. 32—33; **Комлев В.**, О порядке прослушивания телефонных переговоров, «Социалистическая законность», 1991, № 7, с. 54—55; **Карнеева Л.**, Доказательственное значение материалов видео-и звукозаписи, «Вестник Верховного Суда СССР», 1991, № 7, с. 31—32; **Зажинский В., Башкатов Л.**, Быть ли новому следственному действию? «Советская юстиция», 1990, № 23, с. 21—23.

ჩვენების ადგილზე შემოწმების დროს უნდა იყოს გამოქვეყნებული პირის მიერ აღრე მიცემული ჩვენება, მას უნდა შეეკითხონ ადასტურებს თუ არა იგი აღრე მიცემულ ჩვენებას და ამის შემდეგ მოხდეს ჩვენების შემოწმება და ილუსტრაცია. მოწმე და დაზარალებული გაფრთხილდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ცრუ ჩვენების მიცემისათვის. ადგილზე გაყვანილი პირი იძლევა ახსნა-განმარტებას. ჩვენების ადგილზე შემოწმების შედეგად ღებება ამ საგამოძიებო მოქმედების ოქმი.

ჩვენების ადგილზე შემოწმება გათვალისწინებულია ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის კანონმდებლობით.

5. საგამოძიებო ორგანოების რეფორმის საკითხი დაკავშირებულია აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა შედეგად მიღებული მასალის სტატუსის დადგენა-განსაზღვრასთან.

მოქმედი საპროცესო კოდექსი მხოლოდ ზედპირულად და არასრულად არეგლამენტებს საკითხს იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შედეგად მოპოვებულ და დადგენილ ფაქტებს, თუ როგორ უნდა იყოს ისინი პროცესუალურად გაფორმებული და შემოწმებული, შეიძლება თუ არა ამ სახის მონაცემებს მიენიჭოს მტკიცებულების ძალა და მნიშვნელობა.

დღევანდელ პირობებში შეუძლებელია დანაშაულის სწრაფი გახსნა, მტკიცებულებათა მოპოვება და დანაშაულის აღკვეთა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების გარეშე. სწორედ ამიტომ, დაისვა საკითხი, რომ ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ შეიტანოს გარკვეული სიცხადე და შედარებით დაწვრილებით ასახოს საპროცესო კოდექსში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შედეგად მოპოვებული ფაქტებისა და გარემოებათა მნიშვნელობა.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საქმისათვის საჭირო და აუცილებელი ფაქტების დადგენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ, გამომძიებლის კონკრეტული დავალების საფუძველზე.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების მიზანია, ხელი შეუწყოს დანაშაულის გამოძევებას, გახსნას, აღკვეთას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ასეთი ხასიათის ღონისძიებათა განხორციელების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებები და საჭირო ფაქტების ფიქსაცია მოხდეს ფოტოაპარატის, კინოაპარატის, ხმის ჩამწერის და ვიდეოაპარატურის გამოყენებით როგორც ფარულად, ისე აშკარად. ასეთი გზით მოპოვებული მასალები სათანადოდ უნდა იყოს გაფორმებული და დამაგრებული.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გზით მოპოვებული მონაცემების დამაგრება გულისხმობს მათ ფიქსაციას ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; გარკვეული ვითარების ასახვას ფოტო, კინო, მაგნიტოფონისა და ვიდეო-მაგნიტოფონის ფირზე; კვლათა და მათ ნიშანთვისებათა ფიქსაციას; ტვიფრების დამზადებასა და ა. შ.

ამ გზით მოპოვებული ფაქტები და გარემოებები უნდა იყოს გაფორმებული სათანადო დოკუმენტის შედგენის გზითაც. კერძოდ, უნდა შედგეს ოქმა და მასში აისახოს: სად, როდის, ვისი მითითებით იქნა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რა კონკრეტული ფაქტები და გარემოებები იყო

დადგენილი, რა სახის ტექნიკური საშუალებები იყო გამოყენებული, ემსახურებოდა იყო გამოყენებული ეს საშუალებები (ოპერატიული მუშაკის თუ სპეციალისტის მიერ). ყველა დაფიქსირებული ინფორმაცია უნდა იყოს მოსმენილი ან ჩანახი და მათი შინაარსი აისახოს ოქმში, ოქმს ხელს უნდა აწერდეს ამ ღონისძიებაში მონაწილე ყველა პირი. თუ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ახორციელებს მხოლოდ ერთი მუშაკი, იგი ადგენს პატიკს.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალების გამოყენების მეორე საფეხურია ამ მონაცემების გადაცემა გამოძიებლისადმი მათი პროცესუალური გაფორმებისა და შემოწმების მიზნით.

მოქმედი საბროცესო კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიებელს უფლება აქვს მოითხოვოს მოქალაქეებისაგან და თანამდებობის პირებისაგან დოკუმენტები, რომელთა საშუალებით შეიძლება საჭირო ფაქტობრივი მონაცემების დადგენა, ასევე, ყველა პირს, მათ შორის ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მუშაკს შეუძლია წარუდგინოს გამოძიებელს ისეთი სახის მონაცემები, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საკმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობა. სწორედ კანონის ეს ნორმა არის ის სამართლებრივი საფუძველი, რომლის თანახმადაც გამოძიებელი მიიღებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოპოვებულ მასალებს.

აღნიშნული მონაცემები ჯერ კიდევ არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მტკიცებულება მოცემულ საკმეზე, ვიდრე ისინი არ იქნება დამატებული პროცესუალური გზით და არ იქნება შემოწმებული მათი სისწორე და უტყუარობა ისევ პროცესუალური გზით. მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვრება წარმოდგენილი მონაცემების პროცესუალური სტატუსი, როგორც დოკუმენტისა ან ნივთიერი მტკიცებულებისა.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოპოვებული და ფიქსირებული კვალი, საგანი, ნივთი, კინო და ფოტო ფირი, ფონოგრამა და ა. შ. მოითხოვს მათ პროცესუალურ გაფორმებას, რაც იმას გულისხმობს, რომ გამოძიებელმა უნდა შეადგინოს ამ მონაცემების მიღების ოქმი, სადაც აღინიშნება: ვინ წარადგინა საგნები, ნივთები, ფონოგრამა და ა. შ., როდის იყო წარმოდგენილი, ვის წარუდგინა ისინი, წარმოდგენის ოქმში უნდა მიეთითოს საგნის ნიშან-თვისებები, ფირი და ფონოგრამა უნდა იყოს რეპროდუქტირებული და ძირითადი შინაარსი წერილობით დაფიქსირდეს ოქმში.

საჭიროების შემთხვევაში უნდა შემოწმდეს წარმოდგენილი მასალის მიღების საშუალებები და სისწორე ახსნა-განმარტების მიღების, წარმოდგენილი მასალის დათვალიერებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების გზით და სხვა პროცესუალური საშუალებებით.

მხოლოდ ამის შემდეგ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მიღებულ მონაცემებს მიენიჭება ნივთიერი მტკიცებულების მნიშვნელობა, თუ იგი აკმაყოფილებს მტკიცებულების ამ წყაროსათვის დამახასიათებელ მოთხოვნებს (მუხლი 74-ე) და დაერთვის საკმეს გამოძიებლის დადგენილებით ანდა ისინი ცნობილ იქნებიან მტკიცებულების ისეთ წყაროდ, როგორცაა დოკუმენტი (მუხლი 79-ე).

რამდენადაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოპოვებული მონაცემები შეიძლება იყოს ნივთიერი მტკიცებულება ან დოკუმენტი, ამდენად საჭირო არ არის აღნიშნული გზით მოპოვებული მონაცემები განხილულ იყოს როგორც მტკიცებულების ახალი (დამატებითი) წყარო.

იგულისხმება, რომ თუ ვერ შემოწმდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შედეგად მოპოვებული მასალების მიღების პირობები, მათი დამაგრების სისწორე ან მათი მიღების ნამდვილობა იწვევს ეჭვს; ასეთ შემთხვევაში მათ არ მიენიჭებათ მტკიცებულების წყაროს მნიშვნელობა და ვერ გამოიყენება საქმეზე ქეშმარიტების დასადგენად.

საქართველოს რესპუბლიკის ახალ საპროცესო კოდექსში ცალკე მუხლში უნდა აისახოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოპოვებული მასალების მიღების, გაფორმების, მათი სისწორის შემოწმების გზები და ხერხები. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ხორციელდება ყველა ქვეყანაში, იგი კვლავაც მიიღებს უფრო ფართო ხასიათს და ამ საკითხის რეგლამენტაციის გვერდის ავლა ბევრ გაუგებრობას დაბადებს თეორიასა და პრაქტიკაში.<sup>15</sup>


6. საქართველოს რესპუბლიკის ახალ საპროცესო კოდექსში უფრო სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული აღკვეთის ღონისძიებათა სახეები და გაძლიერდეს დემოკრატიული საწყისები, რაც დაკავშირებულია ბრალდებულის უფლებების გაფართოებასთან.

რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის პროექტში (თეორიული მოდელი) დაყენებულია საკითხი იმის შესახებ, რომ აღკვეთის ღონისძიება გამოძიების პროცესში გამოყენებული იყოს მხოლოდ ბრალდებულისა და არა ეჭვმიტანილის მიმართ. ასეთი წინადადება თითქოს უფრო დემოკრატიულია, მაგრამ ფაქტობრივად, მისი პრაქტიკაში გატარება შეუძლებელი იქნება და ეს არც არის მიზანშეწონილი. ეჭვმიტანილი არის პროცესის დროებითი სუბიექტი, კანონი ითვალისწინებს მის დაკავებას (ფაქტობრივად თავისუფლების შეზღუდვას გარკვეული დროით) და ამ პერიოდში მას შეიძლება შეერჩეს აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახე მხოლოდ ბრალდების წაყენებამდე (ასეთი მოსაზრება გამოთქმულია ბოლო წლების პროცესუალურ ლიტერატურაში).

მოკმედი კანონით დაწესებულია განსაკუთრებული წესი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის დემუტატებისა და მოსამართლეთა (მსაჯულთა) მიმართ. მიგვაჩნია, რომ პირთა ამ კატეგორიას უნდა დაემატოს პროკურორის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებული წესი.

ახალმა საპროცესო კოდექსმა არ უნდა დაუშვას აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენება გაუფრთხილებელ დანაშაულზე, მძი-

<sup>15</sup> აღნიშნულ საკითხზე, იხ. ვ. ზაეცკი, ლ. ბაშკატოვი, მითითებული სტატია, გვ. 21-24; ლ. კარნეევა, მითითებული სტატია, გვ. 31-32; ბ. ბეზლუპკინი, მითითებული სტატია, გვ. 98-105. ს. დანილიუკი, ს. ვინოგრადოვი, ს. შერბა, მითითებული სტატია, გვ. 32-33; ვ. კომელოვის მითითებული სტატია, გვ. 54-55; Вечерний Э., Гласно о негласном «Социалистическая законность», 1990, № 7, с. 50-51; Михайловская И. Б., Проблемы укрепления социалистической законности в стадии предварительного расследования, «Советское государство и право», 1989, № 7, с. 76-78; Вандер М. Б., Филиппова М. А., Объективизация и удостоверение в процессе предварительного расследования, «Правоведение», 1991, № 2, с. 77-78; Карнеева Л., Уголовно-процессуальный закон и практика доказывания, «Социалистическая законность», 1990, № 1, с. 33-35; Давлетов А., Семенцов В., Оперативная видео- и звукозапись, «Социалистическая законность», 1991, № 11, с. 37-40.



მე ავადმყოფთა და ღრმა მოხუცებულთა მიმართ, ფეხბმომე და იმ ქალების მხარეში მართ, ვინაც ჰყავს ჩვილი ბავშვები, ასეთი წინადადება სამართლიანად არის დაყვებულნი პროცესუალურ ლიტერატურაში და მისი გაზიარება იქნებოდა სამართლიანი ჩვენი რესპუბლიკის ახალი საპროცესო კანონმდებლობით.

მოკმედი კანონმდებლობით, წინასწარი პატიმრობის გამოყენება შეიძლება იმ დანაშაულზე, რომლისთვისაც კანონი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით (არის გამოჩაკლისიც). მიგვაჩნია, რომ ეს ვადა უნდა გაიზარდოს ორ წლამდე, იგულისხმება, რომ ეს წესი არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც უკვე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების (თავდებობა, გაუსვლელობის ხელწერილი და ა. შ.) პირობების დარღვევისათვის ბრალდებულს უნდა შეეცვალოს იგი უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით (წინასწარი პატიმრობით).

საპროცესო კოდექსში უნდა იყოს შეტანილი ცვლილება იმ თვალსაზრისით, რომ პროკურორმა პირადად დაკითხოს ბრალდებული სანქციის გაცემამდე, დამკველთან თანდასწრებით (დღეისათვის პროკურორი სავალდებულო წესით დაკითხავს მხოლოდ არასრულწლოვან ბრალდებულს).

ახალი კანონმდებლობით, პროკურორს უნდა დარჩეს სანქციის გაცემის უფლება, მაგრამ კანონმა უნდა დააწესოს, რომ საჩივარს ამ საკითხზე იხილავს და არსებითად წყვეტს მოსამართლე (ადმინისტრაციული მოსამართლე).

უნდა გადაისინჯოს საკითხი პროკურორის მიერ წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ. კერძოდ, რამდენად სამართლიანია, რომ პროკურორი ახორციელებს ზედამხედველობას, ხელმძღვანელობს გამოძიებას და, ამავ დროს, წყვეტს წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხს 18 თვემდე.

მიგვაჩნია, რომ წინასწარი პატიმრობის წვლილადნახვერიანი ვადა ძალზე ხანგრძლივია და იგი უნდა შეიზღუდოს 9 თვემდე, როგორც იყო დაწესებული 1990 წლამდე. პროკურორის მიერ წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება დასაშვებია უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ ჩამოყალიბდება საგამოძიებო კომიტეტი და პროკურორს დარჩება მხოლოდ ზედამხედველობის ფუნქცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება უნდა დაეკისროს სასამართლოს, ე. ი. დაექვემდებაროს სასამართლო კონტროლს და მანვე უნდა გადაწყვიტოს ამ საკითხზე ბრალდებულის საჩივარი.

კანონში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაპატიმრების შემთხვევაში ეცნობოს დაპატიმრებულის ოჯახს 12 საათის განმავლობაში და რომ საპროცესო შემთხვევაში მზრუნველობა დაწესდეს არა მარტო უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებისადმი, არამედ ხანდაზმულ და უმწეო მდგომარეობაში დარჩენილი ოჯახის წევრებისადმი.

დაპატიმრების სანქციის გაცემის დროს ბრალდებულს (ეკვმიტანილს) უნდა განემარტოს არა მარტო უფლებები, არამედ წინასწარი პატიმრობის გამოყენების გასაჩივრების წესი, მისი შეცვლისა და გაუქმების პირობები, უკანონო პატიმრობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და უკანონო პატიმრობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება. ყოველივე ამის შესახებ უნდა იყოს მითითებული დადგენილებაში წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ ან შედგეს ოქმი.

ლიტერატურაში სამართლიანადაა მითითებული, რათა პროცესუალურ კანონში აღინიშნოს, რომ, თუ აღკვეთის ღონისძიება წინასწარი პატიმრობის

სახით გაუქმებული ან შეცვლილ იყო, ხელშეორედ იმავე ბრალდებით არ უნდა იყოს იგი გამოყენებული.<sup>16</sup>

სასურველია, რომ მოქმედი კანონმდებლობით არსებულ აღკვეთის ღონისძიებების სახეებს დაემატოს აღკვეთის ღონისძიების ისეთი ახალი სახეები, როგორცაა: შინაპატიმრობა, მილიციის ზედამხედველობის დაწესება და გირაოს (თავნის) შეტანა. აღკვეთის ღონისძიების ეს სახეები გათვალისწინებულია საზღვარგარეთის საპროცესო კანონმდებლობით და ამ საკითხის დადებით გადაწყვეტას მხარს უჭერენ მეცნიერი მუშაკები და პრაქტიკოსები.

შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებულ უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარი პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა მიზანშეუწონელია ბრალდებულის (ექვემიტანილის) ხანდაზმულობის ან ადამიანობის გამო, მცირეწლოვან და ჩვილი ბავშვების მყოფ დედისათვის ან ორსული ქალებისათვის და სხვა განსაკუთრებული პირობების არსებობისას.

შინაპატიმრობა უნდა იყოს გამოყენებული გამოძიებლის (სასამართლოს) დასაბუთებული დადგენილების (განჩინების) საფუძველზე, სადაც უნდა მიეთითოს თუ რა სახის შეზღუდვები უწესდება პირს: გარკვეულ პირებთან ურთიერთობისა და ტელეფონით საუბრების აკრძალვა, ბინიდან და ქალაქიდან გასვლის აკრძალვა ნებართვის გარეშე, მის ბინაზე ზედამხედველობის დაწესება და ა. შ. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ ამ შეზღუდვებზე კონტროლის განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელია და ამიტომ, აზრი არა აქვს შინაპატიმრობის შემოღებას.<sup>17</sup>

შინაპატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ პროკურორის სანქციის საფუძველზე, რადგანაც იგი გარკვეულად ზღუდავს მოქალაქის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას. შინაპატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

სასურველია პროცესუალურმა კანონმა გაითვალისწინოს ისეთი ახალი აღკვეთის ღონისძიება, როგორცაა მილიციის მიერ ზედამხედველობის დაწესება ბრალდებულის (ექვემიტანილის) ქვევაზე გამოძიების მთელ პერიოდში, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დადგენილებაში უნდა მიეთითოს, თუ რა შეზღუდვები უწესდება პირს, კერძოდ: საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და სხვა ადგილზე გამგზავრების აკრძალვა გამოძიებლის ნებართვის გარეშე, მილიციის ორგანოში გამოცხადება კვირაში ორჯერ მის მოქმედებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით და ამავე მიზნით მილიციის თანამშრომლის მიერ ბრალდებულის (ექვემიტანილის) ბინაში მისვლა.

აღნიშნულ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება უნდა მოხდეს პროკურორის სანქციის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული ისეთი ახალი აღკვეთის ღონისძიება, როგორცაა გირაონობა (საწინდარი, თავნი), რაც გულისხმობს ბრალდებულის, მისი ნათესავების, სხვა პირებისა და ორგანიზაციების მიერ დებოზიტში თანხის ან ფასე-

<sup>16</sup> Дроздов Г. В., Пределы допустимости применения предварительного заключения под стражу в досудебном производстве по уголовным делам, «Советское государство и право», 1990, № 4, с. 65.

<sup>17</sup> К разработке проекта основ уголовно-процессуального законодательства Союза ССР и союзных республик (отклик читателей), «Советское государство и право», 1990, № 9, с. 87.

ულობის შეტანას. გირაოს თანხისა და ფასეულობათა ღირებულება უნდა განზუსტდეს საზღვროს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის პიროვნების მისი მატერიალური (ან გირაოს შემტანი პირის მატერიალური) მდგომარეობისა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით.

გირავნობის გამოყენება უნდა მოხდეს დასაბუთებული დადგენილების (განჩინების) საფუძველზე. დადგენილება გირავნობის გამოყენების შესახებ უნდა იყოს სანქცირებული პროკურორის მიერ; დადგენილების გარდა უნდა შედგეს ოქმი, სადაც აღინიშნება: განსაზღვრული თანხის, ფასეულობის, საგნების ოდენობა და ღირებულება, გირაოს შემტანი პირის უფლებები და მოვალეობანი, მისი გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბრალდებულს შეერჩევა უფრო მკაცრი ხასიათის აღკვეთის ღონისძიება, როგორც წესი, წინასწარი პატიმრობა და დაგირავებული ქონება; ფასეულობა, ნივთები გადაიცემა სახელმწიფო საკუთრებაში.

1. პროკურორის პროცესუალური მდგომარეობა გამოძიების დროს გამოიხატება იმაში, რომ მას აკისრია ზედამხედველობის ფუნქცია გამოძიების დროს კანონთა შესრულებაზე.

კანონის სრულყოფის მიზნით სასურველი იქნებოდა, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ვეხებით და ვზღუდავთ ექვემდებარებულის, ბრალდებულის ან სხვა პირის კონსტიტუციურ და დემოკრატიულ უფლებებს, კანონით გათვალისწინებულ იყოს პროკურორისაგან სანქციის მიღება.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გარკვეულად ზღუდავს გამომძიებლის პროცესუალურ დამოუკიდებლობას (პროკურორს შეუძლია არ გასცეს სანქცია), მაგრამ უპირატესობა უნდა მივიანიჭოთ პიროვნების თავისუფლებისა და დემოკრატიულ უფლებათა დაცვას.

სასურველი იქნებოდა, რომ ახალ საპროცესო კოდექსში გაითვალისწინონ პროკურორისაგან სანქციის მიღება (იმის გარდა, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით); ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში; მოქალაქის ანაბარზე ყადაღის დადების დროს; მოქალაქეთა ბინიდან ან დაწესებულებიდან დოკუმენტების, ფასეულობათა და საგნების ამოღებისას; მოქალაქის ბინაში ჩვენების შემოწმების დროს; შინაპატიმრობის; მილიციის ზედამხედველობის ქვეშ ბრალდებულის გადაცემის; გირაოს შეტანის შემთხვევებში.

პროცესუალურ ლიტერატურაში დაყენებულია საკითხი, რომ პირის დაკავება 24 სათზე მეტი ვადით და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოხდეს პროკურორის სანქციით.<sup>18</sup>

არსებული კანონი, რომლის თანახმადაც საბრალდებო დასკვნას ბრალდებულს აბარებს სასამართლო; არ შეესაბამება სასამართლოს ფუნქციას.

გამომძიებლის დამთავრების შემდეგ პროკურორი ამტკიცებს რა საბრალდებო დასკვნას მანვე ან მისი დავალებით გამომძიებელმა უნდა ჩააბაროს იგი ბრალდებულს, საბრალდებო დასკვნა არის გამომძიებლის პროცესუალური დოკუმენტი, საბრალდებო ფუნქციას ახორციელებს გამომძიებელი და ამიტომ, მანვე უნდა გადასცეს ბრალდებულს საბრალდებო დასკვნის პირი.

<sup>18</sup> Рустамов А., Законное и обоснованное возбуждение дела — одна из гарантий правосудия, «Советская юстиция», 1990, № 23, с. 19.

# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი

## საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიის შესახებ

### თავი I. ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია სახელმწიფო შეიარაღებული სახარბილადმცავი ორგანოა, რომელიც შედის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში და მოვალეა დაიცვას მოქალაქის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება, უფლებები და თავისუფლებები, საკუთრება, გარემო, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები დანაშაულებრივი და საზოგადოებრივად საშიში სხვა ქმედებებისაგან.

#### მუხლი 2. პოლიციის თანამშრომელი

პოლიციის თანამშრომელი არის მაღალი შეგნების მქონე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მოსამსახურე, რომელსაც უჭირავს განსაზღვრული თანამდებობა პოლიციის დაწესებულებაში, მინიჭებული აქვს სპეციალური წოდება და მიღებული აქვს ფიცი.

სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს პოლიციის თანამშრომელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია.

#### მუხლი 3. პოლიციის ამოცანები

პოლიციის ამოცანებია:

- პიროვნების პირადი უშიშროების უზრუნველყოფა;
- დანაშაულისა და კანონის სხვა დარღვევების აღკვეთა;
- დანაშაულის გახსნა და დანაშაულის ჩამდენი პირის მოძებნა;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების უზრუნველყოფა;
- კანონით დადგენილი წესით მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;
- ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

აკრძალულია პოლიციის გამოყენება იმ ამოცანების შესრულებაში, რომ-

ლებიც არ ეკისრება მას საქართველოს რესპუბლიკის კანონებით და ამ დეკლარაციით.

#### **მუხლი 4. პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, საქართველოს რესპუბლიკის კანონები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები, ეს დეკრეტი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტები.

#### **მუხლი 5. პოლიციის საქმიანობის პრინციპები**

პოლიციის საქმიანობა ეფუძნება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, დემოკრატიის, ჰუმანურობის, საჯაროობის პრინციპებს.

პოლიცია იცავს პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი და სხვაგვარი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა და ასაკისა, განათლებისა და ენისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო ინტერესების თანასწორად დაცვის მიზნით პოლიციელი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრი.

#### **მუხლი 6. საჯაროობა პოლიციის საქმიანობაში**

პოლიცია თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, შრომით კოლექტივებს, მოქალაქეებს.

პოლიციას უფლება არა აქვს გაამჟღავნოს სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, გამოძიების მასალები, ინფორმაცია, რომელიც ეხება მოქალაქის პირად ცხოვრებას, ლახავს მის პატივსა და ღირსებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

#### **მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობები**

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია თანამშრომლობს სხვა ქვეყნების სამართალდამცავ და საერთაშორისო ორგანოებთან საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

#### **მუხლი 8. პოლიციის თანამშრომლობა სხვა ორგანოებთან**

დანაშაულის გახსნის, მოკვლევის, გამოძიების, აღკვეთისა და თავიდან აცილების მიზნით პოლიცია თანამშრომლობს სამართალდამცავ სხვა ორგანოებთან.

### **თავი II. პოლიციის სტრუქტურა**

#### **მუხლი 9. პოლიციის დარგობრივი სტრუქტურა**

საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შემადგენლობაში შედის კრიმინალური პოლიცია, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიცია და სატრანსპორტო პოლიცია.

#### **მუხლი 10. კრიმინალური პოლიცია**

კრიმინალური პოლიცია დაკისრებული ამოცანების შესაბამისად განსჯილ-

რაც დანაშაულობებთან ბრძოლის საერთო სტრატეგიასა და ტაქტიკას, ორგანიზებას უკეთებს და ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, კოორდინაციას უწევს კრიმინალური პოლიციის ქვედანაყოფების საქმიანობას დანაშაულობებთან ბრძოლაში, ახორციელებს დანაშაულობებთან ბრძოლაში პოლიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სხვა სამსახურების ჩაბმას და ახდენს ამ სფეროში მათი საქმიანობის კოორდინაციას, იძიებს მძიმე დანაშაულებს, მათ შორის დანაშაულობებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, ავლენს დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, რომელთაც კავშირი აქვთ კორუმპირებულ თანამდებობის პირებთან და ასეთავე სახის დაჯგუფებებთან საზღვარგარეთ; შეისწავლის დანაშაულობების მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებს, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად.

კრიმინალური პოლიცია აღკვეთს დანაშაულს, აწარმოებს მის რეგისტრაციას, ავლენს დანაშაულის ჩამდენ პირს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ატარებს მოკვლევას.

კრიმინალური პოლიცია ასრულებს სასამართლოს (მოსამართლის), გამომძიებლის, პროკურორის იმ დავალებებს, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის გახსნასა და დამნაშავის ძებნასთან.

კრიმინალური პოლიციის შემადგენლობაში შედის: ა) სამძებრო, ბ) ორგანიზებულ დანაშაულებთან, გ) სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულებთან მებრძოლი, კრიმინალისტიკური და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო სხვა სამსახურები.

კრიმინალური პოლიციის უფროსს და მისდამი დაქვემდებარებულ პირებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი.

### **მუხლი 11. საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიცია**

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიციის ძირითადი ამოცანებია: მოქალაქეთა პირადი უშიშროების უზრუნველყოფა; საზოგადოებრივი წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა; საპატრულო-საგულშეაღ სამსახურის შესრულება ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში, სატრანსპორტო მაგისტრალებზე, აეროპორტებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას; დანაშაულობათა და სხვა სამართალდარღვევების აღკვეთა; ხანძრის, სტიქიური უბედურების, კატასტროფისა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევების დროს წესრიგის დაცვა და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; პროკურატურის, საგამომძიებო ორგანოების, სასამართლოებისათვის და დანაშაულის გამოძიების, ხოლო სასამართლოებს — საქმეთა განხილვის, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას დახმარების გაწევა; სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირთა დაცვა მათ მიერ კანონით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას; სახელმწიფო დაწესებულებების, მნიშვნელოვანი ობიექტების, დიპლომატიური წარმომადგენლობის, კულტურის ძეგლებისა და ფასეულობების, გარემოს დაცვა და სხვა.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიციაში შედის: ა) აღმინისტრაციული პოლიცია, ბ) საგზაო პოლიცია, გ) საკუთრების დაცვის პოლიცია, დ) სახანძრო პოლიცია, ე) ეკოლოგიის პოლიცია.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიციის უფროსს თანამ-



დებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი.

**მუხლი 12. სატრანსპორტო პოლიცია**

სატრანსპორტო პოლიცია ახორციელებს კრიმინალური და საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიციის ფუნქციებს რკინიგზის, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე.

სატრანსპორტო პოლიციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

**მუხლი 13. ავტონომიური რესპუბლიკის პოლიცია**

კრიმინალური პოლიცია და საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიცია შედის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში.

ავტონომიური რესპუბლიკის კრიმინალური პოლიციის შემადგენლობაში შედის: ა) სამძებრო, ბ) ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი, გ) სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულებთან, კრიმინალისტიკური და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განმახორციელებელი სხვა სამსახურები.

ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი უშიშროების პოლიციის შემადგენლობაში შედის: ა) ადმინისტრაციული პოლიცია, ბ) საგზაო პოლიცია, გ) საკუთრების დაცვის პოლიცია, დ) სახანძრო პოლიცია, ე) ეკოლოგიის პოლიცია.

ავტონომიური რესპუბლიკის კრიმინალური პოლიციის უფროსს და საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით.

ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით.

**მუხლი 14. ქალაქის და რაიონის პოლიცია**

კრიმინალური პოლიცია და საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიცია შედის შინაგან საქმეთა რაიონული, საქალაქო განყოფილებებისა და სამმართველოების შემადგენლობაში.

რაიონული, ქალაქის კრიმინალური პოლიციის შემადგენლობაში შედის: ა) სამძებრო, ბ) ორგანიზებულ დანაშაულებებთან მებრძოლი, გ) სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულებებთან, კრიმინალისტიკური და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო სხვა სამსახურები.

რაიონის, ქალაქის კრიმინალური პოლიციის უფროსი ამავე დროს შესაბამისი შინაგან საქმეთა რაიონული, საქალაქო განყოფილებებისა და სამმართველოს უფროსია. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შინაგან საქმეთა მინისტრი სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით.

რაიონული, ქალაქის საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიციის შემადგენლობაში შედის: ა) ადმინისტრაციული, ბ) საგზაო, გ) სახანძრო, დ) საკუთრების დაცვის, ე) ეკოლოგიის პოლიციის სამსახურები.

რაიონული, ქალაქის საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლი-

ციის უფროსი შესაბამისად შინაგან საქმეთა რაიონული, საქალაქო განყოფილებებისა და სამმართველოს უფროსის მოადგილეა. მას თანამდებობაზე წინაგან და ათავისუფლებს შინაგან საქმეთა მინისტრი სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოს და რაიონული, საქალაქო შინაგან საქმეთა განყოფილებების ან სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

**მუხლი 15. შინაგან საქმეთა სხვა ორგანოების მუშაეთა მონაწილეობა პოლიციის ამოცანათა შესრულებაში**

საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების დაცვისა და დანაშაულობასთან ბრძოლის ამოცანების შესრულებაში შეიძლება ჩაებნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლებელთა მსმენელები, ამ სასწავლებელთა ატესტირებული თანამშრომლები.

**წმმუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენცია პოლიციის საქმიანობაში**

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო

— განსაზღვრავს კრიმინალური, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების, სატრანსპორტო პოლიციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

— ახორციელებს პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

— კოორდინაციას უწევს პოლიციის ყველა ორგანოსა და ქვედანაყოფს საქმიანობას; ახორციელებს მათ ინსპექციას; უწევს სამეცნიერო-საკონსულტაციო, მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას;

— აგზავნის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონისა და ქალაქის პოლიციის თანამშრომლებს მომსახურების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, მასობრივი არეულობებისა და საგანგებო შემთხვევებისას საერთო-რესპუბლიკური და რეგიონთაშორისი ღონისძიებების დროს მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით;

— აყალიბებს, აღრიცხავს და უძღვება საცნობარო-საინფორმაციო ფონდებს;

— კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას სხვა-სახელმწიფოთა სამართალდამცავ ორგანოებთან;

— ხელმძღვანელობს პოლიციის კადრების მომზადებას;

— კანონმდებლობის საფუძველზე შეიმუშავებს პოლიციაში სამსახურის ერთიან მოთხოვნებს, პირობებსა და წესს, საშტატო ერთეულების ტიპობრივ ნორმატივებს;

— ადგენს ერთიან მოთხოვნებს პოლიციაში საქმის წარმოების ორგანიზაციისათვის;

— წარმოადგენს პოლიციის ინტერესებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში.

ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

### **თავი III. პოლიციის მოვალეობები და უფლებები**

**მუხლი 17. პოლიციის მოვალეობები**

პოლიცია თავისი ამოცანების შესაბამისად მოვალეა:

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს მოქალაქეს სათანადო დახმარება;

შესაძლებლობა მისცეს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს კანონის შესაბამისად განაზოროცილოს დაცვის უფლება, შეატყობინოს მის შესახებ ოჯახს, ახლობლებს, სამსახურის ან სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას;

— უზრუნველყოს მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მათი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე დადგენილი წესით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როცა პოლიცია იძულებულია შეზღუდოს მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, პოლიციის თანამშრომელი წარუდგება და განუმარტავს პირს კონკრეტული შეზღუდვის საფუძვლიანობას. პოლიციელის განმასხვავებელი ნიშნის უქონლობისას წარუდგენს მას პირადობის მოწმობას, პოლიციის თანამშრომლის მოქმედებას, რომლის მიერ დროებით იზღუდება მოქალაქეთა უფლებები, თან სდევს სიტყვები: „კანონის სახელით!“ თითოეული მოქალაქე ამ შემთხვევაში ვალდებულია დაემორჩილოს და შეასრულოს პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა;

— დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით, დაადგინოს მათი გამომწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, ჩაატაროს სამართალდამრღვევებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობა;

— შევიდეს წინადადებით საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და საზოგადოებრივ გაერთიანებებში სამართალდარღვევების ჩადენის ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად;

— მონაწილეობა მიიღოს მოქალაქეთა სამართლებრივი ცოდნისა და კულტურის ამაღლებაში;

— გამოავლინოს, გახსნას და აღკვეთოს დანაშაული;

— აღძრას სისხლის სამართლის საქმე; თუ არსებობს ისეთი დანაშაულის ნიშნები, რომლის გამო წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა, ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები და გამოვლენილი დანაშაულის, დაწყებული გამოძიების და მოკვლევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს;

— მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს შემოსული ინფორმაცია დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და საზოგადოებრივად საშიში სხვა ქმედებების შესახებ;

— დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება დანაშაულის შესახებ განცხადებებსა და შეტყობინებებზე;

— შეასრულოს პროკურორისა და გამომძიებლის წერილობითი დავალებები და მითითებები საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შესახებ, დახმარება აღმოუჩინოს მათ საგამოძიებო მოქმედებებს წარმოებისას;

— მოძებნოს დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც ემალება გამოძიებას და სასამართლოს, სხვა პირი, რომლის მოძებნაც კანონით ევალება;

— ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მასალებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე აწარმოოს ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა;

— მიიღოს გადაუდებელი ზომები ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნისას; ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურებების და სხვა საგანგებო შემთხვევების დროს უმეტყოლყოფოდ დარჩენილი ქონების დასაცავად;

— საგანგებო წესების ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში თქვის კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს დადგენილი რეჟიმის, ხოლო ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;

— გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებრივად საშიში კმედებებისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულთ, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილთ, ნარკოტიკული ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფთ, თუ მათ დაკარგული აქვთ დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი ან შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ;

— მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა; ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივების და სტანდარტების დაცვას, აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალებები, გასცეს სატრანსპორტო საშულებათა მართვის უფლების მოწმობები;

— კანონმდებლობის შესაბამისად გასცეს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების შექმნის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, საამისო ობიექტების გახსნისა და ფუნქციონირების ნებართვა, კონტროლი გაუწიოს მათთვის დადგენილი წესების დაცვას;

— კანონით დადგენილი წესით გასცეს ნებართვა კერძო დეტექტურ და დაცვით საქმიანობაზე. კონტროლი გაუწიოს მათთვის დადგენილი წესების დაცვას;

— აღკვეთოს მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ კანონით დადგენილი საპასპორტო სისტემის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელ მგზავლათა და მოქალაქეობის არმქონე პირთა აღრიცხვის, ყოფნის და სატრანზპორტი მგზავრობის წესების დარღვევა;

— შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებები, მოსამართლის, პროკურორის და გამომძიებლის დადგენილებები იმ პირთა წარმოდგენის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ პროკურატურაში, საგამომძიებო ორგანოებში ან სასამართლოში გამოცხადებას, შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებები, პროკურორის დადგენილებები ან ამ უკანასკნელის მიერ სანქცირებული დადგენილება დაპატიმრების შესახებ, კანონით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები;

— პროკურორის მიერ სანქცირებული, სამედიცინო დაწესებულების მოტივირებული წარდგინების საფუძველზე ამ დაწესებულებაში მიიყვანოს პირი, რომელიც დაავადებულია ქრონიკული ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ვენერიული სენით ან შიდსით და თავს არიდებს ამ დაწესებულებაში გამოცხადებას;

— აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, აწარმოოს საქმეები იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო, რომელთა შესახებ მასალების განხილვა მის კომპეტენციას განეკუთვნება;

— სხვა სახელმწიფოებრივ ორგანოებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად უზრუნველყოს ბავშვთა უმეტეაღყურეობის თავიდან აცილება;

— უზრუნველყოს დაპატიმრებული ან დაკავებული პირის დაცვა და დაყვანა;

— აღასრულოს სასამართლოს (მოსამართლის) დადგენილებები ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ;

— ხელშეკრულების საფუძველზე დაიცვას მესაქუთრის ქონება, უცხო-

ეთის ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციების. უცხოეთის იურიდიულ პირთა და მოქალაქეთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა ქონება;

— შეამოწმოს საკუთრების დაცვის ქვედანაყოფები დაცვის რეჟიმის შესრულების მიზნით;

— განხორციელოს გადაუდებელი ღონისძიებები უპატრონო ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად, ვიდრე ის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს არ გადაეცემა;

— უზრუნველყოს ნაპოვნი ან პოლიციაში ჩაბარებული დოკუმენტების, ნივთების, ფასეულობების და სხვა ქონების დაცვა-შენახვა, მიიღოს ზომები კანონიერი მფლობელისათვის მათი გადაცემის ან დადგენილი წესით რეალიზაციისათვის;

— დადგენილი წესით აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს იმ პირის შესახებ, რომელიც ლოთობს; ექიმის დაუკითხავად არასამედიცინო მიზნით იყენებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს ან სხვა გამაბრუებელ საშუალებებს; იმ პირის შესახებ რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის დაავადებულია გადაადები ვენერიული სენით ან შიდსით;

— მიიღოს დაზარალებულის, მოწმის და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების მათი ოჯახის წევრების დაცვის კანონიერი ღონისძიებები, თუ მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება საფრთხეშია; უზრუნველყოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქის დაცვის უფლება.

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს:

ა) დეპუტატებს, დეპუტატობის კანდიდატებს, მათი ნდობით აღჭურვილ პირებს, სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობის პირებს, საარჩევნო კომისიებს, თუ მათ კანონიერ საქმიანობას წინააღმდეგობა ეჭნება;

ბ) სახანძრო და მაშველ სამსახურებს — ხანძრის თავიდან აცილების და ჩაქრობის ღონისძიებების, აგრეთვე მაშველი სამუშაოების ჩატარების დროს;

გ) სამხედრო ნაწილებს და დაწესებულებებს — დაკარგული და მოპარული იარაღის, საბრძოლო მასალის ფეთქებადი ნივთიერებებისა და სხვა სახის ნაკეთობათა და საგნების მოძებნაში;

დ) ბუნების დაცვისა და საბაჟო დაწესებულებებს — მათი კანონიერი საქმიანობის განხორციელებაში;

შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

### **მუხლი 18. პოლიციის უფლებები**

პოლიციას მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება აქვს:

— მოთხოვოს მოქალაქეს დაიცვას მართლწესრიგი, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

— შეამოწმოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთები თუ არსებობს საკმარისი მონაცემები მის მიერ დანაშაულის ან აღშინისტრაციული გადაცდომების ჩადენის შესახებ;

— წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ან აღმინისტრაციული გადაცდომის მასალებთან დაკავშირებით პოლიციაში გამოიძახოს მოქალაქე, მოითხოვოს ახსნა-განმარტება საჭირო ცნობები და დოკუმენტები; იძულებითი წესით წარმოადგინოს პოლიციაში მოქალაქე, თუ იგი არასპატიოს მიზეზით თავს არიდებს გამოცხადებას;

— შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, უფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი;

— წარმომადგინოს და არაუმეტეს სამი საათისა პოლიციაში ამყოფოს სამართალდამრღვევი მისი პიროვნების დადგენის და ნივთების დათვლიერების მიზნით, რის შესახებაც შეადგენს სათანადო ოქმს;

— შეასრულოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებები;

— დადგენილი წესით დააკავოს პირი, რომელსაც მიესაჯა პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით ან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და თვითნებურად მიატოვა სამუშაო ადგილი;

— წარმომადგინოს პოლიციაში პირი, რომელიც ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის შედეგად საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან სხვას, მონაზღაპრის გამოსაფხიზლებლად მიყვანილი პირის პირადი გასინჯვა, შეინახოს მისი ნივთები, დოკუმენტები, რის შესახებაც ვალდებულია შეადგინოს ოქმი;

— კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები;

— საქართველოს რესპუბლიკის კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით განახორციელოს სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მატერიალურ ფასეულობათა დაცვა და კონტროლი დაცვაზე;

— სამეურნეო, სამეწარმეო და საგაჭრო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის შესახებ სარწმუნო მონაცემების არსებობისას, დაუბრკოლებლად შევიდეს ნაგებობებში, რომლებიც უკავია საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად (გარდა საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა), სამრეწველო ნაგებობებში, რომელთაც მოქალაქეები იყენებენ ინდივიდუალური და სხვაგვარი შრომითი საქმიანობისა და სხვა სახის მეწარმეობისათვის; ჩაატაროს, ქონების მესაკუთრის ან მისი წარმომადგენლების ან რწმუნებულ პირთა მონაწილეობით, სამრეწველო, სასაწყობო, საგაჭრო ან სხვაგვარი სამსახურებრივი ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა საცავი ადგილების დათვლიერება; შეამოწმოს ქონების შექმნის კანონიერება; ამოიღოს საჭირო დოკუმენტები მატერიალურ ფასეულობებზე, ფულად საშუალებებზე, საკრედიტო და საფინანსო ოპერაციებზე, აგრეთვე ნედლეულისა და პროდუქციის ნიმუშები; დააღუპოს სალაროები, დოკუმენტების, ფულის და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესანახი ადგილები და ნაგებობები; ჩაატაროს საკონტროლო შესყიდვები; მოითხოვოს შემოწმებების, ინვენტარიზაციისა და საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების სამრეწველო და საფინანსო სამეურნეო საქმიანობის რევიზიების სავალდებულო ჩატარება; მიიღოს მათი თანამდებობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისაგან ნივთები და განმარტებები კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამო;

— დანაშაულის ჩადენის ადგილზე პირის დასაკავებლად ან იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე მობინადრეთა თანხმობის გარეშე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, შევიდეს ბინაში; დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა, და კერძო პირების კუთვნილ არასაცხოვრებელ სათავსოებში, აგრეთვე მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე (აუკილებლობის შემ-

თხვევაში ფიზიკური ძალის გამოყენებითაც ვარდა იმ არასაცხოვრებელი სა-  
თავსოებისა და მიწის ნაკვეთების ტერიტორიისა, რომელთაც ექსტერნალიზაცია  
ლური და სპეციალური სარევიმო სტატუსი აქვთ; სტიქიური უბედურებებისა  
და სხვა განსაკუთრებული შემთხვევის დროს, როდესაც საფრთხე ექმნება  
ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არა-  
უგვიანეს 24 საათისა, წერილობით უნდა აცნობოს პროკურორს;

— ჩაკეტოს ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე სა-  
ზოგადოებრივი უსაფრთხოების, მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და  
ქონების დაცვის, ცალკეულ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების  
მიზნით;

— აკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება თუ შიშით კონ-  
სტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთ-  
ხოვნებს; სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩნდეს სატრანსპორტო  
საშუალებები და შეამოწმოს მძღოლების მართვის მოწმობა და სხვა საჭირო  
დოკუმენტები; მიიღოს ზომები დარღვევების აღსაკვეთად;

— ჩამოაშოროს სატრანსპორტო საშუალების მართვას პირი, რომელსაც  
არ გააჩნია მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა; ან როცა სატ-  
რანსპორტო საშუალებას მართავს პირი, რომლის მიმართ არსებობს საკმაოდ  
საფუძველი, რომ იგი ალკოპოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარე-  
ობაშია, პოლიცია მოვალეა ადგილზე შეამოწმოს იგი, საჭუთარი ინიციატი-  
ვით ან მისი მოთხოვნით დაუყოვნებლივ წარადგინოს სპეციალურ სამედიცინო  
დაწესებულებაში სიმთვრალის ხარისხის დასადგენად;

— მისცეს ნებართვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და  
მოქალაქეებს შეიძინონ, შეინახონ, გადაიტანონ და გამოიყენონ ცეცხლსასრო-  
ლი იარაღი, საბრძოლო მასალა, აქტიური თავდაცვისათვის განკუთვნილი სა-  
შუალებები და ნაკეთობანი, გაზის პისტოლეტები, გაზიანი ბალონები, ელექ-  
ტროშოკური მოწყობილობანი და სხვა; გააუქმოს ეს ნებართვა, თუ მისი მფლო-  
ბელნი არ აღულებენ მათი ხმარების დადგენილ წესებს და აუცილებლობის  
შემთხვევაში ჩამოართვას მათ აღნიშნული საგნები, საშუალებები და ნაკე-  
თობანი;

— გასცეს იარაღის სარემონტო, პიროტექნიკური საწარმოების, სსსროლი  
ტირების ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალათ მოვაჭრე მალა-  
ზიების გახსნის ნებართვები; გააუქმოს ასეთი ნებართვები, თუ მათი მფლო-  
ბელნი არღვევენ დადგენილ წესებს;

— საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით  
უფასოდ ისარგებლოს საქალაქო, საგარეუბნო და ადგილობრივი მიმოსვლის  
ყველა სახეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ტაქსის ვარდა), დაუბრკო-  
ლებლად გამოიყენოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საზო-  
გადოებრივი გაერთიანებებისა და მოქალაქეების კუთვნილი სატრანსპორტო სა-  
შუალებებით (საზღვაგარეთის სახელმწიფოების დიპლომატიური, საკონსულო  
და სხვა წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების სატრანსპორ-  
ტო საშუალებათა გარდა), რათა მივიდეს სტიქიური უბედურების ადგილას, სამ-  
კურნალო დაწესებულებებში მიიყვანოს მოქალაქე, რომელიც სასწრაფო სამე-  
დიცინო დახმარებას საჭიროებს;

— უსასყიდლოდ მიიღოს საწარმოების, ორგანიზაციების და მოქალაქე-

ეზისაგან ინფორმაცია, იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონით გათვალისწინებულია შესაბამისი ინფორმაციის მიღების სპეციალური წესი;

— კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, განმარტებისა და სასამართლოსაგან მიმალულ, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად მართლწესრიგის განსამტკიცებლად;

— ისარგებლოს მოქალაქის დახმარებით მისი თანხმობის შემთხვევაში, დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასაქავებლად, გადაუხადოს მას გასამრჩელო.

24

**მუხლი 19. ფიზიკური იძულებისა და სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება**

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, ხელბორკილი, შებორკვის სხვა საშუალებები, რეზინის ხელკეტი, ცრემლმდენი ნივთიერება, სპეციალური საღებავები, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მუქებგერიითი მოწყობილობები, დაბრკოლების დანგრევისა და ტრანსპორტის იძულებით გაჩერების საშუალებები, წყალსატყორცნები, ჯავშანმანქანები და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები, სასამსახურო ძაღლები შემდეგ შემთხვევებში:

— მოქალაქეზე, პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

— შენობა-ნაგებობებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე თავდასხმის მოსაგერიებლად ან შეიარაღებულ პირთა მიერ ხელში ჩაგდებული ობიექტების გასათავისუფლებლად;

— მძევლების გასათავისუფლებლად;

— მასობრივი არეულობისა და საზოგადოებრივი წესრიგის ჯგუფური დარღვევების აღსაკვეთად.

— სამართალდარღვევის დასაქავებლად და პოლიციაში ან სხვა სპეციალურ დაწესებულებაში მის მისაყვანად; დაკავებული, დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პირის გადაყვანისას, თუ იგი არ ემორჩილება ან წინააღმდეგობას უწევს პოლიციის თანამშრომელს და ცდილობს გაიქცეს ან ზიანი მიაყენოს გარეშე მყოფთ ან თავის თავს;

— პოლიციის თანამშრომლის ან სხვა პირის კანონიერი მოთხოვნისაღმძიროტი დაუმორჩილებლობისას, როცა ეს პირები ასრულებენ მართლწესრიგის დაცვისა და დანაშაულობასთან ბრძოლის სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას;

სპეციალური საშუალების სახე—ფიზიკური იძულების ინტენსივობა—განი-საზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სა-მართალდარღვევის ინდივიდუალური თავისებურებებით, ამით გამოწვეული ზოსალოდნელი ზიანის მაქსიმალურად თავიდან აცილების გათვალისწინებით.

პოლიციის თანამშრომელი მოვალეა პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაზარალებულ პირს, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ უშუალო უფროსს, რომელიც აუწყებს პროკურორს;

აკრძალულია ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალებების გამო-ყენება ორსული ქალებისა და მცირეწლოვნების, ხანდაზმული პირების და იმ

ადამიანების მიმართ, რომლებსაც ინვალიდობის აშკარა ნიშნები აქვთ, შემთხვევების გარდა, თუ ისინი ახდენენ შეიარაღებულ ან ჯგუფურ ძალადობას, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციას, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და პოლიციის მუშაეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ზედხეობითა და საშუალებებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია;

ამ დეკრეტით ნებადართული სპეციალური საშუალებების სახეებს, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის მინისტრთან შეთანხმებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

## § 7 მუხლი 20. პოლიციის თანამშრომლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლება ფაქტობრივად გასროლია პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს ატაროს და შეინახოს სამსახურებრივად დანიშნულებით გაცემული ცეცხლსასროლი იარაღი, პოლიციის თანამშრომლის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესს და პირობებს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი.

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი უკიდურესი ღონისძიების სახით შემდეგ შემთხვევებში:

— სხვა პირთა და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

— მძევლების გასანთავისუფლებლად;

— შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევი პირის დაკავებისას;

— პატიმრობიდან გაქცევის აღსაკვეთად;

— შეიარაღებული პირის დაკავებისას, რომელიც უარს აცხადებს იარაღის ჩაბარების კანონიერი მოთხოვნების შესრულებაზე;

— მოქალაქეთა ბინებზე, დაცულ ობიექტებზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების შენობებზე, შინაგან საქმეთა ორგანოებზე შეიარაღებული თავდასხმის მოსაგერიებლად;

— მოქალაქეთა დასაცავად საშიშ ცხოველთა თავდასხმისაგან;

— განჯაშის სიგნალის მისაცემად ან დამზმარე ძალის გამოსაძახებლად;

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია გამაფრთხილებელი გასროლა.

გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

— მოულოდნელი შეიარაღებული საბრძოლო ტექნიკის ან ნებისმიერი სახის ავტომოტო-სატრანსპორტო ან სხვა მექანიკური საშუალებებით თავდასხმისას;

— იარაღის მომარჯვებით, სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით ან სატრანსპორტო საშუალებიდან პატიმრის გაქცევისას;

აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, რა-

საც შეიძლება სხვა პირთა დაზიანება მოჰყვეს, ასევე ორსული ქალისა და მცირეწლოვანის მიმართ, იმ შემთხვევის გარდა, როცა ისინი ახდენენ შეიარაღებულ ჭკუფურ თავდასხმას, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა ან პოლიციის მუშაკთა სიცოცხლეს.

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს ამოიღოს და გასასროლად მოამზადოს იარაღი, თუ ჩათვლის, რომ შექმნილ ვითარებაში გამორიცხული არ არის მისი გამოყენება.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი მოვალეა ყოველი ღონე იხმაროს სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; დაზარალებულთათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად.

პოლიციის თანამშრომლის საქმიანობაზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის ნორმები.

პოლიციის პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ.

**თავი IV. პოლიციის თანამშრომლის სამართლებრივი დაცვა, სოციალური გარანტიები და პასუხისმგებლობა**

**მუხლი 21. პოლიციის თანამშრომლის სამართლებრივი დაცვა**

პოლიციის თანამშრომელი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული მისი კანონიერი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა პირისათვის, პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ისჯება კანონით.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, პოლიციის თანამშრომელს, მის ხელშეუხებლობას, ღირსებასა და პატივს სახელმწიფო იცავს. პოლიციის თანამშრომლის ღირსების შელახვა, წინააღმდეგობის გაწევა, სიცოცხლის ხელყოფა, ან სხვა მოქმედება, რომელიც ხელს უშლის მისი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებას, ისჯება კანონით.

პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა სავალდებულოა შესასრულებლად;

პოლიციის თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ემორჩილება თავის უშუალო და ზემდგომ უფროსს. კანონსაწინააღმდეგო ბრძანების, განკარგულების ან მითითების მიღებისას პოლიციის თანამშრომელი ხელმძღვანელობს კანონით.

პოლიციის რიგოსან და მეთაურთა შემადგენლობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივის, ღირსებისა და ქონების, მათი ოჯახების პატივის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პოლიციის თანამშრომელთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით, ფიციით, წესდებებით, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის შესახებ დებულგნით და ამ დეკრეტით.

**მუხლი 22. პოლიციის თანამშრომელთა სოციალური გარანტიები**

პოლიციელს სოციალური დაცვის გარანტიას სახელმწიფო აძლევს.

პოლიციის თანამშრომელი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას, ზარალი, რომელიც მიადგა პოლიციის თანამშრომელს ან მის ახლობლებს პოლიციის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაკავშირებით, სრული მოცულობით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს უზღიან ერთდროულ კომპენსაციას სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან 10 წლის ხელფასის ოდენობით, დაკრძალვა ხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

პოლიციელს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაიჭრა, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, უზღიან კომპენსაციას ბიუჯეტის სახსრებიდან 1-დან 5 წლამდე, მიღებული ხელფასის ოდენობით.

სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, პოლიციის თანამშრომლის ან მისი ახლო ნათესავის ქონებისათვის მიყენებული ზარალი სრული მოცულობით ანაზღაურდება ბიუჯეტის სახსრებიდან.

პოლიციის თანამშრომელს ეძლევა საცხოვრებელი ფართი ბინაზე ტელეფონის დადგმით, საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბინის და კომუნალური მომსახურების ქირას იხდის ორმოცდაათპროცენტიანი შეღავათით.

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს უფასოდ ისარგებლოს საქალაქო, საგარეუბნო და ადგილობრივი მიმოსვლის ყველა სახეობის ტრანსპორტით (ტაქსის გარდა).

პოლიციის თანამშრომელს, რომელიც განთავისუფლდა სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის მოშლის გამო, და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვს მიიღოს პენსია, უნარჩუნდება მას და მისი ოჯახის წევრებს სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებაში.

სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ასეთივე უფლება შენარჩუნებულია იმ პოლიციელთა ოჯახის წევრების მიმართ, რომლებიც ლაილუბნენ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს.

პოლიციის თანამშრომელს პენსია ენიჭება რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით. წელთა ნამსახურობის გამო პენსიაზე გასვლასთან ან პროფესიულ დაავადებასთან დაკავშირებით, დადგენილი ასაკის შესრულების ან ინვალიდობის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ უნარჩუნდება ამ დეკრეტით გათვალისწინებული გარანტიები.

**მუხლი 23. პოლიციის თანამშრომლის პასუხისმგებლობა**

პოლიციის თანამშრომელი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხს აგებს კანონითა და დისციპლინარული წესდებით გათვალისწინებული წესით. თუ პოლიციის თანამშრომელმა დაარღვია მოქალაქის უფლება ან შელახა მისი კანონიერი ინტერესები, პოლიციის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს ამ უფლებათა აღდგენისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ღონისძიებები.

უკანონო ბრძანების ან განკარგულების ნებით შესრულება პოლიციის თანამშრომელს პასუხისმგებლობიდან არ ათავისუფლებს.

პოლიციის თანამშრომელი ჩადენილი დანაშაულისათვის დაკისრებულ სასჯელს იხდის საერთო საფუძველზე, ოღონდ სხვა მჯავრდებულთაგან განცალკავებით.

პოლიციის თანამშრომელი ადმინისტრაციული გადაცდომების ჩადენისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიეცემა კანონით დადგენილი წესით.

პოლიციის თანამშრომლის მოქმედებაზე მოქალაქეთა საჩივრებს განიხილავს და წყვეტს პოლიციის იმ დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელშიც პოლიციის ეს თანამშრომელი მუშაობს. მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაუთანხმებლობის შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია მიმართოს პოლიციის ზემდგომ დაწესებულებას, პროკურატურას ან სასამართლოს.

**მუხლი 24. პოლიციის თანამშრომლის ქმედებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება**

პოლიციის თანამშრომლის უკანონო ქმედებით მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პოლიციის თანამშრომლის მართლზომიერი მოქმედებით მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის მიყენებულ ზარალს ანაზღაურებს სახელმწიფო, კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 25. პოლიციის პირადი შემადგენლობა. პოლიციაში მიღება და დათხოვნა**

პოლიციის სამსახურში მიიღება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არანაკლებ 20 წლისა და არაუმეტეს 30 წლისა, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, პიროვნული თვისებებით, განათლებით, ფიზიკური მომზადებით და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს პოლიციაზე დაკისრებული მოვალეობები.

პოლიციაში არ მიიღება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელმოსილი პირი.

პოლიციის სამსახურში მიღებულმა მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი ან სპეციალური განათლება უნდა გაიაროს პირველდაწყებითი სპეციალური პროფესიული მომზადება.

პოლიციის სამსახურში მიღებული პირი თავისუფლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან, იხსნება სამხედრო აღრიცხვიდან და ირიცხება შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრებში.

პოლიციის რიგოსან და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის თანამდებობები კომპლექტდება სახელშეკრულებო (საკონტრაქტო) საფუძველზე, სავალდებულო სამხედრო სამსახურგავლილი პირებითა და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს თადარიგში მყოფი სხვა პირებით (თადარიგო ოფიცერთა შემადგენლობის გარდა).

პოლიციის თანამშრომელმა უნდა გაიაროს ატესტაცია დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. მას ენიჭება სპეციალური წოდება.

პოლიციის თანამშრომელს ეკრძალება გაფიცვების მოწყობა და მათში მონაწილეობა.

პოლიციის თანამშრომელი შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან განსაზღვრული ასაკის ან წელთა ნამსახურების ვადის მიღწევის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიცის დარღვევის, დანაშაულის ჩადენისათვის, მსჯავრდების,

შტატების შემცირების გამო, სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის სხვა ორგანოებში არჩევასთან ან დანიშვნასთან დაკავშირებით, ან საკუთარი სურვილით.

პოლიციაში სამსახურის გავლის წესი და პირობები განსაზღვრულია, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ.

**მუხლი 26. პოლიციის თანამშრომლის სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურება**

პოლიციის თანამშრომლისათვის დადგენილია ორმოცდაერთსაათიანი სამუშაო კვირა და არანორმირებული სამუშაო დღე.

პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივ, სპეციალური წოდებისათვის განაკვეთს, დანამატს წელთა ნამსახურობისათვის, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია; დანამატს დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში მუშაობისათვის, დამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს დანამატებსა და კომპენსაციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, დადგინდება რესპუბლიკის მთავრობის მიერ, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით.

პოლიციის თანამშრომლის წლიური შვებულების ხანგრძლივობა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს, თუ მას შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის 10 წლამდე სტაჟი აქვს; 35 კალენდარული დღე — 10-15 წლამდე, 40 კალენდარული დღე — 15-20 წლამდე, 45 კალენდარული დღე — 20 წელზე მეტი მუშაობის სტაჟისათვის.

**მუხლი 27. პოლიციის კადრების მომზადება**

პოლიციის კადრების მომზადება ხდება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში არ მიიღება პირი, რომელსაც არ შესრულებია თვრამეტი წელი.

**მუხლი 28. პოლიციის თანამშრომლის ფორმა**

პოლიციის თანამშრომელი ატარებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ფორმის ტანსაცმელს, რომელსაც უნდა ჰქონდეს პოლიციის სახეობის განმასხვავებელი ნიშანი.

პოლიციის თანამშრომელს თავის უფლებამოსილებათა დასადასტურებლად ეწლევა პირადობის მოწმობა და სპეციალური ქეტონი.

**მუხლი 29. წახალისება მუშაობაში წარმატებისათვის**

სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულების, ხანგრძლივი უპრობლემო მუშაობისა და სხვა მიღწევებისათვის პოლიციელის მიმართ გამოიყენება წახალისების შემდეგი ღონისძიებები.

1. მაღლობის გამოცხადება;
2. პრემიის მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
3. 5 დღე-ღამე დამატებითი შვებულების მიცემა;
4. საპატიო სიგელით დაჯილდოება;

5. შინაგან საქმეთა ორგანოების სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
  6. მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;
  7. თანამდებობით გათვალისწინებულ წოდებაზე ერთი საფეხურით მაღალი სპეციალური წოდების მომატება;
  8. წინათ დადებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
  9. პოლიციის თანამშრომლებზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ვაჟაკობისათვის და მამაცობისათვის იყენებენ მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებებს.
- პოლიციის თანამშრომლის წახალისების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინარული წესდება.

**მუხლი 30. პოლიციის თანამშრომლის პასუხისმგებლობა**

სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევებისა და გადაცდომებისას გამოიყენება შემდეგი დისციპლინარული სახდელები:

1. შენიშვნა;
2. საყვედური;
3. სასტიკი საყვედური;
4. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;
5. თანამდებობიდან ჩამოქვეითება;
6. სპეციალური წოდების ჩამოქვეითება ერთი საფეხურით;
7. შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნა.

დისციპლინური სასჯელების გამოყენებისა და მოხსნის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინარული წესდება.

**თავი V. პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

**მუხლი 31. რესპუბლიკური, რაიონული და ქალაქის პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

რესპუბლიკური, რაიონული და ქალაქის პოლიციის დაფინანსება ხორციელდება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, დაწესებულებების, ორგანიზაციების და საქალაქებისაგან ხელშეკრულების საფუძველზე, მათთვის გაწეული მომსახურებისათვის, შემოსული საბსრების, კანონით გათვალისწინებული ანარიცხებისა და სხვა წყაროებიდან.

რესპუბლიკურ პოლიციას, მის ქვედანაყოფებს და დაწესებულებებს შეეზღოებათ, სადგომებითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით უფასოდ უზრუნველყოფენ სახელმწიფოებრივი მმართველობის ადგლობრივი ორგანოები, ხოლო სატრანსპორტო პოლიციის ორგანოებს, ქვედანაყოფებს და დაწესებულებებს — შესაბამისი სატრანსპორტო უწყებები და ორგანოები.

ფორმის ტანსაცმლით, სატაბელო იარაღით, საბრძოლო მასალით, სპეციალური საშუალებებითა და ტექნიკით რესპუბლიკის, რაიონისა და ქალაქის პოლიციას ამარაგებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, შესაბამისი დაფინანსების წყაროებიდან.



**მუხლი 32. კონტროლი პოლიციის საქმიანობაზე**

პოლიციის საქმიანობას აკონტროლებენ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები კომპეტენციის ფარგლებში.

პოლიციის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოები არ ერევიან მის ოპერატიულ-სამძებრო, პროცესუალურ საქმიანობაში და ადმინისტრაციულ გადაცდომათა საქმის წარმოებაში.

**მუხლი 33. ზედამხედველობა პოლიციის საქმიანობაში კანონიერების დაცვაზე**

პოლიციის საქმიანობაში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ელზარდ შვიპარდნაძე

ქ. თბილისი, 1992 წლის 17 ივნისი



# საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროთაღმართი დებულება

თავი I.

**ზოგადი დებულებები**

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო (შინაგან საქმეთა სამინისტრო) სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოა, რომელიც შედის საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ორგანოების სისტემაში და მოვალეა დაიცვას მოქალაქის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება, უფლებები და თავისუფლებები, საკუთრება, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები დანაშაულებრივი და საზოგადოებრივად საშიში სხვა ქმედებებისაგან.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სა-

ქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს რესპუბლიკის კანონებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტებით, ამ დებულებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება ხდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

შინაგან საქმეთა სამინისტრო იურიდიული პირია, აქვს ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის გერბისა და სახელწოდების გამოსახულებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თანამშრომლობს სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან, საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად დედებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა ეფუძნება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, დემოკრატიის, ჰუმანურობის, საჯაროობის პრინციპებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, შრომით კოლექტივებს, მოქალაქეებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება არა აქვს გაამყდევნოს სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, გამოძიების მასალები, ინფორმაცია, რომელიც ეხება მოქალაქის პირად ცხოვრებას და ლახავს მის პატივსა და ღირსებას, მოკვლევის და წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურება შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## თავი 2.

### შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანები და ფუნქციები

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

- მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების დაცვა;
- საკუთრების დაცვა;
- დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევების აღკვეთა, დანაშაულის გასწავლა და გამოძიება;
- საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების დაცვა, უცხოეთის წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური კორპუსების დაცვა;
- მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასჯელისა და სახდელის აღსრულება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში გარემოს დაცვა;
- სამართალდარღვევის შედეგად დაზარალებულ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.

2. შინაგან საქმეთა სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად:

— აყალიბებს დანაშაულობასთან და სამართალდარღვევებთან ბრძოლას პოლიტიკას, ორგანიზაციას უწევს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას, განსაზღვრავს მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების და ქვედანაყოფების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ითვალისწინებს მასზე დაკისრებული ამოცანების გადაჭრის ხერხებსა და საშუალებებს;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციას უწევს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ცხოვრებაში გატარებას, ახორციელებს მათ შესრულებაზე კონტროლს, განაზოგადებს მათი გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად, ხელს უწყობს მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას;

— ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, კანონით დადგენილი წესით აწარმოებს მოკვლევას;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში ატარებს წინასწარ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე;

— კანონით დადგენილი წესით აწარმოებს მიმალულ ექვმიტანილთა, ბრალდებულთა, სამართალში მიცემულთა, მსჯავრდებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა და ქონების ძებნას;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქმნის და ხელმძღვანელობს საჯაროსო ნაწილებსა და დაწესებულებებს, მათი მმართველობის ორგანოებს;

— ორგანიზაციას და კოორდინაციას უწევს სპეციალური დანიშნულებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას;

— ორგანიზაციას უწევს სასამართლოს განაჩენებისა და განჩინებების, პროკურორის დადგენილებების აღსრულებას, დაპატიმრებისა და სხვა იძულებითი ღონისძიებების შესახებ;

— ორგანიზაციას უწევს და აკონტროლებს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების, ნარკოტიკული საშუალებების და სანებართვო სისტემით რეგლამენტირებული სხვა საგნებისა და მასალების შექმნის, შენახვისა და გადაზიდვის დადგენილი წესების დაცვას;

— არეგულირებს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობას, ზედამხედველობას უწევს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვას;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ეკოლოგიის დაცვის წესების შესრულებას;

— სტიქიური უბედურების და სხვა საგანგებო შემთხვევების დროს განახორციელებს ღონისძიებებს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათი ქონების გადასარჩენად, გადაუდებელ დახმარებას უწევს სამართალდარღვევის შედეგად დაზარალებულ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირებს;

— ხელმძღვანელობს კადრების შერჩევას, განთავსებას და აღზრდას ყველა სამსახურისა და ქვედანაყოფში; გეგმავს სპეციალისტთა მოთხოვნას, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ სასწავლებლებთან ერთად ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

შინაგან სამართა სამინისტროს დარგობრივი სამსახურები

§ 1. კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველო

კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია დანაშაულის გახსნა; დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენა, დანაშაულის თავიდან აცილების უზრუნველყოფა.

დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

— ორგანიზაციას უწყევს და ახორციელებს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებისა და პრინციპების დაცვით კანონმდებლობის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, რომელიც გულისხმობს კონსპირაციულად — მოქალაქეთა გამოკითხვას, ცნობების შეგროვებას, ნიმუშების შეგროვებას შედარებითი გამოკვლევისათვის, საკონტროლო შესყიდვებს, საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევას, პიროვნების დადგენას, თვალთვალს, შენობების, ნაგებობების ადგილმდებარეობის და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებას, მსჯავრდებულთა კორესპონდენციების ცენზურას, სატელეფონო და სხვაგვარი საუბრების მოსმენას, კავშირგაბმულობის და ტექნიკური არხებიდან ინფორმაციის ამოღებას.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებისას გამოიყენება ინფორმაციული სისტემები, ვიდეო და აუდიო ჩაწერა, კინო და ფოტო გადაღება, აგრეთვე სხვა ტექნიკური საშუალებები.

კრიმინალური პოლიციის თანამდებობის პირები, რომლებიც ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობას, შესაბამის ამოცანებს წყვეტენ ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობის ორგანიზაციაში პირადი მონაწილეობის გზით და იმ თანამდებობის პირებისა და სპეციალისტების დახმარებით, რომლებიც ფლობენ მეცნიერულ, ტექნიკურ და სხვაგვარ სპეციალურ ცოდნას, აგრეთვე ცალკეული მოქალაქეების შემწეობითა და პირადი თანხმობით, ფარულ და არაფარულ საფუძველზე.

საცხოვრებელი ფართის დათვალიერება, სატელეფონო და სხვა საუბრების მოსმენა, სატელეგრაფო შეტყობინებათა, მიმოწერის შემოწმება დაიშვება პროკურორის სანქციით კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს რომელიმე ხელმძღვანელი მუშაის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე იმ პირთა შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, რომლებმაც განახორციელეს მძიმე დანაშაულის მცდელობა ან მომზადება, ან ჩაიდინეს მძიმე დანაშაული.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ორგანიზაცია და გატარების ტაქტიკა სახელმწიფო საიდუმლოებაა.

კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველო

— განსაზღვრავს კრიმინალური პოლიციის საქმიანობის სტრატეგიასა და ტაქტიკას, მეთოდებსა და ფორმებს;

— დანაშაულის გახსნის მიზნით ორგანიზაცია და კოორდინაციას უწყევს სარეგონათაშორისო და რესპუბლიკურ ღონისძიებებს, უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულთა გახსნაში;

— ქმნის კრიმინალურ კართოტეკებს, კოლექციებს, ატარებს კრიმინალისტიკურ გამოკვლევებს;

— ორგანიზაციას და კოორდინაციას უწყევს კრიმინალური პოლიციის ქვე  
დანაყოფების საქმიანობას;

— თანამშრომლობს სამართალდამცავ სხვა ორგანოებთან;

— მონაწილეობას იღებს დანაშაულის გახსნასა და წინასწარ გამოძიებაში;  
კრიმინალური პოლიციის სტრუქტურას ამტკიცებს შინაგან საქმეთა მი-  
ნისტრი.

კრიმინალური პოლიციის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობს მთა-  
ვარი სამმართველოს უფროსი — შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოად-  
გილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შინაგან საქმე-  
თა მინისტრი.

კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ბერსონალუ-  
რად აგებს პასუხს ამ სამმართველოზე დაკისრებული ამოცანების შესრულები-  
სათვის.

კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის არყოფნის  
შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მთავარი სამმართველოს უფროსის  
ერთ-ერთი მოადგილე შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში შე-  
დის:

ა) ღამნაშაგის სამძებრო სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

პიროვნების, საკუთრების, არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის,  
უცხოელების მიმართ ჩადენილ დანაშაულთან, ნარკობიზნესის, შიდსის გავრ-  
ცელებისა და პროსტიტუციის, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების  
წინააღმდეგ ბრძოლა, სასაქელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსებული  
პირების ოპერატიული მომსახურება, ძებნა, პროფილაქტიკური ღონისძიებების  
განხორციელება, საინფორმაციო საქმიანობის და ოპერატიული ანალიზის სექ-  
ტორი.

ღამნაშაგის სამძებრო სამსახურის მიმართულებები განისაზღვრება საქი-  
რთველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში კორუფციის და  
სხვა დანაშაულებრივი ფორმირებების ორგანიზატორების გამოვლენა და მათი  
საქმიანობის აღკვეთა; მასობრივი აჩუქებლობების, რასაც თან ახლავს დარბევა,  
ნგრევა, აფეთქება, ცეცხლის წაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, ორგანი-  
ზატორების და აქტიური მონაწილეების გამოვლენა და მათ წინააღმდეგ  
ბრძოლა; ბანდიტური ფორმირებების გამოვლენა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა;  
ტერორიზმის, დივერსიის, რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლა; ნარკობიზნესის სფე-  
როში საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდე-  
ბულებების შესრულება; საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარკო-  
ტიკულ ნივთიერებათა უკანონო შემოტანის და გავრცელების წინააღმდეგ  
ბრძოლა; იარაღის, ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი, მომწამლავი და ნარკოტი-  
კული ნივთიერებების რესპუბლიკის ტერიტორიაზე კონტრაბანდის გზით შე-  
მოტანის წინააღმდეგ ბრძოლა და იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც იარაღის

დამზადებას, შესყიდვასა და გასაღებას ეწევიან; საინფორმაციო საქმიანობის და ოპერატიული ანალიზის სექტორი.

ოპერატიული რეაგირების სამსახური ახორციელებს შეიარაღებულ დამნაშავეთა დაკავებას მათი ნეიტრალიზაციის მიზნით. სამსახური ყაზარმულ მდგომარეობაზეა, აქვს მუდმივი დისლოცირების ადგილი, აღჭურვილია სპეციალური საშუალებებით, ტრანსპორტით და შეიარაღებულია ცეცხლსასროლი იარაღით.

### გ) სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულთან მებრძოლი სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, დაუდევრობის, ქრთამის აღების, მექრთამეობაში შეამავლობის, ქრთამის მიცემის, სამსახურებრივი სიყალბის, აკრძალული რეწვის, მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუების, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღების, ნარკოტიკული, სხვა ძლიერმოქმედი და შხამიან ნივთიერებათა გატაცების, მათი უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის, გადაზავნის ან გასაღების და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამეურნეო და თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. საინფორმაციო საქმიანობის და ოპერატიული ანალიზის სექტორი.

### დ) ოპერატიული დაწვერვის სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საიდუმლო მეთვალყურეობა, ელექტრონული მოსმენა, აუდიო-ვიდეო ფიქსაცია, ოპერატიული დადგენა, საიდუმლო დათვალიერება და პირადი დაწვერვა.

### ე) სპეციალური საინფორმაციო სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ყველა სახის ოპერატიული და კრიმინალისტიკური აღრიცხვა, უცხოეთის ქვეყნებთან ინფორმაციების გაცვლა, საარქივო საქმიანობა.

### ვ) ოპერატიული კავშირგაბმულობის და ტექნიკური სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სატელეფონო საუბრების საიდუმლო მოსმენა და აუდიო-ვიდეო ფიქსაცია და სპეციალური ტექნიკის გამოყენება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში.

### გვ. საზოგადოებრივი უსიძრობის და უშიშროების პოლიციის

#### შტაბარი სამმართველო

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების უზრუნველყოფა მასობრივი რესპუბლიკური, რაიონული და სხვა ღონისძიებების ჩატარების დროს;

— სახელმწიფო დაწესებულებების, უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების და სხვა მნიშვნელოვან ობიექტთა დაცვა;

— საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, დანაშაულისა და სამართალ-დაღვევათა აღკვეთის მიზნით ღონისძიების შემუშავება და გატარება;

— კანონით დადგენილი წესით დაკავებულ პირთა დაცვის და გადაყვანის უზრუნველყოფა, სასამართლოს გადაწყვეტილებების, გამოძიებლის და პროკურორის დადგენილებების აღსრულება;

— თავის კომპეტენციის ფარგლებში სასჯელებისა და სახდელების აღსრულება.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიციის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობს მთავარი სამმართველოს უფროსი — შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიციის მთავარ სამმართველოს უფროსი პერსონალურად აგებს პასუხს ამ სამმართველოზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე.

საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მთავარი სამმართველოს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების პოლიციის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში შედის:

#### ა) ადმინისტრაციული პოლიცია

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

საპატრულო-საგუშუაგო სამსახური, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების აღკვეთა, სამთავრობო და დიპლომატიური კორპუსის დაცვა, საპასპორტო და ვიზების რეგისტრაცია, სანებართვო სისტემა, საბადრაგო და დროებითი დაკავების იზოლატორის და სამედიცინო გამოსაფხიზლებლების, სპეციალური მიმღებებისა და მიმღებ-გამანაწილებლების საქმიანობის ორგანიზაცია; ეწევა საკუთრივო სამსახურს, როგორც რესპუბლიკაში, ისე საზღვარგარეთ.

#### ბ) საგზაო პოლიცია

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— საგზაო პოლიციის ქვედანაყოფების საპატრულო საქმიანობის ორგანიზაცია, კოორდინაცია და კონტროლი; საგზაო, ტრანსპორტის ობიექტების, მოძრაობის ორგანიზაციის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების პროექტების განხილვა; პრაქტიკული და მეთოდური დახმარება მოძრაობის რეგულირების საკითხებზე; უშუალო კონტროლი ძირითად გზებზე, მათ შესაბამისობაზე მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნასთან.

სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციის ექსპერტიზის ჩატარება, სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების კონტროლი და ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების ორგანიზაცია.

სატრანსპორტო საშუალებათა გარემოზე ზემოქმედების კონტროლი;  
მოდრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.

### ვ) საკუთრების დაცვის პოლიცია

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ხელშეკრულების საფუძველზე წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, მშენებლობების, მოიჯარე, სამეურნეო ანგარიშისა თუ თვითდაფინანსებაზე გადასულ კომერციულ, პრივატიზებულ და სხვა ობიექტების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან; მოქალაქეთა ქონების და ცალკეულ პირთა დაცვა, ასევე ჩამოთვლილ ობიექტებზე ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვითი სიგნალიზაციის მონტაჟი, მისი მომსახურება.

ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების დაცვის სამსახურმა შეიძლება ივალდებულოს ფულადი სახსრების, სპეციალური პროდუქციის გაცილება და სხვა დაცვითი სამუშაოების შესრულება.

### დ) სახანძრო პოლიცია

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ხანძრის, აფეთქებისა და ავარიის, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და წესების შემუშავება და მათ შესრულებაზე კონტროლი, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის განხორციელება.

### ე) ეკოლოგიის პოლიცია

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

საკარანტინო სამსახური, საზღვაო და თევზის მეურნეობის, წყალსაცავებისა და წყალმომარაგების ნაგებობათა დაცვა; ბუნების დაცვის ნორმებისა და მოთხოვნების დარღვევებთან, გარემოს დაბინძურების შესახებ მონაცემების დაფარვასთან, ნადირობის და თევზჭერის წესების დარღვევებთან ბრძოლა.

### ვ. სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამართლებლო

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებზე;

— რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო ტრანსპორტზე, ამ სამსახურის ქვემდებარე ტერიტორიაზე არსებულ გზებზე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა, ჩადენილ დანაშაულთა გახსნა და გამოძიება; მოქალაქეთა უფლებების, კანონიერი ინტერესების, საკუთრების დაცვა;

— სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებების ორგანიზაცია;

— იმ პირების და მათი ნივთების შემოწმება, რომელთაც განზრახული აქვთ თვითმფრინავით მგზავრობა;

— საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში სატრანსპორტო პოლიციის ქვედანაყოფთა საქმიანობის ორგანიზაცია და კონტროლი.



გზათა მიმოსვლის, რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო და საბაჟო სამსახურებთან თანამშრომლობა და მათთვის დახმარების გაწევა სამგზავრო და სატვირთო გადაყვანა-გადაზიდვის უშიშროების უზრუნველყოფაში.

სატრანსპორტო პოლიციის შემადგენლობაში შედის: კრიმინალური პოლიცია — ტვირთის და სარკინიგზო ნაგებობებზე ხელყოფის, დამნაშავეის დაძებნის, სამეურნეო და თანამდებობრივი დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურები; საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების პოლიცია; საგამოძიებო სამსახური; კაღრების, საფინანსო და სამეურნეო სამსახურები.

სატრანსპორტო პოლიციისადმი დაქვემდებარებული სახაზო ორგანოებია: რკინიგზის პოლიცია, საჰაერო პოლიცია, საზღვაო პოლიცია.

სატრანსპორტო პოლიციის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობს მთავარი სამმართველოს უფროსი, რომელიც პერსონალურად აგებს პასუხს ამ სამმართველოზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე.

სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შინაგან საქმეთა მინისტრი მთავარი სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანების საფუძველზე.

**§ 4. შინაგანი ქარის მთავარი სამმართველო**

შინაგანი ქარის მთავარი სამმართველო ორგანიზაციას უწევს შინაგანი ქარის ამოცანების განხორციელებას, რომელთა რიგს განეკუთვნება:

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სარეჟიმო ობიექტების, სპეციალური ტვირთის დაცვა;
- მონაწილეობა ხანძრის, აფეთქების და ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში;
- სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების დაცვა;
- პატიმრობაში მყოფ პირთა ბადრაგირება და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა სასამართლო სხდომაზე წარდგენა;
- შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის დახმარების გაწევა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, მონაწილეობა ჯგუფურ და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მსჯავრდებულთა მასობრივი დაუმორჩილებლობის აღკვეთაში;
- მონაწილეობა გაქცეულ მსჯავრდებულთა ძებნასა და დაკავებაში;
- მონაწილეობა მოწინააღმდეგის დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფებისა და დესანტის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- დახმარების გაწევა მესაზღვრეებისათვის საზღვრის დაცვაში;
- შინაგანი ქარის საქმიანობა განისაზღვრება შინაგანი სამსახურის დისციპლინური, საგარნიზონო, საყარაულო და სამწყობრო წესდებით.

**§ 5. სასჯელის აღსრულების სამსახური**

სასჯელის აღსრულების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია მსჯავრდებულთა დაცვა, ზედამხედველობა, დასაქმება, დანაშაულის აღკვეთა-აცილება და გამოვლენა (სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში პროფილაქტიკური და

ოპერატიულ-სამძებრო მეთოდების გამოყენებით), აღმზრდელობითი მუშაობა, ბადრაგირება, კომუნალური მომსახურება, სამეურნეო-ფინანსური და საწარმოო საქმიანობა.

### § 6. შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბი

— აკონტროლებს მთავრობის გადაწყვეტილებების და სამინისტროს ხელმძღვანელობის ბრძანებების, მითითებების და სხვა ნორმატიული აქტების შესრულების მდგომარეობას; აწარმოებს სამინისტროს ორგანოების და ქვედანაყოფების ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის კომპლექსურ ინსპექტირებას, ანალიზებს დამნაშავეობის მდგომარეობას, შეიმუშავებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამუშაო გეგმებს, ამზადებს სხვადასხვა ინსტანციებში გასაგზავნ მასალებს.

— ახორციელებს ძალთა და საშუალებათა მართვას, ორგანიზაციას უწყევს დანაშაულის შესახებ შემოსულ ინფორმაციაზე დროულ რეაგირებას, ლებულობს და ამუშავებს ადგილებიდან შემოსულ ინფორმაციას რესპუბლიკაში შექმნილი ოპერატიული ვითარების შესახებ, ამზადებს სადღეღამისო ცნობას და უგზავნის შესაბამის ხელმძღვანელებს.

### § 7. საგამოძიებო სამმართველო

საგამოძიებო სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

- დანაშაულის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება;
- გამოძიების სტადიაზე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- კანონის სწორი გამოყენებით იმის უზრუნველყოფა, რომ არცერთი პირი არ იქნეს უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და დაბატიმრებული;
- დაკავებულ, დაბატიმრებულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა პატივისა და ღირსების, აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა უფლებების დაცვა;
- დანაშაულის მიზეზებისა და პირობების დადგენა და მათი აღმოფხვრისათვის ზომების შეღებვა;
- საკონტროლო-მეთოდური ხელმძღვანელობა საგამოძიებო მუშაობაზე.
- საგამოძიებო სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი;

### § 8. სამკსპერტო — კრიმინალისტიკური სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

საექსპერტო-კრიმინალური გამოკვლევების ჩატარება, ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში კრიმინალისტიკური ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვა.

### § 9. კადრების სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურების, ორგანოებისა და დანაყოფ-



ფების საქმიანობის საკადრო უზრუნველყოფა;

— კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, მათი შერჩევის, სამსახურში დამაგრებისა და პროფესიული ჩამოყალიბებისაკენ მიმართული მუშაობის სრულყოფა;

— ხელმძღვანელ მუშაკთა თანამდებობებზე დაკომპლექტება მაღალზნობრივი, კომპეტენტური და ინიციატივით, ამ საქმეში დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოება, დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შექმნა;

— საორგანიზაციო სტრუქტურებისა და შტატების სრულყოფა, მმართველობის აპარატის გამარტივებისა და გაიაფებისკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება;

— კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია;

— პირადი შემადგენლობის მიერ დისციპლინისა და კანონიერების ზუსტი დაცვის, კადრებთან მუშაობისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა;

— შინაგან საქმეთა ორგანოებში კადრებთან მუშაობაზე საორგანიზაციო-მეთოდური ხელმძღვანელობის გაწევა. ამ დარგში დაგროვილი გამოცდილების განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვა;

— პირადი შემადგენლობის — ზნეობრივი თვისებების ამაღლება და განმტკიცება, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება;

— სამინისტროს სამსახურების, ორგანოთა და დანაყოფების საქმიანობაში კანონიერების განუხრეკლ დაცვაზე კონტროლის განხორციელება, პირადი შემადგენლობის მიერ დაშვებულ არამართლობიერ ქმედებებთან ბრძოლა და მათი თავიდან აცილება.

### § 10. პოლიციის პაალმია

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის კადრების მომზადება, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, მეცნიერული გამოკვლევების ორგანიზაცია და მისი მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა.

### § 11. პრესმენარი

უწევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის პროპაგანდას, სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების პრესკონფერენციების, რესპუბლიკის და უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრების ორგანიზებას.

### § 12. სამხედრო-სამოხილველო და სამოქალაქო თვითდაცვის სამსახური

ორგანიზაციას უწევს პოლიციის ორგანოების და ცენტრალური აპარატის საქმიანობის მშვიდობიანად სამხედრო მდგომარეობაზე გადასვლას, კოორდინაციას უწევს სამხედრო უწყებებთან და რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთმოქმედებას სპეციალური ამოცანების გათვალისწინებით.

ეწევა დახურული (შიფრული) კავშირის განხორციელებას.

§ 14. სამედიცინო სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

სამხედრო-საექიმო კომისიის, სანეპიდსადგურის, რესპუბლიკური ჰოსპიტალის, პოლიკლინიკების, ამბულატორიების, სანატორიუმებისა და აფთიაქების მუშაობის ხელმძღვანელობა.

§ 15. სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, სპეციალური და სამხედრო ტექნიკით მომარაგება, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოება, ავტომეურნეობის ორგანიზაცია, სამინისტროს შენობა-ნაგებობების მშენებლობა და რემონტი, სტამბის მუშაობის ორგანიზაცია.

§ 16. საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების შრომის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა, მათი შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსთან, სხვა შესაბამის ორგანოებთან;

— საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სოციალური უზრუნველყოფა;

— საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს თანამშრომელთა სამსახურებრივი მომზადება;

— ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრების განაწილება;

— ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების და რაიონების სამმართველოებისა და განყოფილებების მიერ კვარტალური და წლიური საფინანსო ბუღალტრული ანგარიშების დროულ და ხარისხიან მომზადებაზე სათანადო კონტროლის განხორციელება, მათი მიღება და განხილვა;

— კვარტალური და წლიური საფინანსო და სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და მათი წარდგენა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებებში;

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი სამეურნეო ორგანიზაციების — სამეურნეო საქმიანობაზე, საბიუჯეტო ორგანიზაციების — სახარჯთაღრიცხვო საკასო დისციპლინისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვასა და კაპიტალურ დაბანდებათა მიზნით გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად ხარჯვაზე შიდასაუწყებო კონტროლის განხორციელება და ამ მიმართულებით პრაქტიკული დახმარების გაწევა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებთან ერთად; ყველა საქვეუწყებო ორგანიზაციაში დოკუმენტური რევიზიის ჩატარება, ანალიზი, მათი განხორციელება;

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების დაგეგმვის და დაფინანსე-

ბის საკითხებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო ინსტრუქციებისა და მიმოხილვის შედგენა-შემუშავება;

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ყველა მატერიალურ ფასეულობათა და ძირითადი ფონდების ყოველწლიური ინვენტარიზაციის ჩატარება;

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და ადგილობრივ ორგანოებში ცენტრალიზებული წესით შექმნილ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა.

#### § 17. სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სამართლისო კავშირპროტიეროგის სამსახური

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შემუშავება, მათი სისტემატიზაცია;

— დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმების შემუშავება;

— ურთიერთობების დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალდაცვის ორგანოებთან;

— სამართლებრივად გაფორმებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება, გამოცდილების გაზიარების მიზნით სამსახურებრივი მივლინებებით თანამშრომლების გაცვლის უზრუნველყოფა;

— საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების სასწავლო-მოსამზადებელ ცენტრებში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა წარგზავნა;

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტუმრების მიღების, თანხლების, განთავსების, დაცვის, გაცილების უზრუნველყოფა;

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური დელეგაციების საზღვარგარეთ გამგზავრების ორგანიზაცია.

#### § 18. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამდივნო

უზრუნველყოფს სამინისტროში შემოსული ყველა კორესპონდენციის აღრიცხვას, დამუშავებას, კოლეგიის სხდომის ოქმების გაფორმებას, ბრძანებების დაგზავნას შინაგან საქმეთა სამსახურებში, უზრუნველყოფს საიდუმლო საქმისწარმოების, რეჟიმის და კონსპირაციის დაცვას ოპერატიულ სამსახურებრივ საქმიანობაში, მოქალაქეთა წერილების განხილვას, მათ მიღებას და სხვა.

#### თავი 4

#### შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და

ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით.

შინაგან საქმეთა რაიონული, საქალაქო განყოფილებებისა და სამმართველოების უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შინაგან საქმეთა მინისტრი მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

### § 1. შინაგან საქმეთა მინისტრი

- პასუხს აგებს სამინისტროს ამოცანების შესრულებაზე;
- მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს სამინისტროს, მისი ქვედანაყოფებისა და ამ ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა კომპეტენციას;
- დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს და სხვა თანამშრომლებს, აგრეთვე ანიჭებს თანამდებობრივ წოდებებს;
- აკისრებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას სამინისტროს თანამდებობის პირებს, წახალისებს მათ;
- დადგენილი წესით შეაქვს წინადადებები შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურის, მისი საშტატო განაკვეთების შესახებ;
- დადგენილი წესით განკარგავს მატერიალურ-ტექნიკურ და ფულად სახსრებს;
- მონაწილეობს მთავრობის და მისი პრეზიდიუმის სხდომებში;
- წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის საერთაშორისო ან უცხოეთის ინსტანციებსა და კავშირებში;
- გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებს და სხვა აქტებს, ორგანიზაციას უწევს მათი შესრულების შემოწმებას; ამტკიცებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების დებულებებს;
- შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებები, ინსტრუქციები და მითითებები სავალდებულოა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი სისტემისათვის და თანამდებობის პირებისათვის;
- აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრი სხვა სამინისტროებთან, სახელმწიფო დეპარტამენტებთან, სახელმწიფო ორგანოებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და სხვა აქტებს;
- განაბორციელებს საკანონმდებლო აქტებით კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- შინაგან საქმეთა მინისტრის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მინისტრის პირველი მოადგილე შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე;
- უშუალოდ ხელმძღვანელობს: ა) შინაგან ქარებს, ბ) სასჯელის აღსრულების სამსახურს; გ) კოლეგიას; დ) სამდივნოს, ე) შტაბს, ვ) სამხედრო სამობილიზაციო და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურს, ზ) საეცსამსახურს, თ) პრესცენტრს, ი) საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს, კ) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის საქმიანობას.

დროთაგანდროს დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** საპროკურორო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს რესპუბლიკაში პროკურატურის ორგანოების ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განსაზღვრულია ამ დებულებით და რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

**1-1 მუხლი 2.** საპროკურორო საქმიანობის ამოცანები

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის უმთავრესი ამოცანაა უზრუნველყოს რესპუბლიკაში კანონიერება და დაიცვას:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წესწყობილება, მისი სუვერენიტეტი;

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და გაიანტირებული მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები;

ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების უფლებები.

**მუხლი 3.** საქართველოს რესპუბლიკაში საპროკურორო საქმიანობის მართლებები

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები და მათდამი დაქვემდებარებული პროკურორები;

ახორციელებენ ზედამხედველობას საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, კონტროლის ორგანოების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების და მოქალაქეების, კოლპერაციული, სამეურნეო-კომერციული საქმიანობის მონაწილე იურიდიული პირების მიერ კანონების ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულებაზე, ასევე, მათ მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე;

ზედამხედველობენ ოპერატიულ-სამძებრო, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონების შესრულებას;

ზედამხედველობენ დაკავებულთა მოთავსებისა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულების დროს კანონების შესრულებას;

ზედამხედველობენ საჯარისო მმართველობის ორგანოებს, საჯარისო ნაწილებისა და დაწესებულებების მიერ კანონების შესრულებას;

მონაწილეობენ სასამართლოების მიერ საქმეების განხილვაში.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროკურატურა აწარმოებს დანაშაულთა წინასწარ გამოძიებას.

**მუხლი 4.** პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები;

შეადგენენ ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას ქვემდგომი პროკურორისა და საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორისადმი დაქვემდებარებით:

თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მხოლოდ კანონის მოთხოვნებით და უფლებამოსილებას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებლად:

აწვდიან ინფორმაციას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და მოსახლეობას კანონიერების მდგომარეობაზე.

პროკურატურის ორგანოებში დაუშვებელია პოლიტიკური პარტიების შექმნა და ფუნქციონირება.

პროკურატურის თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოს წევრი.

დაუშვებელია პროკურორის მიერ სხვა საქმიანობის შეთავსება, გარდა, პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობისა.

დაუშვებელია პროკურატურის მუშაკზე მის მიერ არამართლზომიერი გადაწყვეტილების მიღების მიზნით რაიმე ფორმით ზემოქმედება ან წინააღმდეგობის გაწევა პროკურორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში.

**მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება**

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

**მუხლი 8. პროკურორის მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების სხდომებში**

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი მონაწილეობს რესპუბლიკის სელისუფლების უმაღლესი ორგანოს, მთავრობის კაბინეტისა და მისი პრეზიდიუმის სხდომებში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სხდომებში, სარაიონ-თაშორისო, რაიონისა და ქალაქის პროკურორები მონაწილეობენ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სხდომებში.

**მუხლი 7. პროკურატურის ორგანოებში განცხადებებისა და საჩივრების განხილვა**

პროკურატურის ორგანოები განიხილავენ განცხადებებსა და საჩივრებს კანონიერების დარღვევებზე.

პროკურატურაში მიღებული ყველა საჩივარი განიხილება არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. საჩივრები, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევას, განიხილება 5 დღის ვადაში.

არ დაიშვება საჩივრის იმ ორგანოს ან თანამდებობის პირისათვის გადაგზავნა, ვის მოქმედებასაც ეხება საჩივარი.

პროკურორები მოქალაქეებს ღებულობენ პირადად.

**თავი II. პროკურატურის ორგანოების სისტემა**

**მუხლი 8. პროკურატურის ორგანოები**  
საქართველოს რესპუბლიკაში პროკურატურის ორგანოების სისტემაში შე-

დიან: საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები, ქ. თბილისის პროკურატურა, სარაიონთაშორისო, რაიონისა და ქალაქის პროკურატურები, აგრეთვე შრომაგასწორებით დაწესებულებებში კანონების დაცვაზე ზედამხედველი პროკურატურები.

საქართველოს პროკურატურის ორგანოების სტრუქტურასა და შტატებს აწესებს გენერალური პროკურორი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული მუშაკთა ჩაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

### **მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი**

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ინიშნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი:

ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების სისტემას;

ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წინაშე;

ნიშნავს რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოსა და განყოფილებს უფროსებს, მათ მოადგილეებს, სამმართველოსა და განყოფილების უფროს პროკურორებს, და განსაკუთრებულ საქმეთა უფროს გამომძიებლებს, გენერალური პროკურორის უფროს თანამშემწეებს და თანამშემწეებს.

აანალიზებს საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესრულების მდგომარეობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საპროკურორო ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად.

ზედამხედველობს კანონების შესრულებას საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

ინფორმაციას აწვდის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს კანონიერების დარღვევების ძირითადი ტენდენციების შესახებ, ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თაობაზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ კანონების შესრულების მდგომარეობაზე.

გენერალური პროკურორის მოადგილეები თანამდებობაზე ინიშნებიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ გენერალური პროკურორის წარდგინებით.

### **მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგია**

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი. კოლეგიის შემადგენლობაში შედიან გენერალური პროკურორის მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები და პროკურატურის სხვა მუშაკები. კოლეგიის წევრებს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგია განიხილავს საპროკურორო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობას, საკადრო საკითხებს, ბრძანებების პროექტებს, ისვენს ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, ქ. თბილისის პროკურორის,

საქართველოსა და განყოფილების უფროსების, სპეციალიზებული პროკუ-  
რატურების, სარაიონთაშორისო, რაიონის და ქალაქის პროკურორების ანგა-  
რაშეგს.

რესპუბლიკის გენერალურ პროკურორსა და კოლეგიის წევრებს შორის  
ერთა სხვადასხვაობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს გენერალური  
პროკურორი.

კოლეგია საპროკურორო შემოწმების მასალების განხილვისას უფლებამო-  
ვლია მოისმინოს სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, სახელმწი-  
ფო კონტროლისა და ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოების, საწარმოე-  
ბის, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, თანამდებობის  
პირებისა და მოქალაქეების ინფორმაციები და განმარტებები მართლწესრი-  
გისა და კანონიერების მდგომარეობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგია წარმოადგენს სა-  
ათბირო ორგანოს. მისი გადაწყვეტილებების რეალიზაცია ხდება გენერალუ-  
რ პროკურორის ბრძანებების საშუალებით. გენერალური პროკურორის ბრძა-  
ნება შეიძლება გაუქმებულ იქნეს, მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის სა-  
ხელმწიფო საბჭოს მიერ.

**მუხლი 11. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პრო-  
კურატურები**

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებს  
ხელმძღვანელობენ შესაბამისი პროკურორები.

ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებთან იქმნება საათბირო  
ორგანო — კოლეგიები, რომელთა შემადგენლობასაც შესაბამისი პროკურო-  
რის წარდგინებით ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს  
ერთ პირველი მოადგილეები და მოადგილეები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს  
შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ავტონომიური  
რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს წარდგინებით. მათი პირველი მოადგილეები  
და მოადგილეები, სამმართველოსა და განყოფილების უფროსები, რაიონებისა  
და ქალაქების პროკურორები და მათი მოადგილეები ინიშნებიან რესპუბლიკის  
გენერალური პროკურორის მიერ აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბ-  
ლიკების პროკურორების წარდგინებით. ავტონომიური რესპუბლიკების პრო-  
კურატურის უფროსი თანაშემწეები და თანაშემწეები, უფროსი გამომძიებლე-  
ები და გამომძიებლები ინიშნებიან ამ რესპუბლიკის პროკურორის მიერ.

**მუხლი 12. ქ. თბილისის პროკურატურა, სარაიონთაშორისო, რაიონის და  
ქალაქის პროკურატურები, შრომა-გასწორებით დაწესებულებებში კანონების  
დაცვაზე ზედამხედველი პროკურატურები**

ქ. თბილისის პროკურატურას, სარაიონთაშორისო, რაიონის და ქალაქის  
პროკურატურებს და შრომა-გასწორებით დაწესებულებებში კანონების დაც-  
ვაზე ზედამხედველ პროკურატურებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი პროკუ-  
რორები.

ქ. თბილისის პროკურატურასთან იქმნება საათბირო ორგანო-კოლეგია,  
თბილისის შემადგენლობასაც ქ. თბილისის პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს  
გენერალური პროკურორი.

ქ. თბილისის პროკურორს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები.  
სარაიონთაშორისო, ქალაქისა და რაიონის პროკურორებს და შრომა-გასწორე-



ბის დაწესებულებებში კანონების დაცვაზე ზედამხედველ პროკურორებს შეიძლება ჰყავდეთ მოადგილეები.

ქ. თბილისის, სარაიონთაშორისო, რაიონის, ქალაქის და შრომაგასწორების დაწესებულებებში კანონების დაცვაზე ზედამხედველი პროკურორები, მათი მოადგილეები, სამმართველოების და განყოფილებების უფროსები, უფროსი თანაშემწეები და თანაშემწეები, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები ინიშნებიან გენერალური პროკურორის მიერ.

**მუხლი 13. პროკურატურის გამომძიებლები**

პროკურატურის გამომძიებლები ატარებენ წინასწარ გამოძიებას კანონით მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე, აგრეთვე პროკურორის მიერ მათთვის გადაცემულ სხვა საქმეებზე.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას აქვს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეთა საგამომძიებო განყოფილება და ჰყავს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეთა უფროსი გამომძიებლები და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეთა გამომძიებლები. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ქ. თბილისის პროკურატურებს ჰყავთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეთა გამომძიებლები და უფროსი გამომძიებლები, სარაიონთაშორისო, რაიონის და ქალაქის პროკურატურებს, შრომა-გასწორებით დაწესებულებებზე ზედამხედველ პროკურატურებს — უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

**თავი III. წადასხმადგომლობა წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი, კონტროლისა და მართვის ორგანოების, იურიდიული პირების და თანამდებობის პირთა მიერ კანონების შესრულებაზე მათ მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების კანონებთან შესაბამისობაზე**

**მუხლი 14. ზედამხედველობის საგანი**

პროკურორი ზედამხედველობას ახორციელებს:

ამ დეკრეტის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ორგანოების, იურიდიული პირების, თანამდებობის პირთა მიერ კანონების ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულებაზე;

აღნიშნული ორგანოების, იურიდიული პირების და თანამდებობის პირთა მიერ გამოცემული აქტების შესაბამისობაზე საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროკურატურა არ ცვლის სახელმწიფო და სამეურნეო მართვისა და კონტროლის ორგანოებს და არ ერევა მათ სამეურნეო-ოპერატიულ საქმიანობაში. შემოწმებები განხორციელდება პროკურორის დადგენილებით კანონიერების დარღვევის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევებში, სადა საფუძველზე, რომლებიც მოითხოვს დანაშაულის ნიშნებზე ან კანონიერების სხვა დარღვევებზე.

**მუხლი 15. პროტესტი**

კანონსაწინააღმდეგო აქტის გამო პროტესტი პროკურორს ან მის მოადგილეს შეაქვს ამ აქტის გამომცემ ან ზემდგომ ორგანოში, ან სასამართლოში; ასეთივე წესით შეაქვს პროტესტი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული უკანონო აქტის გამო.

პროკურორი უფლებამოსილია პროტესტში მონაწილეს კანონსაწინააღმდეგო აქტის გაუქმება ან მისი კანონის შესაბამისობაში მოყვანა, აგრეთვე

თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების შეწყვეტა, დარღვეული უფლებების აღდგენა და კანონის დამრღვევის დასჯა.

პროტესტი მის განხილვამდე შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მისი შემტანიან შემდგომი პროკურორის მიერ.

პროტესტის შეტანა მის განხილვამდე აჩერებს იმ სამართლებრივ აქტის აღსრულებას, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სახდელს. შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი ვალდებულია განიხილოს მისი პროტესტი მიღებიდან 10 დღის ვადაში და შედეგი დაუყოვნებლივ ეცნობოს პროკურორს. პროკურორს შეუძლია პირადად მიიღოს მონაწილეობა პროტესტის განხილვაში, თუ საკითხს იხილავს კოლეგიურ ორგანო.

**მუხლი 16 წარდგინება**

წერილობითი წარდგინება კანონის დარღვევის აღმოფხვრის შესახებ პროკურორს შეაქვს იმ ორგანოში ან თანამდებობის პირთან, რომელიც უფლებამოსილია აღკვეთოს კანონის დარღვევა. მისი განხილვა სავალდებულოა ერთი თვის ვადაში. განხილვის შედეგების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

პროკურორს შეუძლია პირადად მიიღოს მონაწილეობა წარდგინების განხილვაში, თუ საკითხს იხილავს კოლეგიალური ორგანო.

**მუხლი 17 დადგენილება**

პროკურორს, თანამდებობის პირის ან მოქალაქის მიერ კანონის დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლია გამოიტანოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის, ადმინისტრაციული ან დისციპლინური წარმოების აღძვრის შესახებ.

მოტივირებული დადგენილება პროკურორს გამოაქვს კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებშიც.

პროკურორის დადგენილება ადმინისტრაციული ან დისციპლინური საქმის წარმოების აღძვრის შესახებ განიხილება მიღებიდან ათი დღის ვადაში და შედეგი ეცნობება პროკურორს.

**თავი IV. ოპერატიულ-სამძებრო, მოკვლევითა და წინასწარი გამომიხვის ორგანოების მიერ კანონის შესრულებაზე უზღვევა**

**მუხლი 18. ზედამხედველობის საგანი**

საპროკურორო ზედამხედველობის მიზანია ოპერატიულ-სამძებრო, მოკვლევითა და წინასწარი გამოძიების ყველა ორგანოს მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების განუხრელი დაცვა; მოქალაქეთა და საზოგადოების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, კუშიარტების დადგენა და კანონის სწორად გამოყენება, რათა დანაშაულის ჩამდენ არცერთ პირს არ ასცდეს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა და არავინ არ იქნეს დაპატიმრებული ან მიცემული პასუხისგებაში უკანონოდ, ან არ შეიზღუდოს სხვა კანონიერ უფლებებში.

**მუხლი 19. პროკურორის უფლებამოსილება ოპერატიულ-სამძებრო მოკვლევითა და წინასწარ გამოძიების ორგანოების მიერ კანონთა შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებაში**

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, მის პირველ მოადგილეს, მოადგილეებს და შესაბამის პროკურორებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ შეამოწმონ მოკვლევით ან წინასწარი გამოძიების



წარმოება ნებისმიერ საქმეზე და ასევე საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული თუ სხვა მასალები.

პროკურორის უფლებები ოპერატიულ-სამძებრო, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონთა შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებისას დადგენილია რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

მოკვლევისა და გამოძიების საკითხებზე საქართველოს გენერალური პროკურორის და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორების მითითებები სავალდებულოა შესასრულებლად.

**თავი V. დაკავებულია მოთავსებისა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას კანონების დაცვაზე ზედამხედველობა**

**მუხლი 20. ზედამხედველობის საგანი**

საპროკურორო ზედამხედველობა ხორციელდება:

დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სასჯელის ან სასამართლოს მიერ დანიშნული სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებების აღმასრულებელ შრომა-გასწორებით და სხვა დაწესებულებებში პირთა მოთავსების კანონიერებაზე;

აღნიშნულ დაწესებულებათა თანამდებობის პირთა მიერ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და შრომა-გასწორების კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების და ამ დაწესებულებებში პირთა მოთავსებისა და მათი გათავისუფლების წესებისა და პირობების დაცვაზე.

**მუხლი 21. პროკურორის უფლებამოსილება დაკავებულთა მოთავსებისა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებაში**

პროკურორი უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს შევიდეს დაკავებულთა მოთავსებისა და წინასწარი პატიმრობის სასჯელის აღსრულების ადგილებში, გაეცნოს დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც დაწესებულებაში მოთავსებული პირი დაკავებულია, დაპატიმრებულია ან მსჯავრდებულია, გამოკითხოს იგი.

შეამოწმოს დაწესებულების ადმინისტრაციის ბრძანებების, განკარგულებების და დადგენილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობა და საჭიროების შემთხვევაში გააპროტესტოს ისინი, მოითხოვოს განმარტებები თანამდებობის პირებისაგან;

გააუქმოს დაპატიმრებული პირისათვის კანონის დარღვევით დადგენილი დისციპლინური სასჯელი, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ის საჯარიმო იზოლაციურიდან, საკნის ტიპის სათავსოდან ან კარცერიდან;

პროკურორი მოვალეა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ან იძულებითი ხასიათის ღონისძიების აღსრულების დაწესებულებებში უკანონოდ მოთავსებული. კანონის დარღვევით დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი.

**თავი VI. პროკურორის მონაწილეობა სასამართლოებში სამართალის განხილვისას**

**მუხლი 22. პროკურორის უფლებამოსილება საქმეთა განხილვისას**



პროკურორს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლისა და სა-  
მოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვაში.

პროკურორის უფლებამოსილება სასამართლოებში საქმეთა განხილვისას,  
აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენების, გადაწყვეტილებების, დადგე-  
ნილებებისა და განჩინებების კანონიერების შემოწმებისას განსაზღვრულია მოქ-  
მედი კანონმდებლობით.

**მუხლი 28. პროკურორის წარდგინება სასამართლოებისათვის სახელმძ-  
ღვანელო განმარტების მიცემის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უფლება აქვს შეი-  
ტანოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმზე განსა-  
ხილველად წარდგინებანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, სამოქა-  
ლაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას კანონების გამოყენების  
საკითხებზე სახელმძღვანელო განმარტების მიცემის შესახებ.

**თავი VII. პროკურატურის კადრები**

**მუხლი 29. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ პროკუ-  
რორის და პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობაზე დასანიშნი პირები**

პროკურატურის ორგანოებში სამუშაოდ მიიღებიან უმაღლესი იურიდიუ-  
ლი განათლების მქონე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც  
ხასიათდებიან დადებითად და თავიანთი საქმიანი და მორალური თვისებებით  
აკმაყოფილებენ პროკურატურის მუშაებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

სარაიონთაშორისო, რაიონის და ქალაქის პროკურორის თანამდებობებზე,  
როგორც წესი, ინიშნებიან პირები, რომლებსაც შეუსრულდათ 25 წელი და  
აქვთ პროკურატურის ორგანოებში მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი.

პირები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი იურიდიული სასწავლებელი  
და არა აქვთ სპეციალობის მიხედვით მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება,  
პროკურატურაში მუშაობის დაწყებისას გადიან სტაჟირებას ერთი წლის გან-  
მავლობაში. ახალგაზრდა სპეციალისტის ასაკი, რომელმაც სტაჟირება უნდა  
გაიაროს, არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს.

პროკურატურის თანამდებობის პირებმა ატესტაცია უნდა გაიარონ 3 წლის  
განმავლობაში ერთხელ, ატესტირების წესს განსაზღვრავს რესპუბლიკის გენე-  
რალური პროკურორი.

**მუხლი 30. პროკურატურის მუშაკთა წოდებები**

პროკურატურის მუშაკებს, სამეცნიერო და კვალიფიკაციის ამოღების  
დაწესებულებების ჩათვლით, დაკავებული თანამდებობებისა და სამუშაო სტა-  
ჟის შესაბამისად ენიჭებათ წოდებები.

წოდებების მინიჭებისა და ჩამორთმევის წესი განისაზღვრება დებულებით  
პროკურატურის მუშაკთა წოდებების შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქარ-  
თველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

**მუხლი 31. პროკურატურის მუშაკთა წახალისება და პასუხისმგებლობა**

პროკურატურის მუშაკთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებ-  
ლობის დაკისრების წესი დგინდება რესპუბლიკის გენერალური პროკურორის  
მიერ.

**მუხლი 32. პროკურატურის მუშაკთა სამართლებრივი დაცვა**

პროკურატურის ოპერატიულ მუშაკთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შე-  
სახებ განცხადებებისა და შეტყობინებების შემოწმება, სისხლის სამართლის  
საქმის აღძვრა და გამოძიება წარმოადგენს პროკურატურის კომპეტენციას და

ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის უწყვეტად მიითვლება.

პროკურატურის მუშაის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი წყდება ზემდგომი პროკურორის მიერ.

პროკურატურის ორგანოს მუშაები ექვემდებარებიან საჯაროებულ სოციალურ დაზღვევას საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე.

პროკურატურის მუშაების მიერ სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულების დროს მათი ჯანმრთელობისა და კონებისათვის მიყენებული ზიანი სრულად ანაზღაურდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, ხოლო მუშაის დაღუპვის შემთხვევაში ოჯახს ეძლევა ერთდროული დახმარება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 28. პროკურატურის მუშაკთა მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა**

პროკურატურის მუშაკთა ხელფასი განისაზღვრება დაკავებული თანამდებობის, წოდებისა და წელთა ნამსახურობის მიხედვით. პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ წოდებები, უფასოდ ეძლევათ ფორმის ტანსაცმელი, ხელფასის ოდენობის, წოდებისა და წელთა ნამსახურობის მიხედვით დანამატების, აგრეთვე ფორმის ტანსაცმლით უზრუნველყოფის ნორმებს განსაზღვრავს რესპუბლიკის მთავრობა.

პროკურატურის მუშაკებს ეძლევათ ყოველწლიური შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით, დასასვენებლად გამგზავრებისა და უკან დაბრუნების დროის ჩათვლელად, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებით.

ხელფასის ანაზღაურებით დამატებითი შვებულება პროკურატურის მუშაკებს ყოველწლიურად მიეცემათ: 10 წლის მუშაობის შემდეგ — 5 კალენდარული დღე; 15 წლის მუშაობის შემდეგ — 10 კალენდარული დღე; 20 წლის მუშაობის შემდეგ — 15 კალენდარული დღე.

პროკურატურის მუშაკთა და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფის წესი და ნორმები განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

პროკურატურის მუშაკებს უფლება აქვთ უფასოდ იმგზავრონ ქალაქის, საგარეუბნო და ადგილობრივი ტრანსპორტით (ტაქსის გარდა), სამსახურებრივი მოვლინების დროს ისინი სარგებლობენ სასტუმროებში ადგილისა და ყველა სახის ტრანსპორტზე სამგზავრო ბილეთების დაჯავშნისა და ურიგოდ მიღების უფლებით.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან პროკურორის თანამდებობაზე დანიშნული პირი უზრუნველყონ ექვსი თვის განმავლობაში ბინით, შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობებით.

პროკურატურის მუშაკებისათვის ტელეფონის დადგმის საკითხი გადაწყდება პირველ რიგში.

პროკურატურის მუშაკებს უფლება აქვთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ატარონ ტაბელური იარაღი, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**თავი VIII. საპროკურორო ჯადამხადველობის ორგანიზაციის სხვა საკითხები**

**მუხლი 29. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების და სხვა დაწესებულებები**

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურასთან არსებობს პროკურატურის მუშაობის სასწავლო ცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა ბეჭდავს სპეციალურ გამოცემებს, აქვს პოლიგრაფიული დაწესებულება, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ობიექტები.

#### **მუხლი 30. სტატისტიკური ანგარიშგება**

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გამოიმუშავებს სტატისტიკური ანგარიშის ფორმისა და მეთოდის სისტემას დამნაშავეობის, დანაშაულთა გახსნის, საგამოძიებო საქმიანობის და რესპუბლიკური კანონმდებლობის შესრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობის ერთიანი აღრიცხვის შესახებ, ასევე აღგენს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში სტატისტიკური ანგარიშების შედგენისა და წარმოდგენის ერთიან წესებს.

**მუხლი 31. პროკურატურის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება**

პროკურატურის დაფინანსება ხდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე.

პროკურატურის ტრანსპორტითა და ტექნიკურ საშუალებებით უზრუნველყოფის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან მათ ტერიტორიაზე არსებული პროკურატურები უზრუნველყონ შესაბამისი სამსახურებრივი შენობებით.

#### **მუხლი 32. პროკურატურის ბეჭედი**

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას აქვს მრგვალი ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის გერბით და შესაბამისი პროკურატურის სახელწოდებით.

დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის № 48 დადგენილებით.

საქართველოში, ისე როგორც ყოველი სსრ კავშირის ყველა გრძელ-  
ვშირე. რესპუბლიკაში, მიმდინარეობს ავტორი საზოგადოებრივი  
ბრძოლის პროცესი, როგორც ერთ-ერთი მიზანშეწონილი სასაზოგადოებრივი  
რეფორმა. რეფორმის სამცხე-აფხაზეთის პროვინცია, რომელიც კამპანიის  
თავადადგენილია, ამზადებს წინადადებებს, სადაც ალბათ ბათვალის  
წინადადებები იქნება მართლმადიდებლის, ბაგრატიონის, პროკურატორის  
ორგანიზაციის ფუნქციონირების და მოწყობის ახალი წესები. ამ  
სულისცემების ერთ-ერთი გამოსატყობილია საქართველოს  
რესპუბლიკის ჯერჯერობით სასაზოგადოებრივი  
სამართლოს რეფორმის, ბ-ნ მიხეილ ჯანაშიას დასაცვა, რომელიც  
მან 1992 წლის 29 მაისს წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს, სადაც  
იხილეს „პროკურატორის შესახებ დებულებები“ სპიტიში.  
გვიჩვენებთ, დოკუმენტი სანდოების იქნება სასაზოგადოებრივი  
სამართლის დინამიკის მიხედვით განიხილვისათვის.

## შენიშვნები „პროკურატორის შესახებ დებულებების“ პროექტის გამო

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში განხილვად წარმოდგენილი „საქართველოს პროკურატორის შესახებ“ დებულების პროექტის თაობაზე ხატორაძე მიგვაჩვენებს ვადადგენილ შედეგს:

პროექტი არ შეიცავს არსებით იურიდიულ ნივთს და ფაქტობრივად წარმოადგენს პროკურატორის შესახებ სსრ კავშირის 1978 წლის კანონის ძირითად დებულებათა დუბლირებას. ცნობილია, რომ საბჭოთა პროკურატორა, რომლის შექმნის თეორიული საფუძვლები ჩამოყალიბებულია ლენინის ნაშრომში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“, მიზნად ისახავდა ე. წ. სოციალისტური კანონიერების მკაცრ დაცვას საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების ყველა რგოლში. ცენტრალიზაციის, მკაცრი, ვერტიკალური დაქვემდებარების პრინციპზე აგებული, ნახევრად გასამხედროებული ამ ორგანოს ამოცანას წარმოადგენდა პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის შეუზღუდავი ძალაუფლების იურიდიული უზრუნველყოფა. საპროკურატორო შედამხედველობა, ცხადდება რა „სოციალისტური კანონიერების“ დაცვას თავის უმთავრეს მიზანდევად, ამთავივით უარყოფდა სამართლის, როგორც თავისთავად, გარდაუვალი დირექტივების არსებობას და გამორიცხავდა ხანძარიანი შედეგების წარმოშობის შესაძლებლობას, ხელისუფლებისა, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს უცვლელი ატრიბუტია. ამიტომ განხილვად დებულების პროექტის ზოგიერთი დებულება არ შეესაბამება ქართველი ხალხის მიერ აღიარებულ პოლიტიკურ დოქტრინას სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ პროექტის „ზოგადი დებულებანი“ გარკვეულად მიგვაჩვენებს მის მიზანზე: მომავალ პოლიტიკურ სტრუქტურებში შეინარჩუნოს პროკურატორის ანუ ამინდელი სტატუს-ქვე. დებულების პირველ მუხლში ნათქვამია: „საქართველოს პროკურატორის“



კურატურა ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მიერ აღიარებული ხაერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, რაც მხოლოდ გაუგებრობას იწვევს. არც ერთი ხაერთაშორისო სამართლებრივი აქტი არ აღიარებს დანიშნებით, ხელისუფლებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული, მკაცრად ცენტრალიზებული სტრუქტურის მიერ სამართლის განხორციელებაზე ზედამხედველობის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის უმთავრესი ამოცანაა დაცვა „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული ადამიანის სპეციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები... საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილება“. ამჟამად საქართველოში კონსტიტუციური ნორმები უაქტობრივად არ მოქმედებენ და საქართველოს ჯერ-ჯერობით კონსტიტუციური წყობილება არ გააჩნია, ე. ი. ამ მიმართებით პროკურატურა ვერაფერს დაიცავს და აღზოთ უნდა ვიცულისხმოს, რომ ლაპარაკია მომავალში ლეგიტიმური სტრუქტურების მიერ მოქმედებული კონსტიტუციით გათვალისწინებული ხანდაზნად წყობილებიდან და მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე. რაც შეეხება 1921 წლის კონსტიტუციას, იგი საერთოდ არ ცნობდა პროკურატურის, როგორც სამართლის განხორციელებაზე ზედამხედველი ორგანოს არსებობას, ხოლო საქართველოს შთავრების მიერ 1919 წლის 29 დეკლის მიღებული „საქართველოს სენატის დებულება“ პროკურორებს არ ანიჭებდა რაიმე საზედამხედველო ფუნქციებს.

დანიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ განახლებული საქონმდებლო აქტი მიღებული უნდა იქნეს არა დეკრეტის, არამედ დროებითი დებულების სახით, რომლის „ზოგად დებულებასში“ უნდა დასახუთდეს საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებამდე პროკურატურის, როგორც კანონის განხორციელებაზე ზედამხედველი ორგანოს არსებობის მიზანშეწონილობა. პროკურატურის ორგანოების საქმიანობის წესი და ორგანიზაცია, ასევე პროკურორის უფლებამოსილებანი უნდა განისაზღვროს ხებნებული დროებითი დებულებით და ამჟამად მოქმედი სხვა საქონმდებლო აქტებით. ზოგადი დებულებების მე-2 მუხლი, ჩვენი აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის უმთავრესი ამოცანაა უზრუნველყოს რესპუბლიკაში კანონიერება და მონაწილეობასთან ბრძოლის სწორი ორგანიზაციის გზით და თავისი საქმიანობით დაცვა“;

1. საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი, მისი ტერიტორიული მთლიანობა და სოკუთრება;

2. მოქალაქეთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და საქუთრება მიუხედავად მათი პარტიულობისა, ეროვნული და რელიგიური კუთვნილებისა, ქონებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობისა...“ შემდეგ პროექტის ტექსტის მიხედვით, ზოგადი დებულებების ასეთი სახით ჩამოყალიბება საცნაურს გავდის, რომ ხელისუფლებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ ორგანოს არ ეკისრება კონსტიტუციური და სამართლო ზედამხედველობის ფუნქცია.

საპროკუროროს საქმიანობის მიმართულებათა ჩამონათვლი მსკემულია დეკრეტის პროექტის მე-2 მუხლში, პროკურატურის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისი მუხლისაგან განსხვავებით, დეკრეტის პროექტის მე-2 მუხლი არ შეიცავს მითითებას სამართლო ორგანოების განჩინება, გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობისადმი ზედამხედველობის შესახებ, რაც ქმნის ილუზიას, თითქმის პროექტი არ ითვალისწინებდეს სამართლოებზე ზედამხედველობის ინსტიტუტს; მაგრამ პროექტის მომდევნო მუხლების რედაქცია აშკარად მიუთითებს, რომ ასეთი ინსტიტუტი შენარჩუნებულია. კერძოდ: მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ „პროკურატურის ორგანოები განიხილავენ... საჩივრებს კანონიერ ძალაში შესულ სამართლო გადაწყვეტილებებზე კანონით დადგენილი წესით“. პროექტის მე-4 თავის 22-ე მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „პროკურორი ვალდებულია გააპროტესტოს სამართლოს ყოველი უკანონო ან დაუსაბუთებელი განჩინი, გადაწყვეტილება, განჩინება ან დად-

გენილება... გაპროტესტების წესი განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული „კანონმდებლობით“. ამ მუხლის რედაქცია იწარმუნებს პროკურატურის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობის იმ დებულებას (მუხ. 82), სადაც დაპირაჟია სახანაოლოებზე სამაროკუროლო შედამხედველობის შესახებ; უფრო მეტიც, პროექტის 23-ე მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს საქართველოს გენერალურ პროკურორს შეიტანოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სახანაოლოლო პლენუმში განსახილველად წარდგინებანი აღმინისტრაციული სამართალდარღვევების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას კანონების გამოყენების საქონებზე ხანელმდგანელო განმარტების მიცემის შესახებ, რაც მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პროკურატურა იტარებს არა მარტო სახანაოლოლო გადაწყვეტილებათა გლობალური გადასინჯვის უფლებას, არამედ კანონთა განმარტებასა და სახანაოლოლო პრაქტიკის შექმნაში აქტიური ჩარევის უფლებასაც, რაც ნიშნავს მკაცრად ცენტრალიზებული, დანიშნითი, ხელისუფლებას უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში ტოტალურ ჩარევას. დეკრეტის სახით მიღებულ ხანონმდებლო აქტში ხსენებული დებულების ასახვა საქანონმდებლო, აღმინისტრული და სახანაოლოლო ხელისუფლებათა გამოყენების პრინციპის უგულებელყოფა იქნებოდა. საგულისხმოა, რომ ამდგვარი პროკურატურა მხოლოდ ყოფილ სსრ კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკას, აღბანეთს და მონღოლეთსდა შემორჩა. აუცილებლად განათვალისწინებელია ისიც, რომ სახანაოლოლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპებისადმი მიძღვნილმა ყველა ხერთაშორისო კონგრესმა და კონფერენციამ (გეროს მე-7 კონგრესი, მილანი — 1988 წლის 26 აგვისტო — 8 სექტემბერი; იტალია, სირაკუზა — 1991 წლის 24 ნოემბერი — 1 დეკემბერი), გეროს დეკლარაციების უნივერსალურ პრინციპებზე დაყრდნობით, შეუვალად ცნო სახანაოლოლო სრული დამოუკიდებლობის პრინციპი და აკრძალა მართლმსაჯულების განხორციელებაში პოლიტიკური ან აღმინისტრაციული ჩარევის პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევა, რის გამოც ვთვლით, რომ პროექტის მე-7 მუხლის შემოთ ხსენებული რედაქცია და მთლიანად მე-4 თავი ამოღებულ უნდა იქნეს, ხოლო მე-8 მუხლის II პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პროკურორები სახანაოლოლოების მიერ საქმეების განხილვაში მონაწილეობას იღებენ ხანელმწიფო ბრალმდებლებად დაცვასთან გამოწარებული უფლებებით“.

მიგვაჩნია, რომ დეკრეტის პროექტის ამჟამინდელი რედაქციის შენარჩუნება არ შეესაბამება ქართველი ხალხის ნებას; განდეს ხერთო ევროპული პროცესის სრულყოფილებაში მონაწილე

მინდია უბრემლიმ,  
უზენაესი სახანაოლოლო თავმჯდომარე

## დახულაბა ადვოკატთა როლის შესახებ

### ვინაიდან:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ადასტურებს მთელი მსოფლიოს ადამიანების უფლებას — შექმნან პირობები, რომელთა მეშვეობით დაცული იქნება სამართლიანობა, და ერთ-ერთ მიზნად აცხადებს თანამშრომლობის მიღწევას რასის, სქესის, ენისა და რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის და მათი დამკვიდრების სფეროში;

ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია ამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპებს, დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად და ღიად განხილვის უფლებას, აგრეთვე ყველა გარანტიას, რაც აუცილებელია დასჯადი ქმედების ჩადენაში ბრალდებული ნებისმიერი პირის დასაცავად;

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ დამატებით აცხადებს საქმის გარეშე ბრალდებულის გაუჭიანურებლად მოსძენის და კანონით გათვალისწინებული კომპეტენტური, დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად და ღიად მოსმენის უფლებას;

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ შეახსენებს სახელმწიფოებს მოვალეობას — გაეროს წესდების თანახმად, ხელი შეუწყონ ადამიანთა უფლებების და თავისუფლებების დაცვას და მათდამი საყოველთაო პატივისცემას;

დაპატიმრებული ან დაკავებული წირების დაცვისათვის განკუთვნილი პრინციპების ერთობლიობა ითვალისწინებს, რომ ყოველ დაკავებულ პირს უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს დახმარება, კონსულტაცია ადვოკატისაგან და იქონიოს მასთან ურთიერთობა; 1

დაპატიმრებულთა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები რეკომენდაციას იძლევა, რომ კერძოდ, იურიდიული დახმარება და კონფიდენციალურობა მისი განხორციელების პროცესში გარანტირებული იყოს დაპატიმრებულთათვის;

სიკვდილმისჯილთა დაცვის გარანტიები ადასტურებს ყოველი პირის უფლებას, რომელსაც მისჯილი აქვს ან შეიძლება მიესაჯოს ბრალდება, რომლის სასჯელის ზომა სიკვდილით დასჯაა, მიიღოს იურიდიული დახმარება საქმის გამოძიების და განხილვის ყველა სტადიაზე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად;

იუსტიციის ძირითადი პრინციპების დეკლარაცია დანაშაულთა და ხე-

\* მიღებულია დანაშაულების აღკვეთის შესახებ გაეროს VIII კონგრესზე, ნიუ-იორკში, 1990 წლის აგვისტოს.

ლისუფლებების გადამეტების მსხვერპლთა შესახებ რეკომენდაციას იძლევა; მსგავს ბუნებურ იქნეს ზომები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, რათა გაუმჯობესდეს იუსტიციის და სამართლიანი მოპყრობის, ზარალის ანაზღაურების, დანაშაულები მსხვერპლთათვის კომპენსაციის და დახმარების გაწევის ხელმისაწვდომობა;

ადამიანთა უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ადეკვატური უზრუნველყოფა, რისი უფლებაც აქვს ყველა ადამიანს, ხორციელდება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში და მოითხოვს, რომ ყოველ ადამიანს ჰქონდეს ეფექტური საშუალება ისარგებლოს დამოუკიდებელი იურიდიული პროფესიით განხორციელებული იურიდიული დახმარებით;

ადვოკატთა პროფესიული ასოციაციები სისიცოცხლო როლს ასრულებენ პროფესიული სტანდარტების და ეთიკური ნორმების მხარდაჭერაში, იცავენ თავიანთ წევრებს დევნის და დაუსაბუთებელი შევიწროების, ხელყოფისაგან; უზრუნველყოფენ იურიდიულ დახმარებას ყველასათვის, ვისაც სჭირდება იგი, კოოპერირებენ მთავრობასთან და სხვა ინსტანციებთან მართლმსაჯულების და საზოგადოებრივი ინტერესის მიზნების მისაღწევად; 1

ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი დებულებები ადვოკატთა როლის შესახებ ფორმულირებულია, რათა დაეხმაროს მონაწილე სახელმწიფოებს შათი ამოცანის გადაწყვეტაში — ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ადვოკატთა სათანადო როლი, რომელსაც პატივს უნდა სცემდეს და რომელიც გარანტირებული უნდა იყოს მთავრობათა მიერ ნაციონალური კანონმდებლობის შემუშავების და განხორციელების დროს, ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადვოკატების, მოსამართლეების, პროკურორების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრების და მთელი საზოგადოების მიერ, ეს პრინციპები, ეხება იმ პირებსაც, რომლებსაც არ მიუღიოთ ადვოკატის ფორმალური სტატუსი, მაგრამ ახორციელებენ ადვოკატთა ფუნქციებს.

### ადვოკატის და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა

1. ნებისმიერ პირს უფლება აქვს დახმარება სთხოვოს მის მიერ ამორჩეულ ადვოკატს თავისი უფლებების დამოწმების და დაცვისათვის სისხლის სასჯელის პროცედურის ყველა სტადიაზე.
2. მთავრობების მხრივ გარანტირებული უნდა იყოს ეფექტური პროცედურა და მომუშავე მექანიზმი ადვოკატთა რეალური და თანაბარი ხელმისაწვდომობისა ყველა პირისათვის, რომელიც ცხოვრობს მის ტერიტორიაზე და ემორჩილება მის იურისდიქციას რასის, კანის ფერის, ეთნიური წარმომავლობის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეკონომიკური ან სხვა სტატუსის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.
3. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ საჭირო ფინანსირება და სხვა რესურსები ღატაკთა და სხვა უქონელთა იურიდიული დახმარებისათვის, ადვოკატთა პროფესიულმა ასოციაციებმა უნდა ითანამშრომლონ ამგვარი დახმარების გასაწევად პირობების შექმნისა და მისი ორგანიზებისათვის.
4. მთავრობების და ადვოკატთა პროფესიული ასოციაციების შოვალეობაა შეიმუშაონ პროგრამა, რომლის მიზანია გააცნოს საზოგადოებას მისი უფ-

ლებები და მოვალეობები კანონის თანახმად ძირითადი თავისუფლებების და-  
საცავად ადვოკატთა როლის შესახებ. ამ მიზნებისათვის სპეციალური ყურად-  
ღება უნდა დაეთმოს ლატაკებს და სხვა უქონელთ, ვინაიდან მათ თავად არ  
შეუძლიათ დაიცვან თავიანთი უფლებები და სჭირდებათ ადვოკატის დახ-  
მარება.

### სპეციალური გარანტიები სისხლის სამართლის იუსტიციაში

5. მთავრობათა მოვალეობაა უზრუნველყონ ყოველი ადამიანის შესაძ-  
ლებლობა, ინფორმირებული იყოს კომპეტენტური ხელისუფლების მიერ და-  
პატიმრების, დაკავების ან დატუსაღების დროს ან სისხლის სამართლის დანა-  
შაულის ჩადენაში ბრალის დადების შემთხვევაში მის მიერ ამორჩეული ადვო-  
კატის დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ.

6. ნებისმიერი ზემოხსენებული პირი, რომელსაც არა ჰყავს ადვოკატი, იმ  
შემთხვევაში, როდესაც ამას ითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, უზ-  
რუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კომპეტენციის მქონე და შესაბამისი  
საქმეების წაყვანის გამოცდილების მქონე ადვოკატის დახმარებით, რათა მან  
ვანახორციელოს ეფექტური იურიდიული დახმარება ბრალდებულის მხრიდან  
აუნაზღაურებლად, თუ მას არ გააჩნია სათანადო სახსრები.

7. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაკავებული, დაპატიმრებული  
ან ციხეში მყოფი პირი, რომელსაც წარდგენილი აქვს ან არა აქვს სისხლის  
სამართლის დანაშაულის ჩადენის ბრალდება, სწრაფად დაუკავშირდეს ადვო-  
კატს — ნებისმიერ შემთხვევაში — არაუგვიანეს 48 საათისა მისი დაკავების  
ან დაპატიმრების მომენტიდან.

8. დაკავებული, დაპატიმრებული ან ციხეში მყოფი პირი უზრუნველყო-  
ფილი უნდა იყოს საჭირო პირობებით, დროით და საშუალებებით ადვოკატთან  
შეხვედრის, კონსულტაციის ან კომუნიკაციისთვის დაუყოვნებლივ, დაუბრკო-  
ლებლად, ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალობის დაცვით.

### კვალიფიკაცია და მომზადება

9. მთავრობებმა, ადვოკატთა პროფესიულმა ასოციაციებმა და სასწავლო  
ანსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებმა მიიღონ შესაბამისი  
განათლება, მომზადება და ცოდნა, როგორც ადვოკატთა იდეალების და ეთი-  
კური მოვალეობებისა, ისე ადამიანთა უფლებების და ძირითადი თავისუფ-  
ლებებისა, რომლებიც აღიარებულია ნაციონალური და საერთაშორისო სამარ-  
თლით.

10. მთავრობათა, ადვოკატთა პროფესიული ასოციაციების და სასწავლო  
ანსტიტუტების მოვალეობაა უზრუნველყონ დისკრიმინაციის არარსებობა სა-  
ადვოკატო პრაქტიკის გასაგრძელებლად ან პრაქტიკაზე დასაშვებ პირთა შერ-  
ჩევის დროს რასის, კანის ფერის, სქესის, ეთნიური წარმომავლობის, რელიგი-  
ის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, საკუთრების, დაბადების ადგილის,  
ეკონომიკური და სხვა მოსაზრებების საფუძველზე.

11. ქვეყნებში, სადაც არსებობენ ჯგუფები, თემები ან რეგიონები, რომ-  
ლებსა მოთხოვნილება იურიდიულ დახმარებაზე არ არის უზრუნველყოფილი,  
განსაკუთრებით, თუ ამგვარი ჯგუფები განსხვავდებიან კულტურით, ენით, ან

წარმოადგენენ წარსულში დისკრიმინაციის მსხვერპლს, ადვოკატთა პროფესიულმა ასოციაციებმა და სასწავლო ინსტიტუტებმა უნდა მიიღონ საჭირო ლური ზომები სათანადო პირობების შესაქმნელად ამ ჯგუფების იმ წევრთათვის, რომელთაც სურთ მისდიონ იურიდიულ პრაქტიკას, უნდა უზრუნველყონ ისინი მომზადებით, რომელიც საკმარისია ამ ჯგუფების საქირვებათა დასაყმაყოფილებლად.

### ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

12. ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების მნიშვნელოვანმა მონაწილეებმა, მუდმივად უნდა შეინარჩუნონ თავიანთი პროფესიის პატივი და ღირსება.

13. კლიენტის მიმართ ადვოკატის ვალდებულებები უნდა იყოს შემდეგი:

ა) კლიენტის კონსულტაცია მისი უფლებების და ვალდებულებების სამართლებრივი სისტემის მუშაობის პრინციპების განმარტებით, ვინაიდან ისინი ეხება კლიენტის უფლებებს და (მოვალეობებს;

ბ) კლიენტისათვის დახმარების გაწევა ნებისმიერი კანონიერი საშუალებით და სამართლებრივი ქმედებები მისი ინტერესების დასაცავად;

გ) კლიენტისათვის დახმარების გაწევა სასამართლოებში, ტრიბუნალებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

14. ადვოკატები, რომლებიც კლიენტებს ეხმარებიან მართლმსაჯულების აღსრულების დროს, უნდა ითხოვდნენ ნაციონალური და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანთა უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვას, უნდა იმოქმედონ ყოველთვის თავისუფლად და დაეინგზბით კანონის, აღიარებული პროფესიული სტანდარტების და ეთიკური ნორმების შესაბამისად.

15. ადვოკატი ყოველთვის ლოიალური უნდა იყოს თავისი კლიენტის ინტერესებისადმი.

### ადვოკატთა მოღვაწეობის გარანტიები

16. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ადვოკატები:

ა) შესაძლებლობით, აღასრულონ თავიანთი პროფესიული მოვალეობები დაშინების, წინააღმდეგობის, შფოთისა და უადგილო ჩარევის გარეშე;

ბ) შესაძლებლობით, თავისუფლად იმოგზაურონ და კონსულტაცია გაუწიონ კლიენტს მის სამშობლოში და საზღვარგარეთ;

გ) გარანტიით, რომ აღიარებული პროფესიული მოვალეობების, სტანდარტების და ეთიკური ნორმების შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი ქმედების გამო მათ არ ელით დასჯა ან მისი მუქარა. ბრალდება, ადმინისტრაციული, ეკონომიკური ან სხვა სანქციები.

17. იქ, სადაც ადვოკატთა უსაფრთხოება ხიფათშია მათ პროფესიული მოვალეობების აღსრულების გამო, ისინი ადეკვატურად დაცული უნდა იყვნენ ხელისუფლებისაგან.

18. ადვოკატები არ უნდა იყვნენ იდენტიფიცირებული კლიენტებთან და კლიენტთა საქმეებთან თავიანთი პროფესიული მოვალეობების აღსრულების გამო.



19. სასამართლომ ან ადმინისტრაციულმა ორგანომ არ უნდა უთხრას უარი პრაქტიკის ნებადართვის მქონე ადვოკატს, რომელიც კლიენტის ინტერესებს იცავს, მის უფლებაზე — გამოხატოს კლიენტის ინტერესები, თუ ეს ადვოკატი არ იყო დისკვალიფიცირებული ნაციონალური სამართლის და მისი გამოყენების პრაქტიკის, ასევე, ამ დებულებების საფუძველზე.

20. ადვოკატს უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის და სამოქალაქო იმუნიტეტი დევნისაგან, რომელიც გამოწვეულია საქმესთან დაკავშირებით გამოთქმული წერილობითი ან ზეპირი განცხადების გამო, თუ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და პროფესიულ მოვალეობებს სასამართლოში, ტრიბუნალსა ან სხვა იურიდიულ თუ ადმინისტრაციულ ორგანოში.

21. კომპეტენტურ ხელისუფლებათა ვალდებულებაა უზრუნველყონ ადვოკატი ინფორმაციის, დოკუმენტების და საქმის მასალების დროულად გაცნობით.

22. მთავრობებმა უნდა აღიარონ და დაიცვან ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციების და კონსულტაციების კონფიდენციალობა მათი ურთიერთობების ფარგლებში, რაც უკავშირდება ადვოკატების მიერ პროფესიული მოვალეობების აღსრულებას.

### გამოთქმისა და ასოციაციების თავისუფლება

23. ადვოკატები, როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ აზრის გამოთქმის, აღმსარებლობის, ასოციაციებისა და ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლებით. კერძოდ, მათ უფლება უნდა ჰქონდეთ, მონაწილეობა მიიღონ საჯარო დისკუსიებში სამართლის, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის და დაცვის შესახებ. მათ უფლება უნდა ჰქონდეთ, შეუერთდნენ ან შექმნან ადგილობრივი, ნაციონალური და საერთაშორისო ორგანიზაციები და დაესწრონ მათ შეკრებებს ისე, რომ საფრთხე არ დაემუქროს პროფესიულ მოღვაწეობას კანონით ნებადართულ ორგანიზაციებში კანონიერი მოქმედების ან წევრობისათვის. ამ უფლებათა განხორციელებისას ადვოკატი მუდამ უნდა ზღვრებულანელობდეს კანონით აღიარებული პროფესიული სტანდარტებით და ეთიკური წესებით.

### ადვოკატთა პროფესიული ასოციაციები

24. ადვოკატებს უფლება უნდა მიეცეთ, შექმნან თვითმმართველი ასოციაციები თავიანთი ინტერესების წარმომადგენლობისათვის, მუდმივი სწავლის, გადამზადების და პროფესიული დონის შენარჩუნებისათვის. პროფესიული ასოციაციების აღმასრულებელი ორგანოები აირჩევა წევრთა მიერ და შესრულებენ თავიანთ ფუნქციებს გარედან ჩარევის გარეშე.

25. პროფესიული ასოციაციები უნდა კოოპერირებდნენ მთავრობებთან, რათა უზრუნველყონ ყველასათვის იურიდიული დახმარების თანასწორი და ეფექტური ხელმისაწვდომობის უფლება, რათა ადვოკატებმა შეძლონ, გარედან შეუფერხებელი ჩარევის გარეშე, მისცენ რჩევები და დაეხმარონ თავის კლიენტებს კანონის და აღიარებული პროფესიული სტანდარტების და ეთიკური წესების შესაბამისად.

26. ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსები უნდა დაწესდეს პროფესიულ ორგანოების ან კანონმდებლობის შესაბამისად, რაც პასუხობს ნაციონალური საბართლოს დებულებებს. ჩვევებს, აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს და ნორმებს.

27. ადვოკატის წინააღმდეგ საქმის აღძვრა ან მისდამი ბრალდების წაყენება, რაც დაკავშირებულია მათ პროფესიულ სამუშაოსთან. უნდა ხდებოდეს სწრაფი და სამართლიანი პროცედურის ფარგლებში. ადვოკატს უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე გაირჩეს სამართლიანად და მის მიერ ამორჩეული ადვოკატის დახმარებით ისარგებლოს.

28. ადვოკატთა წინააღმდეგ დისციპლინური წარმოება უნდა განახორციელოს ადვოკატურის მიერ დადგენილმა მიუკერძოებელმა დისციპლინურმა კომისიამ, შენარჩუნებული უნდა იყოს სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

29. მთელი დისციპლინური წარმოება უნდა ხორციელდებოდეს პროფესიული ქცევის კოდექსის და ამ დებულებითა, ასევე ადვოკატური პროფესიის სხვა აღიარებული სტანდარტების და ეთიკური ნორმების შესაბამისად.

# დაქარაუხმებული განსაკუთრებული მდგომარეობის და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში ქალთა და ბავშვთა დასაცვის შესახებ



1974 წლის 14 დეკემბერი\*

## გენერალური ასამბლეა

**გამოთქვამს** თავის შეშფოთებას სამოქალაქო მოსახლეობაში შემავალი ქალების და ბავშვების ტანჯვის გამო, რომელსაც ისინი განიცდიან განსაკუთრებული მდგომარეობის და მშვიდობისათვის, თვითგამორკვევისათვის, ეროვნულ-რელიგიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს, რადგან არაადამიანური აქტების მსხვერპლნი ხდებიან და მძიმედ იტანჯებიან;

**ძალზე შეშფოთებული** იმ ფაქტით, რომ მიუხედავად საყოველთაო და უცილობელი დაგმობისა, ხალხები კვლავინდებურად კოლონიალიზმის, რასიზმის, უცხოელთა ბატონობის ქვეშ არიან, რის გამოც ითრგუნება და დიდ დანაკარგებს განიცდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი. ყოველივე ეს აურაცხელ ტანჯვას აყენებს მოსახლეობას ქალების და ბავშვების ჩათვლით;

**გამოხატავს** ღრმა მწუხარებას იმასთან დაკავშირებით, რომ კვლავინდებურად სერიოზულად ირღვევა ადამიანის ძირითადი თავისუფლებანი და პიროვნების ადამიანური ღირსება; რომ სახელმწიფოები, რომლებიც ახორციელებენ კოლონიურ და რასისტულ ბატონობას, კვლავინდებურად არღვევენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს;

**აცნობიერებს** თავის პასუხისმგებლობას მოზარდი თაობის ბედისათვის და ქალების ბედისათვის, რომელნიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებაში, ოჯახში და განსაკუთრებით, ბავშვების აღზრდაში;

**ითვლისწინებს** სამოქალაქო მოსახლეობის შემადგენელი ქალების და ბავშვების განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობას;

**საზეიმოდ აცხადებს** განსაკუთრებული მდგომარეობის და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალებისა და ბავშვების დაცვის დეკლარაციას და მოუწოდებს გაეროს ყველა წევრ-სახელმწიფოს მკაცრად დაიცვან ეს დეკლარაცია.

1. თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე და მისი დაბომბვა, რაც ურიცხვ ტანჯვას აყენებს მოსახლეობის ნაწილს, რომელიც ყველაზე ადვილად ზარალდება — ქალებს და ბავშვებს, აკრძალულია — ამგვარი ქმედებანი ყოველთვის დაგმობილი იქნება.

2. სამხედრო ოპერაციების დროს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება წარმოადგენს ენევის 1925 წლის ოქმის, ენევის 1949 წლის კონვენციების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების უხეშ

\* გაეროს გენერალური ასამბლეის 3318 (XXIX) რეზოლუცია, მიღებული 1974 წლის 14 დეკემბერს.

დარღვევას, მოსდევს უმძიმესი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, რი ქალების და ბავშვების ჩათვლით და ყოველთვის დაგმობილი იქნება.

3. ყველა სახელმწიფომ სრულად უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ენევის 1925 წლის ოქმის, ენევის 1949 წლის კონვენციების, ასევე, საერთაშორისო სამართლის სხვა აქტების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა პატივისცემას შეიარაღებული კონფლიქტების დროს და ქალთა და ბავშვთა დაცვის უმთავრეს გარანტიებს წარმოადგენს.

4. სახელმწიფოებმა, რომლებიც მონაწილეობენ კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებში, საომარ ფერაციებში, ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა დაიცვან ქალები და ბავშვები ომის გამანადგურებელი შედეგებისაგან. მიღებული უნდა იქნეს აუცილებელი ზომები და აიკრძალოს სამოქალაქო მოსახლეობის იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც ქალები და ბავშვები შეადგენენ, ისეთი ღონისძიებების გამოყენება, როგორცაა დევნა, წამება, დამსჯელი ღონისძიებანი, დამამცირებელი მოპყრობა და ძალადობა.

5. ქალებისა და ბავშვებისადმი ყველა სახის რეპრესიები და სასტიკი, არადამიანური მოპყრობა ციხეში ჩასმის, წამების, დახვრეტის, მასობრივი დაპატიმრების, კოლექტიურად დასჯის, საცხოვრებელი ბინების დანგრევის და საცხოვრებელი ადგილიდან ნაძალადევად აყრის ჩათვლით, რომელსაც ახორციელებენ მებრძოლი მხარეები საომარი ოპერაციების დროს ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ითვლება დანაშაულებრივად.

6. სამოქალაქო მოსახლეობაში შემავალ ქალებს და ბავშვებს, რომლებიც აღმოჩნდნენ განსაკუთრებული მდგომარეობის ან მშვიდობის, თვითგამორკვევის, ეროვნული გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში, ან ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არ უნდა მოაკლდეთ თავშესაფარი, საკვები, სამედიცინო დახმარება და სხვა განუყოფელი უფლებები.

(გენერალური ასამბლეა. ოფიციალური ანგარიშები, ოცდამეცხრე სესია, დოკუმენტი № 51 (A 9681). გვ. 185-186).

აბაიი ლაზარტაშა

# პირველი სახელმწიფო მეურნეობები საქართველოში

საქართველოში მძიმე პირობებში მიმდინარეობდა პირველი სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობა. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 8 აპრილის № 17 დეკრეტით<sup>1</sup> კონფისკებული ქართველ მემამულეთა რამდენიმე ათეული მამული ეკონომიკურად და ორგანიზაციულად სუსტი იყო რუსეთის მემამულეთა მამულებთან შედარებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიწის შესახებ № 17 დეკრეტის გამოცემამდე კულტურული მამულების, ტყეების და მინების დაცვის მიზნით, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცირკულიარით ითვალისწინებდა დასახელებული ობიექტების მომსახურეთა თავიანთ ადგილებზე ღარჩენას, დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, პასუხისმგებლობას სახალხო კონების დაცვისა და შენახვისათვის, ყველა გატაცებული ან დროებით წაღებული ქონების, ვისგანაც უნდა ყოფილიყო იგი, დაუყოვნებლივ უკანვე დაბრუნებას. ეს საკითხი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახლად შექმნილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის, უფრო სრულყოფილად, კონკრეტულად და გასაგებად განსაზღვრული იყო საქართველოს რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 14 მარტის № 16 ბრძანებაში<sup>2</sup>, რომელიც ყოფილი მთავრობისა და მემამულეთა განკარგულებაში არსებული ქონების (შენობა-ავეჯეულობა, სამეურნეო იარაღი, მანქანები, საქონელი და სხვა) ხელუხლებლობის მიზნით, საჭიროდ მიიჩნეულა აუცილებელი ზომების მიღებას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქონების დასაცავად, მათი გაფლანგვის ან გაფუჭების თავიდან აცილებისა და დაკარგული ქონების აღდგენის მიზნით.

მსხვილი კულტურული მამულების ხელშეუხებლობა და მათ ბაზაზე სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შექმნის აუცილებლობა მტკიცედ აისახა საქართველოს რევკომის 1921 წლის 8 აპრილის მიწის შესახებ № 17 დეკრეტში, რომლის მე-7 მუხლი აცხადებდა: „მსხვილი მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის და მაღალი კულტურის ძლანტაციები, სანერგეები, ბაღები, ორანჟერეები და სხვა, არ იქნება დანაწილებული, არამედ გადაიქცევა კულტურულ საჩვენებელ სახალხო მამულებად და გადაეცემა თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს ან ადგილობრივ საბჭოებს“.

ყოფილ მემამულეთა მამულების კონფისკაციის დროს ჩატარებული მათი ქონების, მატერიალურ ფასეულობათა აღწერის შედეგებიდან ჩანს მამულების უმრავლესობის ძალზე

1 მიწისა და საკომლმეურნეო სამართლის აქტების კრებული, წიგნი I, თბ., 1970, გვ. 16-18.  
 2 უახლესი ინტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 286, საქმე 57, ფურც. 1. შემდეგში არქივის სახელწოდება დაიწერება შემოკლებით — უიცხა.  
 3 უიცხა, ფონდი 281, საქმე 12, ფურც. 15.



სუსტი ეკონომიკური მდგომარეობა. ბუნებრივია, მათ ბაზაზე შექმნილ სახალხო მამულებში (ახე იწოდებოდა მაშინ სახელმწიფო შეურნეობები საქართველოში) აშკარად იგრძნობოდა საჭარხო-სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებლად საჭირო წარმოების საშუალებათა უკმარისობა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობათა, მუსეა და პროდუქტიული პირუტყვის და სხვათა სახით, რის გამოც სახალხო მამულების საქმიანობის ნორმალურად ფუნქციონირება სახელმწიფოსაგან მატერიალური და ფინანსური დახმარების გარეშე (რაც მაშინ შეუძლებელი იყო ობიექტური მიზეზების გამო) ძნელი იყო. უსახსრობის გამო ბევრ მამულში მუშაობა თითქმის შეჩერებულია, მოსამსახურენი და მუშები არაიან დაკმაყოფილებულნი რამდენიმე თვის ჯამაგირით, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის სიმცირე ამ უკონლონა აფერხებს მამულების დამუშავებას და სხვა. უსახსრობით გამოწვეული მიზეზებით, ზოგი დიდმნიშვნელოვანი სახალხო მამულის შეურნეობა უკიდურეს მდგომარეობაშია<sup>1</sup>, ახეთი ვითარების გამო და სახალხო მამულების ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩაითვალა მათი იჯარით გაცემის აუცილებლობა.

სახალხო მამულები იჯარით გაიცემოდა გარკვეული ვადით, იჯარა იყო მოკლევადიანი — ექვს თვემდე, სამი წლით და გრძელვადიანი — 40 და მეტი წლით. შავალითად, წინასწარი ხელშეკრულებით<sup>2</sup> რომელიც დადებული იყო სახელმწიფო ქონებად გამოცხადებულ ქუთაისის მაზრის სოფელ დიდ ჭინიჭში მდებარე ნიკო ნიკოლაძის ყოფილი მამულის იჯარით გაცემის თაობაზე საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მამულის ერთ-ერთ მემკვიდრეს გიორგი ნიკოლაძეს შორის, იჯარის ვადად გათვალისწინებული იყო ექვსი თვე და ამ ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს უნდა შეემუშავებინათ იჯარის ხელშეკრულება ხანგრძლივი პერიოდისათვის. ხოლო „იჯარის პირობის პროექტით“<sup>3</sup> საქართველოს მიწსახყო-

**მის სახალხო მამულების ქვეყნყოფილება გადასცემდა მოქალაქე გორდულაძეს სამი წლის ვადით სოფ. კიკეთში ლევან მამულაშვილის მამულს. ხელშეკრულებით მოიჯარეს ევალებოდა მამულის ხეხილის ბაღების დამუშავება, მოვლა, განახლება, გაუმჯობესება, მამულის ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის მიწნობრივად გამოყენება; იჯარის ვადის გასვლამდე უკლებიურად ხილის მოსავლის 25 პროცენტი, ბოსტნეულის — 10 და თივის მოსავლის 33 პროცენტის გადახდა, მოძველებული ინვენტარის განახლება, რომელიც იჯარის ვადის გასვლის შემდეგ რჩებოდა მიწსახყოების სახალხო მამულების განყოფილების საკუთრებად და არ იყო მითითება სახელმწიფოს მხრივ მოიჯარისათვის მათი ღირებულების კომპენსაციაზე. ახეთი გარემოება აღბათ მოიჯარეთა თავშეყავების საფუძველი იქნებოდა იჯარით გაცემული მამულების წარმოების საშუალებათა განახლებასა და გაუმჯობესებაზე. ხელშეკრულებით მოიჯარეს მამულის საწარმოო საქმიანობა უნდა წარმართა იჯარის პირობების შესაბამისად. ეზრუნა მამულისათვის, დაცვა მისი შენობა-ნაგებობანი გაფუჭებისაგან, იჯარის ვადის გასვლამდე მას უფლება არ ჰქონდა უფრო ეთქვა მამულის იჯარაზე, ან გადაეცა იგი მთლიანად ან ნაწილ ომრივ სხვა პირზე მიწსახყოების სახალხო მამულების განყოფილების ნებართვის გარეშე. ახეთი პირობის დარღვევისათვის მოიჯარეს უნდა გადაეხადა ჯარიმა ზუსტი მილიონი მანეთი და გარდა ამისა, მამულისათვის მისი მოქმედებით მიყენებული ყველა ზარალი, იჯარით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულებით მოიჯარე ვალდებული იყო შეეტანა გირაოთი ზუსტი მილიონი მანეთი, რომელიც მას უბრუნდებოდა სახელშეკრულებო ვადის დამთავრების შემდეგ. როგორც ვხედავთ, სახალხო მამულების იჯარით გაცემის ხელშეკრულების შინაარსი ძირითადად შემოიფარგლებოდა მოიჯარის მიმართ მოვალეობების შესრულებლობისათვის მკაცრი მატერიალური პასუხისმგებლობის განსაზღვრით და არ ითვალისწინებდა მოიჯარის ვალდებულებებს, ბუნებრივია, არც პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის. რასაკვირველია, ახალი ხელისუფლების პირველ დღეებში მიღებული ნო.**

<sup>1</sup> უიცხა, ფონდი 285, საქმე 297, ფურც. 75-78.  
<sup>2</sup> უიცხა, ფონდი 285, საქმე 945, ფურც. 25.  
<sup>3</sup> უიცხა, ფონდი 285, საქმე 592, ფურც. 53.

რმატიული აქტი ვერ იქნებოდა უზარეულო და უნაკლო გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიწეების გამო.

სახალხო მამულების იჯარით გაცემა ნებადართული იყო არა მარტო რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებზეც. მაგალითად, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 8 მაისის დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის მთავრობის სახელით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და კავკასია-ამერიკის სავაჭრო და სამთო-სამრეწველო კომპანიის შორის ამ უკანასკნელისათვის ქ. სენაქიდან 12 ვერსზე მდებარე სოფ. ნოქალაქევში პეტრე აბაშიძის ყოფილი მამულის იჯარით (39 წლით), ე. ი. 1971 წლის 15 ივნისამდე გადაცემის შესახებ დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიას შეეძლო ექსპლოატაცია გაეწია მამულისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოეტანა სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, მათი გამოყენების სწავლებისათვის მოეწვია ამერიკელი ინჟინერ-ინსპექტორები და მათი ბელმდგანელობით უფასოდ ყოველწლიურად ნს-მდე მოსწავლე-პრაქტიკანტების მომზადების მიზნით სასწავლებელ-სახელოსნოს მოწყობა. გარდა ამისა, კომპანია ვალდებული იყო ექსპლოატაცია შეეზღუდა და შეეზღუდა მისი მიწების მოსწავლე-პრაქტიკანტების სწავლების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, უმთავრესად სიმინდის ნარგავების გაშენების მიზნით საცდელ-საჩვენებელი მიწების მოწყობას. ასეთი ამოცანების განხორციელებაში კომპანიისათვის ხელშეკრულებით საქართველოს მთავრობას უნდა გაეწია ყველანაირი დახმარება — მოემარაგებინა მამულის დასამუშავებლად საჭირო მანქანა-იარაღებით, საწვავის, სამშენებლო მასალებისა და სხვა გადასაწიდი საშუალებებით. დაიჭარბებული მამულის ყველა შემოსავალი, როგორც ნედლეულის, ისე გადაამუშავებული სახით, აგრეთვე მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი; ეკუთვნოდა კომპანიას, ხოლო 10 პროცენტს ურიცხავდა რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარიატს. სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში მამული და მისი ქონება რეკვიზიციას და კონფისკაციას არ ექვემდებარებოდა, რითაც გარანტირებული იყო მოიჭარის მიერ მამულით მყარად სარგებლობა მთელი საიჯარო პერიოდის ფარგლებში.

საგარეო საიჯარო საურთიერთობო ხელშეკრულების შინაარსი სცილდებოდა მამულით სარგებლობის ფარგლებს და მოიცავდა რესპუბლიკის მთელი სოფლის მეურნეობის ინტერესებს. სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ფართოდ დანერგვის მიზნით, კომპანიას უფლება ეძლეოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საწყობები მამულის გარდა შეექმნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისი შეხედულებისამებრ და გაეყიდა ეს იარაღები საქონელგაცვლის საფუძველზე. ამ ნაწილში ხელშეკრულება სცილდებოდა მისი რეგულირების ძირითად ობიექტს და ეხებოდა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მათი რეგულირების საკითხს. ფართო უფლებებთან ერთად, ხელშეკრულება მკაცრ მოთხოვნებსაც უყენებდა მოიჭარეს, კერძოდ, კომპანიის ბრალით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირველი ორი წლის განმავლობაში შეუსრულებლობა იწვევდა ხელშეკრულების ანულისრებას და საარნდლო უზენებზე არსებული მოძრავი და უძრავი ქონება ცხადდებოდა სახელმწიფო საკუთრებად. ხელშეკრულების განუახლებლობის შემთხვევაში, მამულის ქონება უსასყიდლოდ გადადიოდა საქართველოს მთავრობის საკუთრებაში და მასვე ეძლეოდა უფლება გამოეყიდა კომპანიისაგან (მასთან შეთანხმებით) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, ყველა ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, საცდელ-საჩვენებელი მიწებისა და სასწავლებელ-სახელოსნოსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიას უფლება ჰქონდა მთავრობის მიერ გამოუსყიდველი ქონება გაეყიდა თავისუფალ ბაზარზე, ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ყველა დავა განიხილებოდა სასამართლო წესით.

შემოდასახლებულის გარდა იჯარით გაცემული იყო ჭიათურის, გომბორის და სხვა სახალხო მამულები, შიუხედავად ამისა, საიჯარო ფორმით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავებამ იმ პერიოდში ვერ გამოიღო სასურველი შედეგები. ამასთან, ზოგიერთი სახალხო მამულის, მაგალითად, კარდანახის, შუკუნის, წინანდლის, ნაფარტულის, იყალთოს და სხვა, რომლებიც იყვნენ შალაინტენსიური კულტურების — ვენახისა და ხეხილის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები — იჯარით გაცემა გამოიწვევდა მათი მწარმოებლობის შემცირებას და ამჟამად საზარალო ოქნებოდა რესპუბლიკისათვის. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო სახალხო მამულებისადმი ხელისუფლებისაგან როგორც მატერიალური, ისე ფი-



ნანსური დახმარების გაწევა; რათა ისინი გამხდარიყვნენ მსხვილი და ხანიშუმო სამეურნეო საწარმოები. ე. ი. აუცილებელი იყო სახალხო მამულების საქმიანობისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის ორგანიზაცია. ამ მიზნით, 1921 წლის დამდეგს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა „სახალხო მამულების განყოფილება“, რომელიც ცალკე დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული კი არ იყო, არამედ ექვემდებარებოდა მიწსახეობის მოწათმოქმედების განყოფილებას. შემდეგ მოხდა მისი სახალხო მამულების დამოუკიდებელ განყოფილებად ჩამოყალიბება, ხოლო 1922 წლის დამდეგიდან იგი გამოეყო მიწსახეობის საერთო მეურნეობას და მის ბაზაზე 1922 წლის 1 ივლისიდან შეიქმნა „სახალხო მამულების სამმართველო“ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. მიღებულ იქნა „სამმართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მამულების სამმართველოს“ დებულება, რომლის შესაბამისად, სამმართველო იყო დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული იურიდიული პირის ყველა უფლებამოსილებით, გარდა უძრავი ქონების გაყიდვის უფლებისა (პუნქტი 3). სახალხო მამულების სამმართველოს საქმეთა მმართველობას განახორციელებდა მისი კოლეგია მიწსახეობის მიერ დამტკიცებული სამეურნეო გეგმისა და წესების შესაბამისად, კერძოდ, სახალხო მამულებში, სამრეწველო და საცდელ დაწესებულებებშიმ აღრიცხვიანობის სწორად წარმოებას, ანგარიშგებისა და ხარჯთაღრიცხვების დროულად შედგენას და სხვ. კოლეგია უშუალო ურთიერთობაში იყო სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, სამმართველოს სახელით პასუხს აგებდა სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე.

სახალხო მამულების განყოფილებამ მამულები მიიღო ძალზე მძიმე ეკონომიკური და ორგანიზაციული მდგომარეობით. უსახსრობის გამო მათი წარმოების საშუალებებით მომარაგება უკიდურესად დაბალი იყო. ხელფასის მიუღწევლობის გამო, შემცირებული მუშახელით სახალხო მამულები სრულყოფილად და ზოგჯერ თითქმის საერთოდ დაუმუშავებელი რჩებოდა. ამიტომ დღიდან შექმნიდა განყოფილების უმთავრესი ამოცანა იყო სახალხო მამულების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების დროულად და სათანადოდ გამოსწორება, შესაძლებლობის ფარგლებში, წარმოების საშუალებებით უკეთესად მომარაგება, მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესება. ამასთან, უნდა ეხელმძღვანელა სახალხო მამულებსა და საცდელ მიწდევრებზე მეცნიერული ჩასიათის კვლევითი სამუშაოების ჩატარებისათვის.

1922 წლისათვის განყოფილების გამგებლობაში 17 სახალხო მამულია. მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულების — წინაწდლის, ნაფარეულის, მუკულნის, კარდანახის, მანავის, ვარციხის და ვეჯინის სახალხო მამულები. ძვირფასი კულტურების მიმართულების — ჩაქვის, შედღონის, ზღლიბაურის სახალხო მამულები, მეხილეობის მიმართულების — სკრის, გომბორის და მერეთის სახალხო მამულები, შემინდვრების — ჭიათურის, ბეთანია-აკურიანის, ჭიაურ-არხის და ბეუკიასკის სახალხო მამულები.

პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებდა სახელმწიფო მეურნეობების შექმნასთან და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, იყო 1921 წლის საქართველოს მიწის კოდექსი, მისი მეორე ქარის მეორე თავში — „სახეობა მეურნეობაში“ — გათვალისწინებული ნორმებით სახელმწიფო მეურნეობა იყო მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც უნდა გამხდარიყო სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველი. ამ მიზნით, მათ თავიანთი წარმოებითი და აგრარულტურული საქმიანობით მკიდრო კავშირი უნდა მქონოდათ სოფლის კლერობასთან, დახმარებოდნენ მათ ბარისხიანი თესლით. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთებაში, ხვნა-თესვაში და სხვა.

მიწის კოდექსით ყველა სახელმწიფო მეურნეობა შედიოდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი საადგილმამულო ორგანოების გამგებლობაში და გა-

7 უიცხა, ფონდი 288, საქმე 542, ფურც. 42.

8 გარდა სახალხო მამულებისა სამმართველოს გამგებლობაში შედიოდა ცენტრალური დვინის, სარდაფი, ხასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ცენტრალური საწყობი და ორი სავაჭრო მაღაზია თბილისში.

9 უიცხა, ფონდი 288, საქმე 582, ფურც. 198.

ნახვდურული იყო მათ შორის ურთიერთობა, რომელიც, როგორც კოდექსიდან ჩანს, იყო სა-  
ხელშეკრულებო ხასიათის, ე. ი. სახელმწიფო მეურნეობები მიწებით სარგებლობის თაობა-  
ზე საადგილმამულო ორგანოებთან დებდნენ ხელშეკრულებას, რომლითაც განსაზღვრული  
იყო სახელმწიფო მეურნეობათა, როგორც მიწათმოსარგებლეთა, უფლებამოსა-მოვალეობანი. სა-  
ხელმწიფო მეურნეობა მიწათსარგებლობის სახელშეკრულებო წესით მოქმედებდა სსრ კავ-  
შირის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 16 მარტის დადგენილების მიღებამდე, რომლის  
საფუძველზე გაუქმებულ იქნა სახელმწიფო მეურნეობებისათვის ხელშეკრულებით მიწების  
სარგებლობაში გადაცემის წესი და დამკვიდრდა მათთვის სახელმწიფო აქტივ უსასყიდლოდ  
მიწების სარგებლობაში მიცემა. მიწის კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო მეურნეობა იყო ცა-  
ლკი სამეურნეო ერთეული, რომელიც თავის საწარმო-სამეურნეო საქმიანობას უძღვებოდა  
დამოუკიდებლად. არსებული სახელმწიფო მეურნეობების საქმიანობის რეგულირებასთან  
ერთად, მიწის კოდექსი განსაზღვრავდა სახელმწიფო ფონდის მიწებზე ახალი სახელმწიფო  
მეურნეობების შექმნის წესს და პირობებს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის მიწსახკომის სა-  
ხალხო მამულების სამმართველო 1924 წლის 18 ივნისს გარდაიქმნა სახალხო მამულების ტრე-  
სტად. მისი სამართვებრივი სტატუსი რაგლამენტირებული იყო შესაბამისი წესდებით,<sup>10</sup> რომ-  
ლის მიხედვით, სახალხო მამულების ტრესტი იყო განსაკუთრებული სამეურნეო ერთეული,  
სარგებლობდა იურიდიული პირის უფლებებით და პასუხისმგებელი იყო უკვეა თავისი ვალ-  
დებულებისათვის. წესდება განსაზღვრავდა ტრესტის მიზნებს და ამოცანებს, მისი მმართვე-  
ლობისა და სარევიზიო ორგანოების უფლება-მოვალეობებს, ტრესტის დაფინანსებისა და  
მის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის წესს, ტრესტის ლიკვიდაციის პირობებს.

სახალხო მამულების ტრესტი თავის საქმიანობას წარმართავდა ორი ძირითადი მიზ-  
რთულებით: პირველი — სახელმწიფო მეურნეობათა შიდასამეურნეო მშენებლობა, კერძოდ,  
მათი საწარმო-სამეურნეო საქმიანობის აღდგენა და გაფართოება, სახელმწიფო მეურნეობა-  
თა განლაგება ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად, შრომის სწორი  
ორგანიზაცია და მისი მწარმოებლურობის ამაღლება, სახელმწიფო მეურნეობათა მატერია-  
ლურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. მეორე — გარე სამეურნეო საქმიანობის გააქტიურება  
— კანონით ნებადართული სავაჭრო, საკრედიტო და სავალუტო ოპერაციათა წარმოება, რაც  
დაკავშირებული იყო ტრესტზე დაკისრებულ ამოცანათა განხორციელებასთან.

სახელმწიფო მეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის განხორციე-  
ლებულმა ღონისძიებებმა გარკვეული შედეგები გამოიღო. 1925 წლის ივლისისათვის სახა-  
ლხო მამულების ტრესტში იყო 28 სასოფლო-სამეურნეო საწარმო და დაწესებულება, რომ-  
ლებიც იყოფოდა ექვს სამეურნეო ჯგუფად: 1 — შევენახეობა-მეღვინეობის მამულები, 2 —  
ჩაის მამულები, 3 — მებაბეობის მამულები, 4 — მეხაღვინეობის მამულები, 5 — შესაქონლეო-  
ბის მამულები, 6 — სასოფლო-სამეურნეო სავაჭრო დაწესებულებები.<sup>11</sup>

შემდგომ პერიოდში ეკონომიკურ-ფინანსურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციე-  
ლების შედეგად სახელმწიფო მეურნეობები აქცინენ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებ-  
ად და შეიქმნა მათი ფართო ქსელი.

რეალური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოში, ამჟამად შექმნილი ურ-  
თულესი სასურსათო მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია გარდამავალ პე-  
რიოდში რენტაბელური საზოგადოებრივი და სახელმწიფო მეურნეობების შენარჩუნება:  
პირ მირში, საბიუჯეტო ორგანიზაციების — სავადადმყოფოების, საბავშვო ბაგა-ბაღების, სას-  
წავლებლების, შეიარაღებული ძალების და სხვათა გამოსაკვებად აუცილებელი სასოფლო-  
სამეურნეო პროდუქტების რესპუბლიკური ფონდების შესაქმნელად და კოგენდწილურად შე-  
საქებად. მშრმ, საზოგადოებრივი და სახელმწიფო მეურნეობების — ჩაის, ციტრუსების,  
ვგნახის, ბილის მადალმოსავლიანი პლანტაციების შენარჩუნებლად, მათი დაზარალება-დაქუც-  
მაცებისაგან დასაცავად და ტექნიკურ კულტურათა კიდევ უფრო განვითარების უზრუნველ-

<sup>10</sup> უიცსა, ფონდი 288, საქმე 1204, ფურც. 17-20.  
<sup>11</sup> უიცსა, ფონდი 288, საქმე 841, ფურც. 36.

საყოფად. მსსსმ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გაღებულ, ფერმერული მეურნეობების მოსაწყობად აუცილებელი საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნაში (რაც ნოთხოვს გარკვეულ დროს, დიდძალ მატერიალურ-ტექნიკურ და ფულად საშუალებებს) შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების იჯარული ურთიერთობების დამკვიდრებისათვის, მისი სრულყოფისათვის, მიწის იჯარული წესით ეფექტიანად დამუშავებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურების სახელმწიფო მეურნეობებში არსებობით, რომელთა მხრივ მიწათმობარეებელთა საწარმო-ტექნიკური, აგროქიმიკური, სატრანსპორტო, მელიორაციული და სხვა სახის მომზადებები იქნება უფრო ოპერატიული, კვალიფიციური და შედეგობრივი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა მეურნეობასა და ამერიკულ ფერმერულ მეურნეობას შორის, მიუხედავად არსებითი განსხვავებისა, არის ზოგი რამ საერთოც, კერძოდ: დაქირავებული შრომის გამოყენება, ფართომასშტაბიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოება და სხვა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში წვრილი ფერმერული მეურნეობებიდან გადავიდნენ მსხვილ მაღალმწარმოებელურ ფერმერულ მეურნეობებზე, რომლებიც 400 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობის დასამუშავებლად ყოველწლიურად სხვადასხვა დროს იყენებენ 150-მდე დაქირავებულ მუშახს<sup>12</sup>.

ყველა ამ გარემოებათა გამო, საჭიროდ მიგვაჩნია რენტაბელურ სახელმწიფო მეურნეობათა შენარჩუნება და მათი საქმიანობისადმი ჭეროვანი სახელმწიფოებრივი მიდგომა. მასხადამე, აუცილებელია სოფლის მეურნეობაში მეურნეობრიობის მრავალფეროვნება, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კერძო, სახელმწიფო და კოოპერაციული წარმოება. მათ შორის ჯანსაღი კონკურენცია, რაც კვების პროდუქტების წარმოების გაღვივების, მათზე საბაზრო და სამაღაზიო მაღალი ფასების შემცირების და მოსახლეობის ნორმალურად გამოკვების პირობების შექმნის უტყუარი საწინდარი გახდება.

<sup>12</sup> უფრნ. „ამერიკა“. 1979 წ. № 269.

ახსნა ლევდაკიანი

## შავოღის გუგუნი სასაგაოთლოს ვიმუნსრაგულ ტაქარუი

ყოველ ადამიანს გააჩნია მოქმედების ინდივიდუალური არე, რაც ვატიაციებით ივსება, ამა თუ იმ მიმართულებით. არსებობს ძალდატანებითი, მიუჩვეველი საქმიანობების გათავისების აუცილებლობა. გონებას, საერთოდ, გარკვეული გადაადგილების შემდეგ ახასიათებს შექმნილი გარემოსადმი შეგუებადობა. ყოველი ახალი საქმის წარბერუნვა მოითხოვს მტკიცებით მასხლას. თავისთავად, ყოველ არსებულ რეალობაში ან აბსტრაქციაში სწორება მიდის კარგისაკენ, უშაღლესი მსოფლიო აზრის დონისაკენ.

განვითარების ეს მარადიული გზა აუცილებლად მოითხოვდა და მოითხოვს პირადი შესაძლებლობის ზღვრამდე მიხვლას. საერთოდ, ჩვენი ცოდნა უმეტესი მოცულობით მყარი და უსიცოცხლოა. მთელი ეპოქების მანძილზე კაცის ნამდვილი სახე დგინდებოდა დიდი პიროვნებების კვლევაკვალ, ერთგვარი შედარებითი მსგავსების დადგენის ზოგადი წესით. ახლა იბადება მარადიული კითხვა, ოღონდ გულწრფელი, პირადი მოტივით — როგორია კაცობრიობის ნამდვილი სახე, ის მალამოხატურული გამოვლინებები, რომელთაც ჩვენ გენიას მივაკუთვნებთ, რას წარმოადგენს იგი, გამოჩინებავს კი გენია ადამიანურ ვნებათაღელვებს? თავისუფალნი იყვნენ კი ისინი კაცური ზღვარდადებულობიდან?

ყოველი დიდი მსოფლიო ნაწარმოების ბოლო თავისთავად ზღვაზე გაჩერებული ხომალდია. იქ ამბობს ბარათაშვილი, „გასწი შერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამშღვარი“! — ეს ბარათაშვილის შედახილია, ამაყი წყრომის იქით იძახის თავისი შესაძლებლობებით მკვეთრად ფორმირებული სნეული მხედარი, ილია განათლებით იურისტი იყო. ილია — მწერალი და საზოგადო მოღვაწე! ებვარებო, ვერანაირი იურიდიული მოღვაწეობა ვერ დატოვებდა იმდენა შემეკიდრებას, რასაც ერში სულიერი გზების სათავეებთან კავშირი აძლევს ამ ერთ და განუყოფებელ ფორმას. რით უნდა აიხსნას ცალკეული სფეროების განუზომლად დიდი მაცოცხლებელი ენერჯია, როგორ ვითარდება საზოგადოებრივი აზრი ბედის რჩეულის მიმართ? — ჩვენ უვლას ვგახსიათებს სწრაფვა მაღალი ნიჭიერებისაკენ. ზღვარდადებული კაცი არ არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს კაცი თავისი გონებრივი მონაცემების მხოლოდ მცირე ნაწილს უკეთებს რეალიზაციას. კაცის გენია ასეთი საზოგადოებრივი მისწრაფებიდან აკეთებს ფარდობით მოწყვეტას, თავისთავად, პირობითად, სრულყოფილ უჩინდება თავისი უფრო მაღალი იდეალი. ეს იდეალი უნილავია. ყოველი რთული აბსტრაქცია, რასაც კი აუღელვებია წაეთლი გონი შემორჩენილია მხოლოდ საზოგადოებისათვის მისაღებ ფორმაში მოყვანილი, რამდენი დიდი კაცის ცხოვრებიდან გადაუფიქრებიათ სხვადასხვა სახის სულიერი გაუწინასწორებულობის მავალითები. შემდეგ კი არაადამიანური სინათლით აღმართულნი ისინი მარადისობაში;

ბრძოლა თვითგამორკვევისათვის ატარებს წინააღმდეგობრივ ხასიათს. დაწყებული ადრეული ბავშვობიდან, რადგენაც ადამიანი კონტაქტში შედის მწერებთან, მცენარეებთან, ცხოველებთან, რას იძლევა ეს პერიოდი? აუცილებლად ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის წინაპირობას, — ადამიანის ერთი თვალის იცინის, შერატ ტირანს, ერთი ნარბად ცდილობს სხვისი სათამაშოს დაუფლებას, მეორე გულამოქდარი ტარის იმ სხვის ბედზე, როგორი ხანტიკი ცეცხლით იწვის ზღაპარში ბოროტი დედაბერი და როგორ მიაქტილვებს თეთრ მე-

რანს გამარჯვებული პატარა პრინცი. რა არის არის ამ ცრემლ-ხიცილის? მხოლოდ ჩადენილი  
შეცდომის შემდეგ ვგრძნობთ სიამავეს — რა კარგია, რომ დღეს სუფთანი ვართ...  
რომ ცუდი, რასაც ჩვენ პირობითად ასე ვეძახით, არის ერთგვარი საწყისი ფიქსირებული.  
ადამიანის განვითარება თავისი ნაყოფიერების მხრივ სრულ ძალას სიცოცხლის შუა წაწი-  
ლში აღწევს. ეს ის პერიოდია როცა ყველა ქვეცნობიერი გაცონასწორებული კვანძები  
ბად აღიარებულ საქციელთან: დასაწყისი და ბოლო ერთი საერთო ნიშნით ხასიათდება. მუ-  
სიკოსს აკლდება ყურთასმენა, როცა სიურმეში ნელ-ნელა ემატებოდა, როცა კაცი ცხოვრე-  
ბაზე მსჯელობს იკვებება ერთადერთი, ინდივიდუალური აზროვნების ხედი. მთელი ცხოვ-  
რებიდან გამომდინარე, სადაც მართლ ერთი, გამოცალკევებული, მეორე მხრივ, საერთო  
საზომებში ნაცხოვრები, ჩამოქნილი. როცა ეგზიუპერი ამბობდა: ცილინდრი მახრჩობელას  
გადაყლაპულ სპილოს მაგონებსო, უფროსებს ებადებოდათ კითხვა, ხელოვნური ხომ არ  
იყო ეს წარმოდგენა, ძალად მოფიქრებული, სადაო საქითხია. უკველი ადამიანი რამედი-  
ლაც ადგილით ცოცხლობს, ვთქვათ სოფლის ფერდობს ახსენდება. წყურვილის დროს იგ-  
ონებს ზუსტად იმ სასმისს, რომელიც ოდნედაც შეიყვარა, ან ეწოს, რომელიც ყველა ქალაქ-  
ში მთორდება. თითქოს კითხვაზე პასუხი მრავალია და ყველა შეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ  
ჩემი მიზანი ერთი მიახლოებით მართალი მარცხლის პოვნაა ამ შემთხვევაში.

თვალწინ მიდგება დამნაშავე — მძიმე სიტუაცია ადამიანი სხეულის ურთულესი ატეხუ-  
ლებით უღრმესად ბიოლოგიური და სულიერია. როცა კაცს ჭანჭრთვითა და ტატობს სული  
ევლინება პირთა მძლეველად, ხდება პირიქითაც, ფიზიკური ძალა ვეღარ პოულობს სწორ  
მიმართულებას. უნდა ითქვას ერთი მთავარი, დიდი მიზეზი, საუბედუროდ ჩვენ დღემდის  
დროსაც დამნაშავეს ვბადებთ. ისეთი ორზაროვანია, ცვალებადი სხეულთა მდგომარეობა  
თვითონ განვითარების ფაზებში კი არ ემთხვევიან ერთმანეთს. ოჯახის წევრებში, სისხ-  
ლით ნათესავებში ვიღაც ერთი ძლევს ამ პატარა ნავს და იქით მიაყურებს ძალაუნებუ-  
რად. ისევ მიცურავს დიდი ბარჯვარჭობილი თევზი და უკან ხელებზე თოკებგადარები-  
ლი მისდევს მომხიბლავი მოხუცი და მწეს ევედრება კიდევ ცოტა აცადოს. შემინჯუნი ჩი-  
ნებულად იცოდა ამ ბრძოლის მარალი გასაღებით მომართვის წესები და აქი მომართა კი-  
დეც. მაგრამ ახლა ვნახოთ, რა ხდება ცხოვრებაში. იგივე მოხუცი სისხლის სამართლის დამ-  
ნაშავეა, თუ ამ თევზზე ნადირობა აკრძალულია, ან მისი წონა ნებადართულზე მეტი გამოვი-  
და, გამოდის, რომ უნდა ითქვას ასე, — მოხუცო, გადი ზღვაზე, ითევზავე პატარა ინკე-  
ხით, ან მალაზიაში იუიდე თევზი, მოიქეცი ჭკვიანად და შემინჯუნი დაწერს შენზე, იმას; დიდ  
მწერალს, უკვე მოპოვებული აქვს ამის უფლება.

ყველა მოხუცივით დიდსულოვანი ვერ იქნება ამ ყოველდღიურ თევზაობაში. დგას დამ-  
ნაშავე, კაცმა არ იცის რა დააკლდა ან რა მოუვიდა შედმეტი. ბოლოს შეიძლება გაიკვებ-  
რომ ეს უძილობის ან თავისტკივილების ბრალი იყო ან ბევრი იცინა წინა სადამოს, ეხლა  
რა მინდა მე, როგორც ერთ კაცს, ჩემი აზრის ტაძარში, მინდა, ყველა იყოს ხილამაზის  
ძიებაში გზადანხეულ ადამიანად, მწერლური დარღობით აღქმული კაცობრიობის საერთო განსა-  
ცდელად. რაიმე, ერთმა მალაღნიჭიერმა სიტუაცია შექუხარე ტაშით აავსოს დარბაზი, თუნდაც  
მერე სისრულეში იქნეს მოყვანილი უმძიმესი სასჯელი. ერთიანი მასალა, ერთისკენ შეამტა-  
ცი. როცა დამნაშავე ატირდება, უნდა ვტიროდეთ ყველანი. მოსამართლე მშვიდი და ბედნიე-  
რი, რომ ისევ ზღვებია და მთანი მალაღნი, ვიღაც რაღაღწეც უკრავს შორს, სიბნელეში ნა-  
ღვლიანი მშობლები ფიქრობენ სიცოცხლეზე, შემოდის გრილი, სუფთა ჰაერი. ვიღაც ეწევა,  
იქ თაღებში მოსამართლე მიდის მოსახსნამის ოდნავი ფრიალით. იღება კარები, მაღალი ოთა-  
ნები... დგანან თეთრი ქანდაკებები. ყველა ელთდება განაჩენს. მანამდე შეგძლიათ ზღვაზე  
გაისიერნოთ. ჩაუყვებით ფართე კიბებებს. კარგი სადამოა, თქვენ ნუ იღარდებთ. შენებდეთ,  
როგორც ეფარება თეთრი ზომილდი მორიზონტს. მშვიდობით, შემოდის გუგუნეი სასამართლოს  
მიმწუხრებულ ტაძარში.

ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის მესამე  
ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ჩარტერი; 6. კვიტოკი; 9. ქრისტი; 10. დაღესი; 11. აგ-  
რემანი; 14. დენონსაცია; 17. მუფთი; 18. აზატი; 19. ცესია; 21. მაფია; 25. მი-  
ურიდიზმი; 27. გენოციდი; 29. ჰაველი; 30. ვოტუმი; 31. ასესორი; 32. ბრუ-  
ტუსი.

**შვეულად:** 1. ვერდიქტი; 2. ქარტია; 3. თავადი; 4. პროტესტი; 7. კირი-  
ონი; 8. არაფატი; 12. ადათი; 13. კაპია; 15. მიულერი; 16. პატრიცი; 20. ალამი;  
21. მისია; 22. გარანტი; 23. კრიზისი; 24. მოკვლევა; 26. კლაუზულა; 27. გიო-  
რგი; 28. „ივერია“



© „სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 380009, თბილისი, კოსტავას 14  
ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 2.07.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.09.92 წ.,  
ფორმატი 70x108<sup>1/16</sup>. ფაზეტრა ნაბეჭდა ფურცელი 5, პარობიო ნაბეჭდა ფურცელი 7,  
-სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,05. შეკვ. 1707, ტირ. 4 400.

სააპრთველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამართალი“ სსიპი,  
380009, თბილისი, კ. კოსტავას 14

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-прак-  
тический журнал Союза юристов Республики Грузия.

Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло»,  
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

670/75



0600360 78185

0000 1 806 40 333